რიდერი

ორგანიზაციული ცვლილებების მენეჯმენტი

თამარ ღამბაშიძე

(რიდერი მომზადებულია სილაბუსში მითითებული წიგნებისა და ელექტრონული წყაროების თარგმანის საფუძველზე, მიმდინარეობს მუდმივი განახლება)

2021

თემა 1. ექსტრემალური პროექტის წარმატების არსი

პროექტის არსი და კლასიფიკაცია

წარმოების ორგანიზების საპროექტო ფორმა პასუხია ბიზნესგარემოში არსებულ გამოწვევებზე, რომელთაგან უმთავრესია ცვლილებების ტემპის აჩქარება და შესაბამისად, კომპანიების სურვილი, გაზარდონ მათთან ადაპტირების უნარი. ეს კი მიიღწევა პროექტის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების ხარჯზე – ყოველი მათგანი არის უნიკალური, იქმნება კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად და მას შემდეგ, რაც მიზანი მიიღწევა, იგი წყვეტს არსებობას. გამომდინარე აქედან, ყოველი პროექტი, იქმნება რა ცალკეული ამოცანის გადასაჭრელად, მაქსიმალურად პასუხობს მის სპეციფიკაციებს. ტრადიციულ ორგანიზაციებში მსგავსი მოქნილობა წარმოუდგენელია ტექნიკური, სუბიექტური თუ სხვა ფაქტორების გამო, ამიტომ კომპანიები უკანასკნელ ხანებში ხშირად მიმართავენ საპროექტო მიდგომას, როგორც ბიზნესის ორგანიზების ფორმას. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტს გააჩნია მთელი რიგი თვისებები, რომლითაც ის გამოირჩევა. სრულად ეს მახასიათებლები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: კონკრეტულობა, უნიკალურობა, ორიენტირება მომხმარებლებზე, დროითი შეზღუდვები, არარუტინულობა, რესურსული შეზღუდვები, კომპლექსურობა.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე თავში საუბარი ძირითადად გვექნება პროექტზე, როგორც ცალკეული კომერციული ორგანიზაციების შემადგენელ ერთეულზე, პრაქტიკაში ხშირად გვხვდება დამოუკიდებელი პროექტებიც, თუმცა ჩვენ მათზე არ შევჩერდებით. ზოგადად პროექტის დეფინიცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

პროექტი არის ერთჯერადი, დროით შეზღუდული, მიზანმიმართული ღონისძიებების ერობლიობა, რომელიც კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისათვის სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტებისა და რესურსების ურთიერთქმედებას საჭიროებს.

კომერციულ ორგანიზაციებში საპროექტო მიდგომა ძირითადად გამოიყენება ახალი ნაკეთობის, საწარმოო ხაზების თუ ტექნოლოგიების შემუშავების, მსხვილმასშტაბიანი უნიკალური ნაკეთობების დამზადების დროს. სფეროების მიხედვით ბიზნესის ორგანიზების ეს ფორმა სხვადასხვა ვარიაციით განსაკუთრებით მოთხოვნადია ისეთ სწრაფად ცვალებად დარგებში, როგორიც არის მეცნიერებატევადი, ინფორმაციული დარგები, თუმცა ბოლო წლებში საპროექტო მიდგომა სულ უფრო ფართოდ ვრცელდება.

- **პროექტის სასიცოცხლო ციკლის ფაზების** რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული პროექტის ხასიათზე, მაგრამ ყოველ მათგანს *დამტკიცების გარდა გააჩნია დაწყების, დაგეგმვის, რეალიზაციის და დასრულების ფაზები.* პროექტის ფაზებად დაყოფა მისი კონტროლის საუკეთესო საშუალებაა, რადგან ყოველ მათგანს საკუთარი შედეგი გააჩნია. საწყის ფაზაზე პროექტის თანამშრომლების რიცხვი და დანახარჯები მცირეა, შემდეგ იზრდება და დასრულებისთვის კვლავ მცირდება. უკანასკნელი ფაზის შედეგი ემთხვევა პროექტის საბოლოო შედეგს. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია პროექტის ფაზების დროზე ადრე დასრულება.
- გარდა პროექტის სასიცოცხლო ციკლისა, აღსანიშნავია **პროექტის მართვის პროცესიც**. ეს უკანასკნელი, პროექტის სასიცოცხლო ციკლის მსგავსად, შედგება ურთიერთდაკავშირებული ქმედებებისგან და ლოგიკური თანმიმდევრობით ვითარდება. პროექტის მართვის პროცესში გამოყოფენ 5 სტადიას, რომელთაგან პირველია *ინიცირება (შემუშავება).* როგორც დასახელება მიუთითებს, ის გვხვდება პროექტის სასიცოცხლო ციკლის პირველი ფაზის დასაწყისში და ამ დროს ხდება პროექტის მიზნების განსაზღვრა, დაფინანსება და სხვა სახის რესურსების დამტკიცება; *დაგეგმვის* დროს ხორციელდება საგეგმო დოკუმენტაციის შედგენა, დგინდება პროექტის მონაწილეები და პირობები. გასათვალისწინებელია, რომ შემდგომი პროცესები - შესრულება, კონტროლი, დახურვა - ასახვას ჰპოვებს დაგეგმვის ფაზაში. დაგეგმვის დროს დგება

ბიუჯეტი, მოქმედებათა გეგმა, განვითარების გეგმა, განისაზღვრება დასაშვები რისკი, ხდება პერსონალის შერჩევა, დანადგარების შესყიდვა და სხვა მსგავსი პროცესები; *შესრულება* ნიშნავს პროექტის გეგმების ამოქმედებას, რაც პროექტის ხელმძღვანელის მიერ რესურსების გეგმის შესაბამისად განაწილებით იწყება. შესრულების სტადიაზე პროექტის რესურსები და დროის დიდი ნაწილი იხარჯება; *კონტროლის* პროცესში თვალყურს ადევნებენ პროექტის შესრულებას და აანალიზებენ ამ პროცესის გეგმისადმი თანხვედრას. შეუსაბამობის შემთხვევაში ტარდება, მაკორექტირებელი ღონისძიებები, რამაც შესაძლოა პროექტის გეგმები და მიზნები შეცვალოს. *დახურვა* - მიზნის მიღწევის შემდეგ პროქტი იხურება, რაც უპირველესად პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეგროვებას და შენახვას ნიშნავს. პროექტის მონაწილეები აანალიზებენ პროექტის გარშემო არსებულ მთელ ინფორმაციას, რათა ყოველივე ეს მსგავს შემთხვევებში გამოიყენონ. დახურვის დროს წყდება პროექტის საჭიროებისთვის დადებული ყველა კონტრაქტი და ხელშეკრულება.

პროექტის მონაწილეები

პროექტების უნიკალურობიდან გამომდინარე, მათი მონაწილეებიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან, მაგრამ არსებობს რამდენიმე ძირითადი როლი, რომლებიც ყველა პროექტში სრულდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროექტის კონკრეტულმა მონაწილემ შეიძლება ქვემოთ მოტანილი რამდენიმე როლი მოირგოს. მაგალითად, დამკვეთი ხშირად ინვესტორადაც გვევლინება, მომხმარებელი შესაძლოა ინიციატორიც იყოს, ინვესტორიც, დამკვეთიც და ა.შ.

- **ინიციატორი** არის პროექტის მონაწილე, რომელსაც ეკუთვნის პროექტის დაწყების იდეა. ინიციატორი შეიძლება პროექტის ნებისმიერი მონაწილე გახდეს. ყველაზე ხშირად ინიციატორებად გვევლინებიან მომხმარებლები,

ინვესტორები და იმ საწარმოს ტოპ-მენეჯერები, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი.

- **დამკვეთი** დაინტერესებულია პროექტის ძირითადი მიზნის მიღწევით, მისი შედეგით. ის განსაზღვრავს პროექტისადმი ძირითად მოთხოვნებს და ჩარჩოებს, უზრუნველყოფს პროექტის დაფინანსებას, დებს ხელშეკრულებებს პროექტის სხვა მონაწილეებთან
- . **ინვესტორი**, აფინანსებს რა პროექტს, დაინტერესებულია მისი საფინანსო შედეგით. ის სახელშეკრულებო ურთიერთობებს ამყარებს დამკვეთთან, საჭიროებისამებრ ახორციელებს ანგარიშსწორებას პროექტის სხვა მონაწილეებთან.
- **პროექტის ხელმძღვანელი (პროექტის მენეჯერი)** არის პირი, რომელზედაც დელეგირებულია პროექტის მიზნების მიღწევისათვის საჭირო უფლებამოსილებები. ის დამკვეთის წინაშე პასუხისმგებელია პროექტის შედეგის მიღწევაზე. პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს ფართო პროფილის სპეციალისტი. მას უნდა გააჩნდეს მართვის, ლიდერობის, კომუნიკაციური, ორგანიზაციული, დროის მართვის, ბიუჯეტის დაგეგმვის, პრობლემის გადაწყვეტის, მოლაპარაკების წარმართვის, გავლენის მოპოვების, ლიდერობის, გუნდის ფორმირების, რესურსების განაწილების უნარები.
- **პროექტის გუნდი** არის პროექტის მიზნების მისაღწევად შეკავშირებულ პროფესიონალთა ერთობლიობა. პროექტის გუნდის პროფესიული შემადგენლობა, წევრთა რაოდენობა და მოვალეობები კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული. მისი არსებობის პერიოდი ემთხვევა პროექტის ხანგრძლივობის დროს. როგორც წესი, პროექტის გუნდი თავისი არსით ზეფუნქციური ჯგუფია, ანუ მასში წარმოდგენილია სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები. ხშირად ხდება ისე, რომ პროექტის გუნდი ვერ უზრუნველყოფს საპროექტო გეგმებით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს შესრულებას, ასეთ დროს ურთიერთობა **კონტრაქტორთან** მყარდება. მან შესაძლოა გასწიოს გარკვეული ტიპის მომსახურება, იყოს ამა თუ იმ რესურსის

მიმწოდებელი ან კონსულტანტი. კონტრაქტორი სამართლებრივ ურთიერთობებშია პროექტის ხელმძღვანელობასთან და პასუხს მის წინაშე აგებს. ზოგჯერ თავად კონტრაქტორებიც ვერ უზრუნველყოფენ მასზე დაკისრებული ყველა სამუშაოს შესრულებას. ეს განსაკუთრებით რთული პროექტების შემთხვევაში ხდება და ასეთ დროს მათ შეიძლება ისარგებლონ **სუბკონტრაქტორის** მომსახურებით. ის ხელშეკრულებით არის დაკავშირებული კონტრაქტორთან, პასუხს აგებს მის წინაშე და პროექტის არაპირდაპირ მონაწილედ ითვლება. პროექტის მნიშვნელოვანი მონაწილეა **მომხმარებელი**. ის არის პროექტის შედეგის მყიდველი ან მოსარგებლე. მომხმარებელი მონაწილეობს ან შეიძლება მონაწილეობდეს პროექტთან დაკავშირებულ ბევრ პროცესში თუ საქმიანობაში, მაგალითად, საპროექტო გეგმების შედგენაში, კონტროლში ან პროექტის დასრულებაში.

პროექტების კლასიფიკაცია

საპროექტო მიდგომის მზარდ პოპულარობაზე მიუთითებს ის მრავალფეროვნება, რითაც თანამედროვე პროექტები ხასიათდება. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. **უპირველესად აღნიშვნის ღირსია პროექტების კლასიფიკაცია ძირითადი მიზნის მიხედვით**. ამ მხრივ განარჩევენ კომერციულ და არაკომერციულ პროექტებს;

- **ორგანიზაციასთან მიმართებაში** პროექტი შეიძლება იყოს: შიდაორგანიზაციული (რომელიც მიმართულია ორგანიზაციის შიგნით წამოჭრილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისკენ) და გარეორგანიზაციული (როდესაც პროექტის მომხმარებელი არ არის მოცემული ორგანიზაციის წევრი და ის ძირითადად კომერციულ საწყისებზე ამყარებს ურთიერთობებს მოცემულ ორგანიზაციასთან);

- **ცვლილებების ინტენსივობის მიხედვით** არსებობს ოპერატიული და სტრატეგიული პროექტები. ოპერატიული პროექტები მცირე ან საშუალო ზომისაა და ნაკლებმნიშვნელოვან ამოცანებს ასრულებს. სტრატეგიული პროექტი კი საშუალო ან დიდი მასშტაბით გამოირჩევა და მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევისთვის არის გამიზნული;
- **სიდიდის მიხედვით** განარჩევენ მონოპროექტებს - სხვადასხვა დანიშნულების ცალკეულ პროექტებს; მულტიპროექტებს - კომპლექსურ პროექტებს, რომლებიც შედგება რამდენიმე მონოპროექტისგან და მეგაპროექტებს - ძალიან დიდი მოცულობის პროექტებს, რომლებშიც შესაძლოა მონაწილეობდეს რამდენიმე კომპანია ან სახელმწიფოს სტრუქტურა;
- **საბოლოო პროდუქციის მიხედვით** პროექტი შეიძლება იყოს: ტექნიკური - დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასთან, ტექნიკურ სრულყოფასთან ან მოდერნიზაციასთან და ა.შ.; ეკონომიკური, რომლის ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზება ან დანახარჯების მინიმიზება. სახელმწიფო სექტორში ეკონომიკური პროექტების მიზანია მაკროეკონომიკური გარდაქმნები; ორგანიზაციული პროექტები ორგანიზაციული სტრუქტურის ან ინფრასტრუქტურული ელემენტების შექმნას ან რეორგანიზაციას უკავშირდება; სოციალური პროექტების ძირითადი მიზანია სოციალური ეფექტის მიღწევა, რაც სოციალური დაცულობის დონის ამაღლებისკენ არის მიმართული; შერეული პროექტები მიზნად კომპლექსური შედეგების მიღწევას ისახავენ.
- **გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით** განარჩევენ ლოკალურ, რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებს; სირთულის მიხედვით არსებობს ტექნიკურად, ორგანიზაციულად და კომპლექსურად რთული ან მარტივი პროექტები. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტების კლასიფიკაცია შესაძლოა განხორციელდეს: **ხანგრძლივობის, დარგობრივი კუთვნილების, ფუნქციური მიმართულებისა და სხვა ნიშნების მიხედვით**.

- *პროექტების მართვის დროს გამოყენებული ზოგიერთი დეფინიცია*

- **პროექტის მართვის საბაზო ელემენტებია: სამუშაოები, რესურსები, შედეგები, რისკები.**
- ***სამუშაოები*** *არის პროცესები, რომლის დროსაც გარკვეული რესურსების გამოყენებით მიიღება პროექტის შედეგები.* სამუშაოებს მიეკუთვნება: მატერიალური ობიექტების, ინტელექტუალურ-საინფორმაციო პროდუქციის შექმნასთან, აგრეთვე მმართველობითი ზემოქმედების შემუშავებასა და გადაცემასთან დაკავშირებული საქმიანობა და მატერიალური ობიექტების გადაადგილება.
- ***რესურსები*** *არის იმ მოცემულობათა ერთობლიობა, რომლებიც აუცილებელია სამუშაოთა შესასრულებლად.* პროექტების მართვის საქმეში გამოყოფენ რესურსების სამ ძირითად ჯგუფს: ადამიანური რესურსები - ხელმძღვანელი და შემსრულებლები, მატერიალური რესურსები - შრომის საშუალებები და შრომის საგნები, საინფორმაციო რესურსები - სხვადასხვა დოკუმენტაცია, მოდელები, ადმინისტრაციული და ტექნოლოგიური ინფორმაცია.
- ***შედეგები*** არის პროდუქცია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ადრე დასახულ მიზნებს. შედეგები შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური; პირდაპირი და ირიბი; შუალედური და საბოლოო.
- გარე და შიდა გარემო პროექტისთვის პერიოდულად იწვევს რისკებს. *რისკების* მართვა ნიშნავს პროექტისა და რისკების ფაქტორების ურთიერთზემოქმედებას ადრე მიღებული გადაწყვეტილებიდან გადახრის შესამცირებლად.
- ყოველი პროექტი იწყება *სამუშაოთა სიის* შედგენით. ჩვეულებრივ, ეს არის პროექტის ძირითადი ამოცანების მოკლე აღწერა, სადაც, ამავე დროს, წარმოდგენილია მათი შესრულებისათვის საჭირო ოპერაციები დაწყებისა და დასრულების თარიღები. ხშირად მასში მითითებულია მოთხოვნები

ბიუჯეტისადმი. პროექტის შემდეგი ელემენტია *დავალება*, რომელიც ასევე შეზღუდულია ვადებით და, როგორც წესი, გაწერილია შემსრულებელთა ერთ ჯგუფზე. საჭიროების შემთხვევაში დავალებები შესაძლოა დაიყოს *ქვედავალებებად. სამუშაოთა ნაკრებს* უწოდებენ იმ ოპერაციათა პაკეტს, რომლებიც გაერთიანებულია ერთიან ჯგუფში და ერთმა ორგანიზაციულმა ქვედანაყოფმა უნდა შეასრულოს. ეს ელემენტი ასევე შედის პროექტის საერთო სტრუქტურაში. მასში წარმოდგენილია იმ ოპერაციათა აღწერა, რომლებიც ამ სამუშაოთა პაკეტით არის გათვალისწინებული. მითითებულია დაწყების და დასრულების ვადები, აგრეთვე საბიუჯეტო მოთხოვნები და ეფექტიანობის კრიტერიუმები. სამუშაოთა პაკეტი იყოფა ეტაპებად, რომელთა მიხედვითაც კონტროლდება მისი შესრულება

ორგანიზაციის როგორც წარმატებას, ისე წარუმატებლობას ყველაზე მეტად განაპირობებს:

სტრატეგია, ორგანიზაციული სტრუქტურა და მთავარი ბიზნეს პროცესები. სწორედ ამ სამი ფაქტორის ერთობლიობა განსაზღვრავს, თუ რამდენად მიზანმიმართული და თანმიმდევრული იქნება ორგანიზაცია მოქმედებებში და რამდენად რაციონალურად გამოიყენებს მის განკარგულებაში არსებულ რესურსებს.

სტრატეგია განსაზრავს, თუ რა უნდა გააკეთოს ორგანიზაციამ და რატომ, ან რა არ უნდა გააკეთოს და რატომ.

სტრუქტურა განსაზღვრავს, ვინ უნდა გააკეთოს ის, რაც გასაკეთებელია

პროცესები აღწერენ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს.

შესაბამისად, თუ ორგანიზაციაში ყველაფერი კარგად მიდის, ამ სამი მიმართულებით მიღებული და განხორციელებული გადაწყვეტილებების წვლილი ამაში აუცილებლად დიდი იქნება და თუ რაღაცა ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, ამის უპირველესი მიზეზიც უმჯობესია სწორედ ამ სამი მიმართულებით ვეძებოთ.

პრობლემები ასევე შეიძლება იყოს განპირობებული მოტივაციის არასწორი სისტემებით და/ან კულტურაში გამჯდარი ცუდი ჩვევებით ან არაფორმალური წესებით. თუმცა ამ ორი ფაქტორის გავლენა, საბოლოოდ, მაინც ბევრად უფრო მცირეა, ვიდე სტრატეგიის, სტრუქტურის და აღწერილი თუ აღუწერელი, მაგრამ რეალურად მოქმედი ბიზნეს პროცესების.

რასაკვირველია, ორგანიზაციის როგორც წარმატებაში, ისე წარუმატებლობაში მმართველი გუნდის როლი განუზომლად დიდია, მაგრამ ისინი ყველაზე საპასუხისმგებლო შეცდომებსაც სწორედ ამ სამი მიმართულებით უშვებენ და თუ წარმატებას აღწევენ, იმასაც ამ მიმართულებით მიღებული და განხორციელებული გადაწყვეტილებებით ახერხებენ უპირველესად.

თემა 2

ლიდერული მიღწევები ექსტრემალურ სიტუაციებში

ლიდერობის თვისებები: თანდაყოლილი უნარი და სწავლით მიღებული გამოცდილება

საკითხი, რომელიც ლიდერობას უკავშიდება არის მისი, როგორც ფენომენის წარმომავლობა. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ადამინები ლიდერებად იბადებიან თუ ლიდერები ხდებიან?

ორივე მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, რომელიც შეიძლება მრავალი არგუმენტით გავამყაროთ. თეორია “ლიდერების თვისებების შესახებ” 1930-იან წლებში აღმოცენდა. ლიდერის თვისების გამოსავლენად მიმართული კვლევები მოიცავდა ადამიანის ფიზიკურობის, მენტალობისა და სოციალური ასპექტების შესწავლას. ცნობილი მკვლევარის, სტოგდილის მოსაზრებით ლიდერს უნდა ახასიათებდეს საკუთარი თავისადმი რწმენა,

პასუხისმგებლობის გრძნობა, სტრესული სიტუაციების გადალახვის უნარი, თანამშროლებისა და სიტუაციის ფლობის უნარი (Stogdill, M. 335-371). თუ ამ ანალიზს დავეყრდნობით ნებისმიერი პიროვნება, რომელიც ლიდერისათვის დამახასიათებელ თვისებებს ფლობს აუცილებლად უნდა იყოს ლიდერი, რაც რეალობას არ შეესაბამება ხშირ შემთხვევაში. თეორიის უზუსტობა უნდა მომდინარეობდეს იმ რელობიდან რომ, 30-იან წლებში ერთი მხრივ, მეცნიერება ჯერ კიდევ არ ფლობდა ისეთ საშუალებებს, როგორსაც დღეს ფლობს და მეორე მხრივ, კვლევის ობიექტს არ წარმოდგენდნენ ყველა რგოლის ხელმძღვანელები. განსხვავებულ მოსაზრებათა მიუხედავად, შეიძლება შევთანხმდეთ, რომ არსებობს რამდენიმე თვისება, რომელიც ლიდერს უნდა ახასიათებდეს:

- საკუთარ თავში დარწმუნებულობა;
- გონიერება;
- პროფესიული გამოცდილება;
- სხვებზე ზეგავლენის მოხდენის უნარი
- სანდოობა;
- ამბიცია;

ამ მხრივ საინტერესო იქნებოდა ე.წ. წოდებული ტრანზაქციული და ტრანსფორმაციული ლიდერის თვისებების განსხვავება.

ტრანზაქციული ლიდერის მახასიათებელ თვისებად ძირითადად მოლაპარაკების უნარს მიიჩნევენ, რადგანაც ის ხელქვეითებს სამუშაოს შესრულებას ყოველთვის რაღაცის სანაცვლოდ სთავაზობს და ითანხმებს. ხშირ შემთხვევაში ხელქვეითების ინტერესები გათვალისწინებულია მოლაპარაკებების დროს. შესაბამისად, ხელქვეითებმა იციან, რას მოითხოვენ მათგან და რის სანაცვლოდ. ასეთი მიდგომა შეიძლება თანამდროვე ორგანიზაციების სტილადაც ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ლიდერი კარგი ორგანიზატორიცაა, რომელიც სასურველი შედეგის მისაღწევად ცდილობს მოტივაცია გაზარდოს ხელქვეითებში. მას შეუძლია დასაქმებულების,

როგორც წახალისება, ასვე დასაჯა კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში. ლიდერობის ასეთ ფორმას ის დადებითი შედეგი აქვს, რომ განსაზღვრულია, როგორც შესასრულებელი სამუშაო, ასევე, ანაზღაურება. შედეგად ლიდერს შეუძლია ადვილად განსაზღვროს ხელქვეითის ქმედებები და ხელქვეითს ზუსტი წაროდგენა აქვს თავის პროფესიულ მომავლაზე. ასეთ შემთხვევაში ვიღებთ ეგრეთ წოდებულ "ჰომოეკონომიკუსს" (Pierre Demeulenaere, 1996). ამ ტერმინს ავსტრიული ეკონომიკის სკოლა დაუპირსპირდა და არ ცნობს, თუმცა ჰყავს ბევრი მომხრე, რომელთაგან თვლასაჩინო წარმომდგენილი იყო მილტონ ფრიდმანი, ჩიკაგოს სკოლის წევრი.

ტრანსფორმაციული ლიდერი, მართალია, ზეგავლენას ახდენს ჯგუფის წევრებზე, მაგარამ მათ საშუალებას აძლევს, თავად გახდნენ ცვლილებების ორგანიზატორები. ტრანსფორმაციული ლიდერობა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მოსაზრებათა გაზიარების პროცესი, რომელიც მართველობის სხვადასხვა დონეზე იქნება შედეგის მომცემი. ტრანსფორმაციული ლიდერის ერთ-ერთ ძირითად თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ ქარიზმა, რომელსაც ჯგუფის წევრების დასარწმუნებლად იყენებენ. ასეთი ტიპის ლიდერი ყურადღებას ამახვილიებს პოზიტიურ დასასრულზე, რომელსაც განსაკუთრებული სიმძაფრიდ აღწერს მეტაფორებისა და სიმბოლოების გამოყენებით. ტრანსფორმაციული ტიპის ლიდერისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალური მიდგომაც, რაც ზოგჯერ პერსონალური რჩევებისა და მითითებების მიცემით გამოიხატება. ამასთანავე, ის აძლევს საშუალებას კოლეგებს გამოხატონ კრიტიკული შეხედულებები. მენეჯმენტის საკითხებზე მომუშავე საუკეთესო მეცნიერის, პეტერ დრუკერის აზრით, ლიდერი არის ადამინი, რომელსაც ჰყავს მიმდევრები (A.WILLIAM COHEN, 2009). ლიდერმა რომ თავისი როლი შეასრულოს, ამისთვის აუცილებელია ჯგუფის მიერ მისი აღიარება. ჯგუფად შეიძლება მოისაზრებოდეს ორი ან ორზე მეტ ადამიანთა ერთობა, რომელთაც

დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში აერთიანებთ საერთო მიზანი და აღიქმებიან როგორც ერთობა (ჩვენ).

ადამიანთა ნებისმიერი ერთობა ვერ შექმნის ჯგუფს. (მაგალითად, რაიმე პროდუქტის შესაძენად არსებული რიგები) ფსიქოლოგები და სოციოლოგები განმარტავენ, რომ ჯგუფი არის სოციალური ფენომენი, რომლის ჩამოყალიბებისას ადამიანებს უნდა აერთიანებდეთ შემდეგი კრიტერიუმები:

- საერთო მიზანი;
- ინტერპერსონალური ურთიერთობები;
- ურთიერთ ზეგავლენის მოხდენის უნარი;
- ორგანიზაციის შექმნის უნარი: სადაც თითოეულს აქვს თავის როლი;
- სტატუსი და საერთო თამაშის ნორმები;

თითოეული ადამიანი არის სოციალური ჯგუფის ნაწილი, პროფესიული თუ პიროვნული კონტექსტის თვალსაზრისით. მიზნის მისაღწევად ჯგუფის ფუნქციონირებისათვის საჭიროა შესაბამისი სტრატეგიის მოძებნა და ნდობის მოპოვებაშენარჩუნება. ჯგუფი მხოლოდ ინდივიდების ერთობად არ უნდა მოვისაზროთ, ის უნდა განვიხლოთ იმ მთილიანობად, სადაც გაერთიანებულია ინდივიდები და მათი კოლექტიური თანაარსებობის ისტორია. ჯგუფად შეიძლება მოიაზრებოდეს სხადასხვა ტიპის ორგანიზაციები, ასოციაციები, პოლიტიკური გაერთიანებები და სხვა. ნებისმიერი ადამიანის ქმდება, მიუხედავად სტატუსისა დამოკიდებულია მის პიროვნებაზე და იმ გარემო ფაქტორებზე, რომელშიც მას უწევს ყოფნა. თავად პიროვნების გარემოსთან დამოკიდებულებისას ცნობილია ე.წ. “დიდი ხუთიანი”, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების ევოლოციას გარემოსთან მიმართებით.

დიდი ხუთიანი შემდეგი ფაქტორებისაგან შედგება:

1. ემოციური სტაბილურობა (ექსტრემალურ სიტუაციში შესაძლებელი ხდება თითოეული პიროვნების ემოციური სტაბილურობის დადგენა);

2. ექსტავერცია- ადამიანში არის ორი ურთიერთ გამომრიცხავი პოლუსი, როდესაც ისწრაფის საზოგადოებისაკენ და როდესაც განერიდება მას ავტონომიურობის გამო. ე.წ. ინტროვენტი და ექსტრავერტი;

3. გახსნილობა (ზოგი ახალი წესებისაკენ ისწარაფვის და მისი ადვილად მიმღებია, ადამიანთა ნაწილი კონსერვატორია ბუნებით);

4. გარემოს აღქმა (ადამიანთა ერთი ნაწილი მიმდობია და ლამაზად აღიქვამს მოვლენებს, ნაწილი- კრიტიკული, ცინიკოსია);

5. მიხვედრილობა (ადამინთა ნაწილს ადვილად შეუძლია საკუთარი იმპულსების კონტროლი, ნაწილი ადამინებისა მოსაბეზრებელიც ხდება ურთერთობებში);

ჯგუფის დახასიათებისას მნიშვნელოვანია მისი შექმნის მიზეზი, მიზანი, ზომა, არსებობის ხანგრძლივობა და ინდივიდების თავისუფლების ხარისხი. რაც მეტია ჯგუფში შემავალი წევრების რაოდენობა, მით უფრო ნაკლებია წევრთა პირდაპირი ჩართულობა. საერთო მიზნის გამო, სხვადასხვა განათლების, ასაკის, სოციალური წრის წამრომადგენლები ხშირად ერთი ჯგუფის წევრებად მოიაზრებიან, რაც ბუნებრივ შეუთახმებლობას წარმოშობს. ადამიანები ჯგუფის წევრები შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო გახდნენ: საერთო დავალების შესრულებისთვის, საერთო ღირებულებების არსებობის გამო, ინფორმაციის გავცლის მიზნით, მატერიალური სიკეთის მიღების მოტივით და სხვა. ლუმანის “სისტემათა თეორიის” (Systèmes sociaux, 2011: 570). ახსნისას ბიოლოგიიდან აღებულია აქვს “თვით შექმნის “, ავტო კრეაციის ცნება. იგი სოციალურ სიტემას აღწერს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც არა მარტო შეუძლია გარემო პირობებთან ადაპტაცია, არამედ შიგნითვე წარმოშობს ისეთ ელემენტებს, რომელიც დროის მოცემული მომენტისთვის არის საჭირო. მისთვის ჯგუფი არა მხოლოდ სხვადასხვა ელემენტთა ერთობლიობაა, არამედ ურთიერთობათა ერთობლიობა. ჯგუფის განწყობა დამოკიდებულია ფუნქციურ და ემოციურ ფაქტორებზე. ლიდერი შეიძლება შეირჩეს ფორმალურ თუ არაფორმალურ დონეზე. ფორმალურში

იგულისხმება პიროვნებისათვის ლიდერის (ხელმძღვანელის) სტატუსის მინიჭება, არაფორმალურ დონეზე- ჯგუფის წევრებს შორის ლიდერის გამორჩევა, რომელსაც უმრავლესობა აღიარებს.

თითოეულ ჯფუფს აქვს თავისი ისტორია, რომელიც ხუთ ძირითად სტადიას გადის:

1. შეხვედრა-გაცნობა; პირველ ეტაპზე ეწყობა წევრთა გაცნობითი შეხვედრა, მიმდინარეობს დაკვირვება, თანაარსებობისათვის მომზადება, შეხედულებების ჩამოყალიბება.

2. პოზიციების დაკავება; მეორე ეტაპზე ხდება “რეალური სახის გამოჩენა” და როლების გადანაწილება. შესაბამისად, იბადება შეჯიბრობითობის და კონკურენციის განცდა ჯგუფის წევრთა შორის. ამ ეტაპზევე იკვეთება დომინანტი და დაქვემდებარებული პირები.

3. მოქმედების დასაწყისი; იკვეთება ჯგუფის ღირებულებები, წევრთა როლები და ხდება მობილიზაცია, ჯგუფის, როგორც ერთი ორგანიზმის ფუნქციონირებისათვის.

4. დაძაბულობის ეტაპი; ერთსახოვნება ჯგუფის წევრებს შორის დიდხანს არ გრძლედება და იწყება ინდივიდუალიზმის გამოვლინება. მათ უკვე აქვთ მოთხოვნილება რომ ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. შესაძლებელია, გამოიკვეთოს ახალი ლიდერები და შეიქმნას “ქვე ჯგუფები”, კლანები.

5. რეგულარიზაცია; მოლაპრაკების გზით ჯგუფის ხელმძღვანელები ცდილობენ პრობლემების გადაჭრას და საერთო მოსაზრებათა წინა პლანზე წამოწევას.

თუ მოლაპრაკებები დადებითი შედეგით ვერ დამთავრდა, შეიძლება მივიღოთ ამ სამი ვერსიდან ერთ-ერთი: ჯგუფი გაქრეს; დანაწევრდეს ან ერთერთმა ქვე ჯგუფმა გააგრძელოს მართვა. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლიდერის გამოცდილებას, მის პიროვნებასა და თვით ხასიათსაც. ადამიანის ხასიათი მეხსიერების ერთგვარ ფორმად მიაჩნიათ ზოგიერთ

მეცნიერს. მეხსიერება მოიცავს მთელ განვლილი ცხოვრებასაც (წარსული). ნობელის პრემიის ლაურიატის როჯერ სპრეის კვლევებმა, ცხადყო, რომ ადამიანის ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფერო სხვადასხვა ფუნქციის შემსრულებელია (Colwyn B. Trevarthern, 2002). მარცხენა სფერო სემანტიკური, ფონეტიკური და ლოგიკური აღქმის და ახსნის სფეროა, მარჯვენა-ემოციური, სივრცული, ინტერპერსონალური.

კანადის ცნობილი ლიდერების სკოლაში „ ლიდერობა საზღვრებს გარეშე" არსებობს სპეციალური პროგრამები სახელწოდებით "პოტენციური ლიდერად გადარქმნა – ლიდერის გონება", რომელიც ადამიანის (ლიდერის) გონებას ეხმარება სტრესის დაძლევაში და არსებული რეალობიდან საუკეთესო გამოსავლის პოვნაში.

ამ სკოლის წარმომადგნელები განსაკუთრებით სამ თვისებას გამოყოფენ:

ინტუიციას,

კრეატიულობას

ბრძოლისუნარიანობას.

ლიდერობის ფენომენს, როგორც ერთი პიროვნებისთვის მახასიათებელ უნარს, მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა. მათი მოსაზრებით, ერთ პიროვნებაში ლიდერის დანახვა არარეალურ მოლოდინს აჩენს, რასაც არასასურველ შედეგებამდე მიჰყავს სოციუმი. საზოგადოება, ის ორგანიზაციის სახით იქნება წარმოდგენილი, თუ სხვა სოციალური წრით, არ უნდა ელოდებოდეს "გადამრჩენ გმირს" მეტიც, ყველამ უნდა შესძლოს პასუხიმგებლობის აღება. შესაბამისად, მკვლევართა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ადამიანებმა, უნდა შეძლონ ლიდერული თვისებების დახვეწა საკუთარ თავში და ამ ნიჭის განვითარება. არ არსებობს ლიდერობის უნივერსალური მოდელი. თითოეული ორგანიზაცია (საჯარო თუ კერძო) მისთვის შესაფერის ლიდერს ირჩევს. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ლიდერის შერჩევა. ლიდერი არა მხოლოდ მიმართულებას უნდა უჩვენებდეს ჯგუფს, არამედ ახალი გარემოებათა ადაპტაციაშიც უნდა ეხმარებოდეს ორგანიზაციის

წევრებს. მიშელ გროზიე,ს და ფრედიბერგის "სტრატეგიული ანალიზის" თანახმად, ორგანიზაციული ქცევებზე საუბრისას მხოლოდ სისტემებზე და გარე თუ შინაგან ფაქტორებზე არ უნდა გაკეთდეს კონცენტრაცია, არამედ ორგანიზაციის წევრთა მოქმედების ინდივიდუალურ სტარტეგიას უნდა დაეთმოს დიდი ყურადღება. მათივე ანალიზის საფუძველზე, ინდივიდუალური სტრატეგია მჟღავნდება ინდივიდების მოქმედებაში და ამ მოქმედებათა რეგულარულ განმეორებაში (M. Crozier et E. Friedberg, 1977). შესაბამისად, ლიდერობა და მისი ფენომენი განყენებულად არ უნდა იყოს განხილული. მას უნდა შევხედოთ როგორც სოციუმის ერთ ერთ მამოძრავებელ ფაქტორს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე მოსაზრებას თავისი მიმდევრები ჰყავს ლოგიკურად ჩამოყალიბელული არგუმენტებით. მათთვის ვისთვის ლიდერობა თანდაყოლილი ნიჭია, კარგი მენეჯერი ლიდერი ვერასდროს გახდება. ლიდერს კი თავისათავად შეუძლია იყოს 26 მენეჯერიც. მეორე ვერსიის მომხრეებისთვის მენეჯერს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა გახდეს კარგი ლიდერიც. ლიდერისა და მენეჯერის ფენომენი ერთამანეთთან არ უნდა გავაიგივოთ.

ლიდერს ხშირად გამოიყენებენ ხელმძღვანელის სინონიმად, მაგრამ მათ აქვთ ერთი ძირითადი განმასხვავებელი. ხელმძღვენლობის გარდა ლიდერს უნდა ჰქონდეს ზეგავლენის მოხდენის უნარი. ლიდერად ჩამოყალიბება არის პასუხიმგებლობის აღება დასახული მიზნის განსახორციელებლად. შესაძლებელია, გამონაკლის შემთხვევებში, მენეჯერი კარგი ლიდერიც გამოდგეს და პირიქით. მენეჯერის ძირითად ფუნქციას წესრიგისა და ერთიანობის შენარჩუნება წარმოადგენს, ის მთლიანად მართავს ორგანიზაციას, მაშინ, როცა ლიდერი ცვლილებებზე არის ორიენტირებული. კონკურენტულ გარემოში, რაც მეტია ცვლილების საჭიროება, მით უფრო მეტად ხდება ლიდერობის საკითხის წინ წამოწევა. ლიდერობა განსხვავდება მენეჯერობისაგან, მაგარამ ორივე საჭიროა ეკონომიკურ გარემოში მიზნის მისაღწევად. მენეჯმენტი იწყება დაგეგმვით და ბიუჯეტის განსაზღვრით,

ლიდერობაცვლილებების განხორიცლების მიზნით, მიმართულების და შესაბამისი სტარტეგიების არჩევით. როდესაც ვუპირისპირებთ ერთმანეთს ლიდერს და მენჯერის პიროვნულ თვისებებს ვხედავთ, რომ მენეჯერი ორგანიზაციული საკითხებისა და პრობლემის მოაგვარებით არის დაკავებული. მას არ მოეთხოვება გმირობა და ორატორობა. რაც შეეხება ლიდერების ფორმაციას და შერჩევის პრინციპებს ლოგიკურ ახსნასთან ერთად სიტუაციურ შემთხვევითობასთანაც გვაქვს ხოლმე ხშირად კავშირი. მენეჯერების დამოკიდებულება დასახული მიზნებისკენ არაპეროსნალურია. საწარმოებში, სადაც ნაყოფიერი გარემოა წარმატებული მენეჯერების ჩამოსაყალიბებლად, შეიძლება ვერ განვითარდნენ ლიდერები. ორგანიზაციაში ლიდერი უმეტესწილად სათავეში მდგომნი წარმოგვიდგენია, მაგრამ რაც უფრო დიდია ორგანიზაცია, მით უფრო აქტუალურია საკითხი სხვადასხვა ერთეულებად მისი დაყოფისა და შესაბამისად რამდენიმე ლიდერი-მენეჯერის არსებობისა.

წარუმეტებლობის მიზეზები

დარტმუთის კოლეჯთან არსებული ბიზნესსკოლის სტივენ როტის სახელობის მენეჯმენტის კათედრის პროფესორმა სიდნი ფინკელშტეინმა 8 წლის წინ გამოაქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით „რატომ განიცდიან მარცხს გონიერი მენეჯერები".

ნაშრომში ის აღწერს კვლევას, რომელიც ეხება წარსულში წარმატებული 50 კომპანიის მიერ (Enron, Tyco, WorldCom, Rubbermaid, Schwinn და სხვ. - განცდილი მარცხის მიზეზებს. ირკვევა, რომ ამ კომპანიების ხელმძღვანელებს შვიდი ჩვევა აერთიანებს. ფინკელშტეინი მათ განსაკუთრებით **წარუმატებელ აღმასრულებელთა შვიდ ჩვევას უწოდებს.**

ეს ჩვევები ამჟამად ისეთი წარუმატებელი კომპანიების ლიდერებსაც ახასიათებს, როგორიცაა, მაგალითად, Research In Motion (RIMM). ჯერჯერობით დაუმარცხებელი კომპანიებისათვის, როგორიცაა Apple (AAPL),

Google (GOOG) და Amazon.com (AMZN), ეს გამაფრთხილებელი სიგნალი უნდა იყოს. გთავაზობთ ფინკელშტეინის 2004 წლის სტატიაში აღწერილ ამ ჩვევებს:

ჩვევა №1: ისინი საკუთარ თავსა და კომპანიას არსებულ გარემოში დომინანტურად აღიქვამენ.

შესაძლოა ეს ჩვევა ყველაზე მზაკვრული იყოს, რადგანაც ის, ერთი შეხედვით, საკმაოდ სასურველია. განა არ უნდა ილტვოდეს კომპანია საკუთარ ბიზნესგარემოში დომინირებისაკენ, ბაზრის მომავლის განსაზღვრისა და მისი ტემპის კარნახისაკენ? რაღა თქმა უნდა, პასუხი დადებითია, თუმცა სწორედ აქ არის დაგებული მახე. წარმატებულებისაგან განსხვავებით, წარუმატებელ ლიდერებს, რომლებიც საკუთარ დომინანტურ პოზიციას ეჭვქვეშ არასდროს აყენებენ, ავიწყდებათ, რომ მათი ბედი ცვალებად გარემოებებზეა დამოკიდებული. ისინი გადაჭარბებით აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს მოვლენათა კონტროლის თვალსაზრისით და სათანადოდ ვერ აღიქვამენ შემთხვევითობისა და გარემოებების როლს მათ წარმატებაში.

ხელმძღვანელი, რომლიც ამ რწმენის მსხვერპლი ხდება, პიროვნული ლიდერობის ილუზიის ტყვეობაშია: საავტორო ფილმის რეჟისორის მსგავსად, იგი თავს საკუთარი კომპანიის ავტორად აღიქვამს და მიაჩნია, რომ დანარჩენი თანამშრომლები მხოლოდ მისი პირადი ხედვის განსახორციელებლად არსებობენ. ელექტრონიკის სფეროში მიღწეულმა დიდმა წარმატებამ Samsung-ის CEO (გენერალური აღმასრულებელი დირექტორი) კუნ-ჰი ლი დაარწმუნა, რომ იმავეს გამეორებას საავტომობილო სფეროშიც შეძლებდა. მან უკვე გაჯერებულ საავტომობილო ბაზარზე $5-მილიარდიანი ინვესტიცია განახორციელა. მიზეზი კი ისაა, რომ არანაირი ბიზნესგათვლა არ არსებობდა, ლის უბრალოდ უყვარდა ავტომობილები და ამ ბიზნესში მუშაობაზე ოცნებობდა.

გამაფრთხილებელი სიგნალი №1: პატივისცემის ნაკლებობა

ჩვევა №2: ისინი საკუთარ თავს იმდენად აიგივებენ კომპანიასთან, რომ იშლება ზღვარი მათ პირად და კორპორაციულ ინტერესებს შორის.

პირველის მსგავსად, ესეც უწყინარ და, შესაძლოა, სასარგებლო ჩვევადაც კი მოგვეჩვენოს. ჩვენ გვსურს, რომ ბიზნესლიდერები ბოლომდე თავდადებული იყვნენ საკუთარი კომპანიებისათვის და მათი ინტერესები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კომპანიის ინტერესებთან. თუმცა ღრმად ჩაძიების შემდეგ აღმოვაჩენთ, რომ წარუმატებელი მენეჯერები კომპანიასთან საკუთარ თავს არათუ არასაკმარისად, არამედ ზედმეტადაც აიგივებდნენ; იმის მაგივრად, რომ კომპანიას ისე მისდგომოდნენ, როგორც გასავითარებელ პროექტს, ისინი მას საკუთარ გაგრძელებად აღიქვამდნენ. ასე ყალიბდება „პირადი იმპერიის" მენტალიტეტი.

ასეთი ხელმძღვანელები კომპანიებს პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად იყენებენ. მსგავსი მენეჯერების ყველაზე სახიფათო ჩვევაა კომპანიის ფულადი სახსრების პირადი მიზნებისათვის გამოყენება. წარმატებული და შთამბეჭდავი მიღწევების მქონე ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ მათ მიერ კომპანიისათვის მოტანილ დიდ მოგებასთან შედარებით, საკუთარი მიზნებისათვის გაწეული ნებისმიერი დანახარჯი უმნიშვნელოა. სწორედ ასეთი არასწორი ლოგიკით უნდა აიხსნას Tyco-ს გენერალური დირექტორის, დენის კოზლოვსკის ქმედებები, რომელსაც თავისი კომპანიით სიამაყე სულაც არ უშლიდა ხელს საკუთარი უზომო მფლანგველობითაც ეამაყა; როგორც ჩანს, ეს ორი გრძნობა ერთმანეთს აძლიერებდა - სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მას შეეძლო გულწრფელად ელაპარაკა ეთიკაზე იმ დროს, როდესაც კომპანიის კუთვნილ თანხებს პირადი მიზნებისათვის იყენებდა. დღევანდელ სამყაროში მსხვილი კორპორაციის გენერალური დირექტორის როლი წააგავს საკუთარი სახელმწიფოს ბედის განმკარგავი მეფის ძალაუფლებას, ეს კი ძალიან სახიფათო პარალელია.

გამაფრთხილებელი ნიშანი № 2: პიროვნული თვისებების პრობლემა

ჩვევა №3: მათ სჯერათ, რომ ყველა შეკითხვაზე აქვთ პასუხი.

გთავაზობთ კომპეტენტური აღმასრულებლის იდეალურ იმიჯს, როგორსაც ათწლეულების მანძილზე გვასწავლიდნენ: დინამიკური ლიდერი, რომელიც ერთ წუთში უამრავ გადაწყვეტილებას იღებს, ერთდროულად უმკლავდება კრიზისთა მთელ წყებას და წამებში აფასებს სიტუაციას, რომელიც სხვებისათვის ხანგრძლივი თავსატეხია. ამ დახასიათების პრობლემა მისი სიყალბეა. კატეგორიული და ურყევი ლიდერები, როგორც წესი, საკითხებს ისე სწრაფად წყვეტენ, რომ შედეგების გააზრების დრო არ რჩებათ. ამასთან ერთად, რადგანაც ასეთ ლიდერებს სწამთ, რომ ყველაფერზე აქვთ პასუხი, გადაწყვეტის ახალი გზების მოძიებაზე არც კი ფიქრობენ.

Rubbermaid-ის გენერალურ აღმასრულებელს, ვოლფგანგ შმიტს, ძალიან მოსწონდა იმის დემონსტრირება, თუ როგორ აგვარებდა რთულ პრობლემებს თვალის დახამხამებაში. მისი ყოფილი კოლეგა იხსენებს: „ შმიტის დროს კომპანიაში გავრცელებული იყო ხუმრობა: „ვოლფმა ყველაფრის შესახებ ყველაფერი იცის". ერთ-ერთი დისკუსიის დროს, როდესაც ევროპული კომპანიის განსაკუთრებით რთული შესყიდვის თემაზე ვმსჯელობდით, ვოლფმა სხვათა აზრის მოსმენის გარეშე განაცხადა: „აი, ჩვენ რას გავაკეთებთ" .ლიდერები, რომლებმაც იციან პასუხი ყველა კითხვაზე, სხვის აზრს არ ითვალისწინებენ. როდესაც თქვენს კომპანიას ან ორგანიზაციას ამგვარი პიროვნება უდგას სათავეში, არაფერი დაგრჩენიათ გარდა იმედისა, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სწორი აღმოჩნდება. Rubbermaid-ში ასე არ მოხდა. კომპანია, რომელიც 1993 წელს Fortune-ის მიხედვით ამერიკის ყველაზე პატივსაცემ კომპანიად იყო მიჩნეული, რამდენიმე წელიწადში Newell-ის კონგლომერატმა შეისყიდა.

გამაფრთხილებელი სიგნალი №3: ლიდერი მიმდევრების გარეშე

ჩვევა №4: ისინი თავიდან იშორებენ უკლებლივ ყველას, ვინც მათ აზრს არ იზიარებს.

გენერალური აღმასრულებლებს, რომელთა აზრითაც მათი სამუშაოს ძირითად მიზანს საკუთარ ხედვაში რწმენის შთაბერვა წარმოადგენს, მიაჩნიათ, რომ მათ უნდა აიძულონ ყველა თანამშრომელი, ეს ხედვა გაითავისონ. მენეჯერები, რომლებიც ყოყმანობენ, არჩევნის წინაშე დგებიან: იმოქმედონ გეგმის მიხედვით ან დატოვონ კომპანია.

ამ მიდგომის პრობლემა ის არის, რომ იგი არა მარტო უსარგებლო, არამედ ზიანის მომტანიცაა. გენერალურმა აღმასრულებლებმა უნდა გაიაზრონ, რომ მათი ხედვის წარმატებით განხორციელებისათვის სრულიადაც არ არის საჭირო, რომ ყველამ ერთხმად აიტაცოს ის; მეტიც, განსხვავებული და კონტრასტული აზრების ჩახშობით დესტრუქციული ხელმძღვანელები ისპობენ პრობლემების დანახვისა და გამოსწორების საუკეთესო შესაძლებლობას. როდესაც გენერალური აღმასრულებლები აზრთა სხვადასხვაობის შეზღუდვას ცდილობენ, ამით ხშირად მის იატაკქვეშეთში გადასვლას უწყობენ ხელს; ასეთ დროს მთელი ორგანიზაცია არასწორი კურსით იწყებს სვლას. Mattel-ის აღმასრულებელი ჯილ ბარადი დაუყოვნებლივ ათავისუფლებდა თანამდებობიდან უფროს მენეჯერებს, რომელთა თვალსაზრისიც მის ხედვას არ ემთხვეოდა. შმიტმა Rubbermaid-ში ისეთი დაძაბული ატმოსფერო შექმნა, რომ ხშირად თანამდებობიდან გათავისუფლება საჭიროც კი არ იყო-როდესაც ახალი აღმასრულებელი მენეჯერები აცნობიერებდნენ, რომ გენერალური აღმასრულებლის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდნენ, მაშინვე საკუთარი ნებით ტოვებდნენ დაკავებულ თანამდებობებს. საბოლოოდ მსგავსი ტიპის ხელმძღვანელებს მთელი კოლექტივი საკუთარ აზრზე გადაჰყვთ, თუმცა როდესაც ასეთი ორგანიზაცია უფსკრულისაკენ მიექანება, რჩევის მიმცემი აღარავინაა დარჩენილი.

გამაფრთხილებელი სიგნალი №4: აღმასრულებელთა გადინება

ჩვევა №5: ისინი კომპანიის იმიჯით შეპყრობილი ჩინებული ორატორები არიან.

თქვენ იცნობთ ამ ტიპის ხელმძღვანელებს: მნიშვნელოვანი აღმასრულებლები, რომლებიც ყოველთვის ყურადღების ცენტრში არიან. პრობლემა ისაა, რომ მედიაისტერიისა და ქება-დიდების პარალელურად, ამ ლიდერების მმართველობითი საქმიანობა ზედაპირული და არაეფექტიანი ხდება. ხშირად რეალური მიღწევების მოპოვების ნაცვლად ისინი მხოლოდ წარმოსახვითი მიღწევებით კმაყოფილდებიან.

მედიის ამ ფავორიტების უკან აღმასრულებლის ცხოვრების მარტივი წესი დგას: გენერალური აღმასრულებლები მედიის ფართომასშტაბიან ყურადღებას ვერ მოიპოვებენ, თუ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სათანადო ენერგიას არ დახარჯავენ. როდესაც ხელმძღვანელები შეპყრობილი არიან საკუთარი იმიჯით, სამსახურებრივი დეტალებისათვის ცოტა დრო რჩებათ. Tyco-ს გენერალური აღმასრულებელი დირექტორი დენის კოზლოვსკი ხანდახან წარმოუდგენლად უმნიშვნელო საკითხებში ერეოდა, ამ დროს კი კომპანიის ყოველდღიური ოპერაციები უყურადღებოდ ჰქონდა მიტოვებული.

და კიდევ ერთი გაუმართლებელი ხრიკი: როდესაც გენერალური აღმასრულებლები კომპანიის იმიჯს უმთავრეს პრიორიტეტად აქცევენ, ხშირად ამ იმიჯის ასამაღლებლად ფინანსური ანგარიშების წარდგენის პრაქტიკას მიმართავენ. იმის მაგივრად, რომ ფინანსური ანგარიშები კონტროლის მექანიზმად გამოიყენონ, ისინი მათ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ხერხად აქცევენ. Enron-ის ხელმძღვანელ ჯეფრი სკილინგისა და Tyco-ს ხელმძღვანელ კოზლოვსკის კრეატიული ბუღალტერია სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა კომპანიის იმიჯის ისეთი სახით წარდგენისა, რომ საზოგადოება მოტყუვდეს. მათი აზრით, კომპანიის ნებისმიერი საქმიანობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას უნდა უკავშირდებოდეს.

გამაფრთხილებელი სიგნალი №5: ყურადღების მიპყრობის გადაჭარბებული მცდელობა

ჩვევა №6: ისინი წინააღმდეგობებს სათანადოდ არ აფასებენ.

გენერალური აღმასრულებლის თანამდებობის ერთ-ერთი ხიბლი საკუთარი ხედვის განხორციელების შესაძლებლობაა. თუმცა როდესაც ხელმძღვანელი პირები მეტისმეტად არიან ამ ხედვით გატაცებული, სათანადოდ ვერ აფასებენ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე წარმოქმნილ სირთულეებს. როდესაც აღმოჩნდება, რომ დაბრკოლებები, რომლებსაც მანამდე დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ეგონათ, ასეთი ტიპის აღმასრულებლები უკვე იმ ფაქტის წინაშე დგებიან, რომ კომპანია უფსკრულისკენ მიექანება. მაგალითად, იმ დროს, როდესაც Webvan-ის ძირითადი ბიზნესი საგრძნობი წაგებით მუშაობდა, მისი გენერალური აღმასრულებელი ჯორჯ შაჰიინი კომპანიის საქმიანობის სწრაფი ტემპებით გაფართოებით იყო დაკავებული.

რატომ არ ცდილობენ გენერალური აღმასრულებლები არჩეული კურსის გადახედვას ან თუნდაც მცირე პაუზის გაკეთებას, სანამ ცხადი არ გახდება, წარმატებულია თუ არა მათი პოლიტიკა? ზოგიერთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მათი ნებისმიერი გადაწყვეტილება მართებული აღმოჩნდეს, რადგან, თუ შეცდომას აღიარებენ, შესაძლოა მათი პოზიცია, როგორც გენერალური აღმასრულებლისა, დასუსტდეს. როგორც კი ხელმძღვანელი შეცდომას აღიარებს, ყოველთვის გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც თანამდებობისადმი მისი შესაბამისობის საკითხს დასვამენ.

ასეთი არარეალურად მაღალი მოლოდინის პირობებში, აღმასრულებლებისათვის ძალიან რთულია ერთხელ არჩეულ კურსზე უარის თქმა, რაც ბუნებრივად აძლიერებს აღებული კურსის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს. ეს ნათელს ხდის, რატომ აგრძელებდნენ Iridium-ისა და Motorola (MMI)-ს ლიდერები მილიარდობით დოლარის ინვესტირებას სატელიტების გასაშვებად მას შემდეგაც კი, რაც დედამიწაზე ბაზირებული მობილური სადგურების უპირატესობა აშკარა გახდა.

გამაფრთხილებელი სიგნალი №6: ზედმეტი აჟიოტაჟი

ჩვევა №7: ისინი ჯიუტად ეყრდნობიან იმ მიდგომებს, რომლებმაც წარსულში მათი წარმატება უზრუნველყო.

წარუმატებლობის გზაზე მდგომი მრავალი გენერალური აღმასრულებელი უფრო მეტად აჩქარებს კომპანიის დაღმასვლას, როდესაც უკვე ნაცად მეთოდებს მიმართავს. ცდილობენ რა მაქსიმალურად გამოიყენონ ის, რასაც საკუთარ ძლიერ მხარეებად მიიჩნევენ, ისინი სტატიკურ ბიზნესმოდელს ებღაუჭებიან. ასეთი მენეჯერები დაჟინებით მოითხოვენ პროდუქტების იმ ბაზრებზე გატანას, რომლებიც აღარ არსებობს, ან მხედველობაში არ იღებენ ინოვაციებს, გარდა ისეთებისა, რომლებიც წარსულში მოგებიანი აღმოჩნდა. იმის მაგივრად, რომ ახალ გარემოებებზე მოსარგებად ალტერნატივების ფართო სპექტრი განიხილონ, ისინი ერთადერთ ორიენტირად საკუთარ კარიერას ცნობენ და აკეთებენ იმას, რამაც წარსულში წარმატება მოიტანა. მაგალითად, Mattel-ში მოღვაწეობისას ჯილ ბარადი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციას ცდილობდა იმ მეთოდებით, რომლებიც წარსულში წარმატებით გამოიყენა „ბარბის" თოჯინების შემთხვევაში. მან არ გაითვალისწინა, რომ პროგრამული უზრუნველყოფისა და თოჯინებს გავრცელებისა და მოხმარების თავისებურებები სრულიად განსხვავებულია.

ამ ჩვევის მსხვერპლ ხელმძღვანელთა უმრავლესობის კარიერაში არსებობდა „გადამწყვეტი მომენტი" - ანუ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ან პოლიტიკის არჩევა, რამაც მათი დიდი წარმატება, პოპულარობა და კარიერული წინსვლა განაპირობა. პრობლემა ისაა, რომ ასეთი ადამიანები მსხვილი კომპანიის გენერალური აღმასრულებლის პოზიციაზე აღმოჩენისას საკუთარ „გადამწყვეტ მომენტს" ახალ კომპანიაში ნერგავენ მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ის მოცემულ სიტუაციას.

გამაფრთხილებელი სიგნალი №7: წარსული წარმატებების მუდმივი გახსენება

თამა 3. პროექტის მონაწილეთა პიროვნებათაშორისი ურთიერთობის პრინციპები, ფასეულობები და მიღწევები

ნებისმიერ საზოგადოებაში, დამსაქმებლებს დიდი ეკონომიკური და არა ეკონომიკური გავლენა აქვთ საზოგადოებაზე. გადახდილი ხელფასებისა და გადასახადების ჯამური ოდენობიდან გამომდინარე დამსაქმებლები მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ გარშემო მყოფი თემების ეკონომიკურ სიჯანსაღეზე.

დასაქმებულთა უმეტესობა დროის უმეტეს ნაწილს სამსახურში ატარებს. სამუშაო გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ხარისხისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და ოჯახური ცხოვრებისათვის. დამსაქმებლები ტრენინგებისა და სამუშაო გამოცდილების ამაღლებით ზრდიან სამუშაო ძალის მოქნილობასა და შესაძლებლობებს, ასვე ხელს უწყობენ ადამიანების პიროვნულ განვითარებას.

ინდივიდის სიცოცხლე დამოკიდებულია დამსაქმებლებზე, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულნი არიან საკუთარ წარმატებაზე. რიგ შემთხვევაში მიუხედავად კომპანიის ზომისა, ადამიანები განასხვავებენ მომგებიანობის, პროდუქტიულობის და კონკურენტულობის უპირატესობას. ყველა ბიზნესს აქვს ინტერესი გახდეს დამსაქმებელი რომელზეც აკეთებენ არჩევანს და ამით მიიზიდოს ყველაზე ერთგული და ნიჭიერი კადრები.

კომპანიების ერთ ერთი უდიდესი გამოწვევა კვალიფიციური კადრების მოზიდვა და შენარჩუნებაა. საქართველოში, რომელიც ტრადიციულად ადამიანური რესურსებით იყო ცნობილი, ადექვატური, განათლებული სამუშაო ძალის მოძებნა რიგით მეოთხე (თხუთმეტიდან) პრობლემატური

ფაქტორია ბიზნესის კეთებისათვის, 2009 წლიდან დაწყებული ფინანსური და პოლიტიკური არასტაბილურობის შემდეგ.[1] არსებობს აზრი რომ საქართველოს ადამიანური რესურსების ბაზა „მეტად განათლებული და ნაკლებად დასაქმებულია", განსხვავება უნარებზე მოთხოვნასა და მათ მიწოდებას შორის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა ბიზნესისა და დასაქმებისთვის. ქვემოთ მოცემულია გარკვეული ზომები ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისთვის:

- ადამიანური რესურსების მართვის (HRM) პროფესიონალური სისტემის შემუშავება კომპანიაში
- მთელი ცხოვრება სწავლის ხელშეწყობა
- ხარისხიანი სამუშაო გარემო
- გამჭვირვალობა და ინფორმაციის გავრცელების გაუმჯობესება ორგანიზაციაში
- მოქნილი ბალანსი სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის
- მრავალფეროვანი დასაქმებულები და თანაბარი შესაძლებლობები მათთვის
- თანაბარი ანაზღაურება და კარიერული პერსპექტივები ქალებისათვის
- ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო ადგილი
- დასაქმების გონივრული სისტემა
- შეზღუდული უნარის მქონე პირების დასაქმება და მათთვის სათანადო პირობების შექმნა
- კონსულტაციები და თანამშრომლობა დასაქმებულთა წარმომადგენლებთან
- არაფორმალური სამუშაოს მიუღებლობა
- დასაქმებულთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა

- თანამშრომლობა საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, კურსდამთავრებულთა უნარების გაუმჯობესების და მათი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ახალი გარემოებები ბაზარზე

დამსაქმებლები აცნობიერებენ, რომ შრომის ბაზარი შეიცვალა და იცვლება საქართველოში. გამოწვევები ძალიან სერიოზულია:

- **შრომის კოდექსი** - 2006 წელს მთავრობამ მიიღო ახალი შრომის კოდექსი, რათა შრომითი რეგულაციები უფრო მიმზიდველი გაეხადა ინვესტორებისთვის. ახალი კოდექსი ექსპერტებმა შეაფასეს როგორც მსოფლიოში ერთ ერთი ყველაზე ლიბერალური კანონი. აღნიშნულმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, თუმცა დასაქმება, ადამიანური რესურსები და მათი კონკურენტულობა დღესაც პრობლემატურია.

- **დასაქმება** - საქართველოს ეკონომიკის ზრდა 2003-2008 წლის პირველ ნახევრამდე, სამწუხაროდ დასაქმების შემცირების ფონზე მიმდინარეობდა. ზრდამ დასაქმების გარკვეული ახალი შესაძლებლობები შექმნა, მაგრამ პარალელურად გატარებულმა საჯარო სექტორის რეფორმამ ბევრი ადამიანის უმუშევრად დარჩენა გამოიწვია. საქართველოში უმუშევრობა ოფიციალურად 16.5%-ია (2009). განსაკუთრებით ახალგაზრდობას უჭირს სამუშაოს პოვნა: ყოველი მეოთხე ახალგაზრდა ვერ საქმდება; ახალგაზრდა ადამიანს სკოლის დამთავრების შემდეგ საშუალოდ ექვსი რვა წელი სჭირდება სამსახურში მოსაწყობად. უმუშევრობის დონე 20-24 წლის ადამიანებს

შორის 37%-ია, ეროვნულ საშუალოზე ორჯერ მეტი (2008).

- **ჩრდილოვანი ეკონომიკა (NOE)** - კორპორატიული სექტორი NEO - საწარმოების შეფასებამ რომლებიც თავს არიდებენ გადასახადებსა და რეგულაციებს 2000 წელს 54% შეადგინა, რად მაღალია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. 2003 წლიდან საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ეკონომიკის ფორმალიზების თვალსაზრისით, შესაბამისად გამოჩნდა ჩრდილოვანი ეკონომიკის კლების ტენდენცია, და მისი მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. გადასახადების ამოღება გაიზარდა და კორუფცია გაცილებით შესუსტდა.[2]

- **თანასწორობა** - საქართველოში უმუშევრობის საშუალო დონე 52,3%-ია, აქედან 44.9% ქალია, ხოლო 61,1% მამაკაცი (2008). ქალების ეკონომიკური გაძლიერება გაუმჯობესებას საჭიროებს, რადგან ქალების უმეტესობა სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის და განათლების დაბალ ანაზღაურებად სფეროებში, დაბალ პოზიციებზე მუშაობს. 2005 წელს ქალების საშუალო ნომინალური ყოველთვიური ხელფასი, ეკონომიკის ყველა სფეროში მამაკაცების ხელფასის 49%-ს შეადგენდა.[3] ქალების კვალიფიკაცია იზრდება, უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი ქალია.

- **შრომის უფლებები** - საქართველო ევროკავშირთან სარგებლობს Generalised System of Preferences (GSP+) ის (არჩევანის სისტემის) სტატუსით, რაც მას გარკვეული საქონლის ევროპის ბაზარზე საბაჟო გადასახდის გარეშე ექსპორტირების საშუალებას აძლევს. ამ სტატუსის მისაღებად ერთ ერთი პირობა არის, რომ საქართველომ ეფექტურად უნდა განახორციელოს 16 ძირითადი კონვენცია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და შრომის უფლებების შესახებ. კონვენციები, რომლებიც

არეგულირებენ ასოციაციების თავისუფლებას და მათ უფლებებს კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოებაზე, უკეთ უნდა იყოს ინტეგრირებული და დაცული შრომის კანონმდებლობით. სოციალური დიალოგის დაწყების ფაქტი, თავისთავად იმედის მომცემია, თუმცა მხარეებს შორის ჭეშმარიტ სოციალურ დიალოგამდე ჯერ კიდევ შორია.

- **განსხვავება** - აღმოჩნდა რომ ეროვნული უმცირესობების წარმოამდგენლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახლაგაზრდების დასაქმების შესაძლებლობაზე. ქართველი ახალგაზრდები მეტად სწავლობენ და ნაკლებად არიან უმუშევრები ვიდრე სხვა ეროვნების. იგივე მდგომარეობა შეზღუდული უნარების მქონე ადამიანებში, ანუ ისინი ნაკლებად არიან ჩართული შრომით საქმიანობაში რაც თავისთავად გამოსწორებას საჭიროებს.

მსფოლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ასევე საქართველოში დამსაქმებლები მარტივად აღარ ეყრდნობიანთანამშრომლების მოძიების ტრადიციულ მეთოდებს, როდესაც კონკრეტული უნარების მქონე თანამშრომლები სჭირდებათ ისინი ხშირად მიმართავენ ახალ წყაროებს: ინტერნეტ პორტალებს, დასაქმების სააგენტოებს, პირდაპირ ძიებას, კარიერის დღეებს და სხვა.

ამასთან სამუშაო ძალის მაღალი ბრუნვა ზრდის საოპერაციო ხარჯებს. ყოველთვის როცა თანამშრომელი ტოვებს კომპანიას მას თან მიაქვს ინტელექტუალური კაპიტალი და კომპანიის მიერ მასში განხორციელებული ინვესტიცია. თანამშრომლების აყვანასა და სწავლებაში განხორციელებული ინვესტიციების ამოღება კომპანიამ თანამშრომლების დაინტერესებით და შენარჩუნებით უნდა შეძლოს.

საქართველოს განათლების სისტემა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე შრომის

ბაზრის მოთხოვნებს და არ არის ადაპტირებული დასაქმებულების საჭიროებებთან. ქართველი დამსაქმებლები იძულებულნი არიან თავად უზრუნველყონ თანამედროვე სასწავლო კურსები. განათლების სისტემა შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს პასუხობს კერძო უნივერსიტეტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მოთხოვნაზე ორიენტირებულ პროფესიებს. თუმცა ათასობით კურსდამთავრებულისთვის არსებობს არა ეფექტური სამუშაო ადგილები. ოთხ წლიანი უმაღლესი განათლების აუცილებლობა კულტურის ნაწილია. შედეგი ბევრ სფეროში კვალიფიციური მუშახელის არ არსებობაა. მთავრობამ აღიარა ეს ხარვეზი და დაიწყო პროფესიული განათლების სისტემის შემუშავება. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ბევრ დამსაქმებელს უხდება თავის ხარჯით კადრების გადამზადება.

ადამიანის კომპანიაში დარჩენით დაინტერესება უფრო მეტს მოითხოვს ვიდრე უბრალოდ განათლებაში ინვესტირება, თანამშრომლებს უნდა მიეცეთ ცოდნის და უნარების გადაცემის, განვითარების და ჯილდოს მიღების შესაძლებლობა. სამუშაო გარემო სასიამოვნო და უსაფრთხო უნდა იყოს, თანამშრომელი სათანადოდ დაცული, მას სამართლიანად უნდა ექცეოდნენ და სხვა.

თანამშრომლებში ინვესტირება გრძელვადიანია, და მისი განხორციელება აფერხებს კადრების გადინებას. დამსაქმებლები რომლებიც ასეთ ინვეტიციებს ანხორციელებენ პოპულარობით სარგებლობენ განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ჩვეულებრიც მულტინაციონალური კომპანიები, საერთაშორისო არასამთავრობოები, დიპლომატიური კორპუსი და ბანკები ასეთი „რჩეული დამსაქმებლის“ სტატუსით სარგებლობენ საქართველოში განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, მათი საერთაშორისო პრაქტიკის და შიდა რეგულაციების ასევე ფინანსური კომპენსაციების დონის გამო.

რჩეული დამსაქმებელი უნდა მოქმედებდეს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელს უწყობდეს თითოეული ინდივიდის ნიჭის და უნარების განვითარებას განურჩევლად რასის, ეთნიკური წარმომავლობის, უმცირესობის სტატუსის, რწმენის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის ან ინვალიდობისა. სამართლიანი დამოკიდებულება დასაქმებისას, ტრენინგის, სამუშაოს შეფასების და დაწინაურებისას დამატებით ღირებულებას სძენს კომპანიას, ამის საკმაოდ ნათელი მტკიცებულებები არსებობს. დასაქმებულთა მრავალფეროვანი ბაზა დამსაქმებელს ბაზრის მოთხოვნებთან აახლოვებს - მათ შორის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. „რჩეული დამსაქმებლის“ სტატუსს დამატებითი სარგებელი აქვს - კმაყოფილი თანამშრომელი კომპანიის ელჩია საზოგადოებაში.

პრაქტიკული მაგალითი -PRICE WATER HOUSE COOPERS - ადამიანური რესურსების მართვა

საკონსულტაციო კომპანიისათვის უმთავრესია თანამშრომლის ცოდნა და უნარები. ამიტომ მსოფლიოში ერთ ერთი უდიდესმა საკონსულტაციო კომპანიამ PricewaterhouseCoopers შეიმუშავა ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების სრულყოფილი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა თანამშრომლებში არსებული ცოდნის და უნარების მაღალ დონეზე გამოვლენას და მუდმივ განვითარებას. კომპანიის, მათ შორის საქართველოს ოფისის ადამიანური რესურსების პოლიტიკა გულისხმობს არა გამოცდილი ხალხის დასაქმებას გარედან, არამედ ახალგაზრდების აყვანას და მათ შემდგომ სწავლებას და კომპანიის შიგნით განვითარებას. საუკეთესო ნიჭიერი ადამიანების მოსაზიდად კომპანია აწყობს დასაქმების ბაზრებს, ინგლისურენოვან უნივერსიტეტებსა და ბიზნეს სკოლებში. pwc წარსულში

ხშირად ეხმარებოდა სათანადო შესაძლებლობების არ მქონე ღირსეულ სტუდენტებს, ასპონსორებდა მათ სწავლას და შემდეგ ხელს უწყობდა კომპანიაში მათ განვითარებას. ყოველწლიურად კომპანიას დაახლოებით ათი სტაჟიორი ჰყავს. ბევრი დასპონსორებული სტუდენტი და სტაჟიორი შემდეგ ამ კომპანიაში მიდის სამუშაოდ. რადგან pwc სთავაზობს კარიერის საერთაშორისო დონეზე განვითარების სისტემას. ტრენინგებს სრულად აფინანსებს კომპანია. როდესაც თანამშრომელი აღწევს გარკვეულ დონეს მას ეძლევა საერთაშორისო მივლინების შესაძლებლობა, რაც კომპანიის კადრებს ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

პრაქტიკული მაგალითი -MARRIOTT HOTELS ადამიანური რესურსების და მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარება

კერძო სტრუქტურის და სახელმწიფო აკადემიური ინსტიტუტის თანამშრომლობის ერთ ერთი კარგი მაგალითი - არის Marriott Hotels-ის და პროფესიული განათლებისა და სწავლების ცენტრის ურთიერთობა თბილისში. Marriott Hotels-ის კორპორატიული პოლიტიკა ითვალისწინებს მენეჯერების გაზრდას და არა დაქირავებას. შიდა პოლიტიკის შესაბამისად კომპანია უზრუნველყოფს კადრების უწყვეტ სწავლებას და კარიერული განვითარების შესაძლებლობებს, რაც ადამიანს მართვის იერარქიაში წინსვლის საშუალებას აძლევს. შედეგად მენეჯერებს კარგი ცოდნა აქვთ კომპანიის შესახებ, თანამშრომლები კი მისი ერთგულნი არიან. საქართველოში მასპინძლობის ინდუსტრიის განსავითარებლად Marriott Hotels-მა გრძელვადიანი თანამშრომლობა დაიწყო თბილისის პროფესიული განათლებისა და სწავლების ცენტრთან.

რაში მდგომარეობს სარგებელი?

ბიზნესის მუშაობას სამუშაო ადგილების საკითხებზე შემდეგი სარგებლის

მოტანა შეუძლია:

სამართლიანობა სამსახურში (დაშინებისა და აგრესიის არ არსებობა)

- ხარჯების შემცირება კადრების ხანგრძლივად შენარჩუნების გზით
- ხარჯების შემცირება უსამართლო განთავისუფლებების გამო გამართული სასამართლო პროცესების და სხვა დარღვევების არ არსებობით
- თანამშრომლების ძლიერი მოტივირებით ინოვაციურობის, პროდუქტიულობის და ხარისხის ამაღლება
- თანამშრომლების მაღალი ერთგულება

თანამშრომლების სწავლება

- ხარჯების შემცირება კადრების ხანგრძლივად შენარჩუნების გზით
- თანამშრომლების ძლიერი მოტივირებით ინოვაციურობის, პროდუქტიულობის და ხარისხის ამაღლება

მოქნილი ბალანსი ცხოვრებასა და შრომას შორის

- ხარჯების შემცირება კადრების ხანგრძლივად შენარჩუნების გზით
- სტრესით და აბსენტიზმით გამოწვეული დანაკარგების შემცირება
- თანამშრომლების ძლიერი მოტივირებით ინოვაციურობის, პროდუქტიულობის და ხარისხის ამაღლება

სამუშაო ძალის მრავალფეროვნება

- ნიჭიერი კადრების მოზიდვა განურჩევლად სქესის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის ასაკის ან ინვალიდობისა
- მრავალფეროვანი სამუშაო ძალის გამოყენების უნარი და უკეთ მოქმედება მზარდ, მრავალფეროვან, გლობალურ ბაზარზე
- კომპანიის პოზიტიური იმიჯის და რეპუტაციის გაძლიერება

რა არის ამის საფუძველი?

ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო და სამრეწველო სტანდარტები არეგულირებენ ამ სფეროს და ამზადებენ საფუძველს მისი შემდგომი განვითარებისათვის, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მეშვეობით. საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს შრომის კოდექსს (რომელიც მოიცავს დებულებებს დისკრიმინაციის აკრძალვის, სამუშაო საათების, და ფასიანი შვებულების შესახებ). სხვა ინსტრუქციები მოცემულია მთავრობის გენდერულ სტარტეგიაში და სამოქმედო გეგმაში ინვალიდთა ინტეგრაციისათვის და სხვა. ქართველ დამსაქმებლებზე გავლენის მქონე საერთაშორისო ინსტრუმენტებს შორის არიან: ევროპის ადამიანის უფლებების კონვენცია, ევროპის სოციალური ქარტია და საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები. საქართველოს GSP+ სტატუსი ევროკავშრთან და ევროკავშირის წევრობის სურვილი საქართველოს ავალდებულებს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის მოთხოვნებთან.

დღეისათვის მსოფლიოში არაერთი სტანდარტია რომელიც განსაზღვრავს საუკეთესო პროდუქტს, მომსახურებებს, პროცესებს, მასალებს, სისტემებს, შესაბამისობის შეფასებას, მენეჯერულ და ორგანიზაციულ პრაქტიკას. ყველაზე ხშირად მიმართავენ სტანდარტიზაციის საერთაშორისო

ორგანიზაციის (ISO) სტანდარტებს, რომლებიც მოქმედებენ 1947 წლიდან. კერძოდ ISO 9000 სტანდარტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის სისტემების მოთხოვნებს. მომავალი ISO 26000 სტანდარტი უზრუნველყოფს სოციალური პასუხისმგებლობის, მათ შორის შრომის ნებაყოფილობით ხელმძღვანელობას. iso სტანდარტების მოქმედება ქმნის მაღალ მოლოდინს ადამიანების მართვისა და მათი სრული ჩართულობის თვალსაზრისით.

ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EQFM) განსაზღვრული ხარისხის სტანდარტები ასევე მაღალ მოლოდინებს ქმნიან სამუშაო ძალის მართვისა და ჩართულობის მიმართულებით.

ბევრი კომპანიისთვის პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი არსებული სიტუაციის ანალიზია, რომელსაც ძველი ბიზნეს პროცესების გადასინჯვისა და მათი მაღალი ხარისხის პროცესებით ჩანაცვლებისაკენ მივყავართ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა კომპანია ერთი დონიდან არ იწყებს. ამ პროცესების წარმოდგენა ორგანიზაციაში მრავალი ფორმით შეიძლება, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური და შესაძლოა შევიდეს შემდეგ დოკუმენტებში:

- დასაქმების ინდივიდუალური კონტრაქტი
- კადრების სახელმძღვანელო
- ადამიანური რესურსების პოლიტიკა
- ეთიკური ქცევის კოდექსი
- ორგანიზაციის წესები და რეგულაციები (სახელმძღვანელოები)
- ყოვლისმომცველი პოლიტიკის მქონე ასოციაციის წევრობა

როგორ აწყობთ პროცესს

1-ლი საფეხური -

კომპანია იწყებს სამუშაო ძალასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას

● შეამოწმეთ კომპანიის დასაქმების პოლიტიკა ან არსებული საქმიანობა, რათა დაადგინოთ:

● კანონმდებლობა და შესაბამისობა

● სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილის მრავალფეროვნება

● სამუშაოს/ცხოვრების ბალანსი

● ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

● სწავლება და კადრების განვითარება კომპანიის განვითარების პოლიტიკის შესაბამისად

● სამართლიანობა სამუშაოზე, მათ შორის ანაზღაურების დროს

● სამრეწველო ურთიერთობების მდგომარეობა კომპანიაში და პროფესიულ კავშირებთან

● უფროსი მენეჯერის დანიშნვა პროგრამის ამ სფეროში განხორციელების მიზნით

● გამჭვირვალობის და ნდობის ატმოსფეროს უზრუნველყოფა

1-ლი საფეხურის აქტივობებში შედის:

● ხელმძღვანელობა ერთვება სამუშაო ადგილზე განხორციელებულ აქტივობებში, იღებს ქცევის კოდექსს და ნიშნავს მენეჯერს პოლიტიკისა და ამ კოდექსის განხორციელებისათვის.

● შეამოწმეთ კადრების ჩართულობა - არსებული ადამიანური რესურსების და სამუშაო ადგილის პოლიტიკა ზემოთ აღნიშნული საკითხებისათვის.

● ადამიანური რესურსების/სამუშაო ადგილის სტრატეგიის შემუშავება და გავრცელება, სამართლებრივი შესაბამისობა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, კადრების ჩართულობა, კადრების განვითარება, შეფასება და კომპენსაცია და ადამიანური რესურსების პოლიტიკის შესახებ თანამშრომლების

ინფორმირება.

● პროფესიონალური hrm სისტემის შემუშავება და შესაბამისი მენეჯერების სწავლების და პროფესიონალური ავტონომიის უზრუნველყოფა

● ადამიანური რესურსების/სამუშაო ძალის სამოქმედო გეგმის მომზადება, ბიუჯეტირება, განხორციელება და მონიტორინგი, მათ შორის საკვანძო საკითხები და მიზნები: გადადგი საჭირო ნაბიჯები და აღნიშნე წარმატება.

● ჩართე თანამშრომლები შედეგების გადასინჯვაში, მოიძიე მათი იდეები (ანონიმურად) და აცნობე მიღწევების შესახებ ყველა თანამშრომელს და დაინტერესებულ მხარეებს.

● დახვეწე საწყისი სტრატეგია მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაითვალისწინე არსებული სტანდარტების (ISO) გამოყენების დაწყების შესაძლებლობა.

● მოამზადე და გაავრცელე ანგარიში.

მე-2 საფეხური -

კომპანიას სურს საბაზისო მონაწილეობიდან უფრო წინ წაიწიოს

● უზრუნველყავი კომპანიის ძირითადი ღირებულების განსაზღვრება და/ან ქცევის კოდექსი, დაუშვებელია დისკრიმინაცია კადრების აყვანისას, ასევე განვითარება და ხელშეწყობა რასობრივი, გენდერული, ასაკობრივი, რელიგიური ნიშნით და სხვა.

● უზრუნველყავი ქცევის კოდექსი სამართლიანობის, პატიოსნების და პატივისცემის საფუძველზე, მათ შორის ეთიკა და ქცევა, შემდეგი მიმართულებებით:

● დაშინება და აგრესია სამუშაოზე

● შრომა/ცხოვრების ჯანსაღი ბალანსის უზრუნველყოფა

● პროფესიულ კავშირებში თავისუფლად გაწევრიანების უფლება და მონაწილეობა კოლექტიურ მოლაპარაკებებში

● საჩივრების სამართლიანი სისტემა - ანონიმური განცხადების

შესაძლებლობა დამოუკიდებელი პირის მიერ
● ინტერესთა კონფლიქტი, მექრთამეობა და კორუფცია, ალკოჰოლის და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული დანაშაული
● განსაზღვრე პრიორიტეტები და წარმატების მიზნები, სამუშაო ადგილის მართვის ყველა ძირითადი ფუნქციისათვის, როგორიცაა სწავლება და განვითარება, დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები, თანამშრომლების ზრდა განვითარება, შრომა/ცხოვრების ბალანსი და სხვა.
● შექმენი თანამშრომლების მხარდაჭერის პროგრამები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმე ისეთ საკითხებს როგორიცაა დიდი დანაკარგი, განქორწინება, ალკოჰოლის და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული დანაშაული, ასევე გაითვალისწინე დამატებითი სარგებელი როგორიცაა პენსია, ჯანდაცვა და სიცოცხლის დაზღვევის სქემები.
● მოითხოვე და დააფინანსე ჯანმრთელობის სავალდებულო გამოკვლევა - მათ შორის სქესისათვის სპეციფიური ტესტირება.

მე-2 საფეხურის აქტივობებში შედის

● მაღალი დონის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა ადამიანური რესურსების/სამუშაო ძალის სტრატეგიის ინტეგრირებისათვის კომპანიის სტრატეგიაში.

● გადასინჯე არსებული ადამიანური რესურსების/სამუშაო ადგილის პოლიტიკა.

● გადასინჯე/შეიმუშავე, დაასრულე და გაავრცელე ადამიანური რესურსების/სამუშაო ადგილის სტრატეგია, მათ შორის ჯანმრთელობის სკრინინგი, თანამშრომლების მოსაზრებების გათვალისწინებით.
● განაახლე ადამიანური რესურსების/სამუშაო ადგილის სამოქმედო გეგმა და რეგულარულად აკონტროლე მისი განხორციელების მიზნები: შეასწორე საჭიროების შემთხვევაში და აღნიშნე წარმატება.
● რეგულარულად მოამზადე და გაავრცელე ანგარიში ხელმძღვანელობის,

თანამშრომლების და დაინტერესებული მხარეების წარმატების შესახებ.
● აწარმოე სტრატეგიის შესახებ დიალოგი თანამშრომლებთან და ჩართე ისინი სამუშაო ადგილის პოლიტიკასა და ინიციატივებში.
● გადასინჯე პოლიტიკა, სამოქმედო გეგმის წარმატება, დახვეწე პოლიტიკა და სტრატეგია

3-ე საფეხური - კომპანიები გეგმავენ საქმიანობის გაუმჯობესებას

● გამოიყენე პროფესიონალური გაზომვისა და დიაგნოსტიკის მექანიზმები, რათა შეაფასო კომპანიის საქმიანობა ადამიანური რესურსების მართვის და უწყვეტი გაუმჯობესების მიმართულებით
● შეამოწმე კომპანიის საქმიანობა ISO სტანდარტებთან მიმართებაში და მიიღე მონაწილეობა დაჯილდოვებისა და სერთიფიცირების პროგრამებში.
● გაზომე და წარმოადგინე ანგარიში კომპანიის სამუშაო ადგილზე ზემოქმედების შედეგების შესახებ, მათ შორის დასაქმებულის აღქმის გაზომვა
● გაერთიანების, რესტრუქტურიზაციის ან ზრდის შემთხვევაში განახორციელე დასაქმებულთა დაცვის/განვითარების პროგრამები
● აწარმოე ეფექტური კონსულტაციები დასაქმებულებთან და მათ წარმომადგენლებთან
● წაახალისე დასაქმებულები მიიღონ მონაწილეობა სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებში
● გაუზიარე სხვებს საუკეთესო პრაქტიკა, იმოქმედე როგორც ლიდერმა და ამ სფეროში ბიზნესის ჩართულობის ხელშემწყობმა
● მოახდინე გავლენა შენს მიწოდების ჯაჭვზე არაფორმალური შრომის და სხვა არალეგალური ან უსამართლო საქმიანობის მიმართ უარყოფითი პოზიციით.

მე-3 საფეხურის აქტივობებში შედის:

● უზრუნველყავი, რომ ხელმძღვანელობამ სცნოს ადამიანური რესურსების/სამუშაო ადგილის კარგი პოლიტიკის სარგებელი,

თანამშრომლების მორალის, მოტივაციის და რეპუტაციის თვალსაზრისით.

● გაითვალისწინე დასაქმების/სამუშაო ადგილის საუკეთესო პრაქტიკა და რეგულარულად ჩაატარე კადრების კვლევა, სხვა კომპანიებტან შედარების მიზნით.

● დახვეწე ადამიანური რესურსების/სამუშაო ადგილის სტრატეგია, მოაგვარე ზემოთ აღნიშნული საკითხები და უზრუნველყავი ჯანმრთელობის/სამუშაო ადგილის სკრინინგი, გამჭვირვალე სახელფასო სისტემა, კოლექტიური მოლაპარაკება და სოციალური დიალოგი, თანამშრომლების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში.

● გააფართოვე ადამიანური რესურსების/სამუშაო ადგილის სამუშაო გეგმა და რეგულარული მონიტორინგი დააწესე მის განხორციელებაზე, შეასწორე საჭიროების შემთხვევაში და აღნიშნე წარმატებები.

● წარმოადგინე და გაავრცელე ანგარიში ბიზნესის გაუმჯობესებული რეპუტაციის და მისი შედეგების პოზიტიური ზემოქმედების შესახებ.

● აწარმოე დიალოგი ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის მომწოდებლებთან, კლიენტებთან, .ბიზნეს პარტნიორებთან და თემთან.

● მიმოიხილე და წარმოადგინე პროგრესი და მიღწევები, შესთავაზე ხელმძღვანელობას გაუმჯობესებული სტარტეგია, გაუზიარე საუკეტთესო გამოცდილება და შეარჩიე დასაჯილდოვებელი კანდიდატები.

● წარმოადგინე და გაავრცელე ანგარიში

„შეგიძლია წაიღო ჩემი ქარხნები, დაწვა ჩემი შენობები, მაგრამ დამიტოვე ჩემი ხალხი და მე თავიდან დავიწყებ ყველაფერს.“

ტომას ვატსონი

ibm-ის დამფუძნებელი

როგორ ზომავთ?

შესაბამისობით შესაძლო ზემოქმედების ინდიკატორებთან, რომელთა მეშვეობით კომპანიებს შეეძლოთ საქმიანობის გაზომვა და მონიტორინგი ქვემოთ მოყვანილი მიმართულებებით:

ზემოქმედების ინდიკატორების ჩამონათვალი

1-ლი საფეხური - კომპანია ახლა იწყებს პროგრესის გაზომვას • სამუშაო ძალის პროფილი • კადრების აბსენტიზმი და ჩამორჩენა (პირველ დონეზე განხორციელებული ზომების ანალიზი, მაგალითად აბსენტიზმი და ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა, ასევე ავადმყოფობის შვებულება) • ორგანიზაციული კულტურის, სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესის და სამუშაოთი კმაყოფილების კვლევა. • კანონთან შეუსაბამობის მაგალითების რაოდენობა, კოლექტიური მოლაპარაკებები და დასაქმებულებისთვის საინტერესო სხვა ინსტრუმენტები (სამუშაო ადგილის უსაფრთხოება, თანასწორი შესაძლებლობები და სხვა) • ჯანმრთელობის დაზღვევის სტატისტიკა - სადაც უზრუნველყოფილია: • საწარმოო ტრამვების და თანამშრომლების გარდაცვალების რაოდენობა • თანამშრომლების საჩივრების რაოდენობა	1

• კორუფციის ან არაპროფესიონალური ქცევის შემთხვევები საინტერესო სხვა ინსტრუმენტები (სამუშაო ადგილის უსაფრთხოება, თანასწორი შესაძლებლობები და სხვა) • ჯანმრთელობის დაზღვევის სტატისტიკა - სადაც უზრუნველყოფილია: • საწარმოო ტრამვების და თანამშრომლების გარდაცვალების რაოდენობა • თანამშრომლების საჩივრების რაოდენობა • კორუფციის ან არაპროფესიონალური ქცევის შემთხვევები	
მე-2 საფეხური - კომპანიას სურს საბაზისო მონაწილეობიდან უფრო წინ წაიწიოს • თანამშრომლების გადინება • თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფილი ტრენინგის და განვითარების ღირებულება და მათი ჩართულობის პროცენტი • ანაზღაურების და პირობების შედარება ადგილობრივი ექვივალენტების საშუალოსთან, მაგრამ სექტორში საუკეთესოსთან	**2**
მე-3 საფეხური - კომპანიას სურს კიდევ უფრო გააუმჯობესოს საქმიანობა • პოტენციურ კრიზისულ სიტუაციებთან ადაპტაციის შეფასება	**3**

• კომპანიის შესახებ საზოგადოების წარმოდგენის გაზომვა (მაგალითად თანაბარი შესაძლებლობები, სამუშაო/ცხოვრების ბალანსი და სხვა)	

თითოეულმა კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს რომელი ინდიკატორია ზემოაღნიშნულთაგან მნიშვნელოვანი მისი საქმიანობისთვის და შემდეგ გაზომოს ისინი ინდივიდუალური ინფორმაციის კონფედენციალურობის უზრუნველყოფით, ნებისმიერ ანგარიშგებაში. ეს ინდიკატორები უნდა შეესაბამებოდნენ ა) მის ხედვას, ძირითად ღირებულებებსა და მიზნებს, ბ) რისკებს და პოტენციალს რომელიც გამომდინარეობს კომპანიის სოციალური იმიჯიდან და გ) აქციონერების და დაინტერესებული მხარეების პოზიციებს.

ინდიკატორების ჩამონათვალი შეიძლება ვიპოვოთ გლობალური ანგარიშგების ინიციატივაში. აღსანიშნავია, რომ ზემოქმედების ინდიკატორების ჩამონათვალი განსხვავებულია კომპანიებს და ასევე სექტორებს შორის. ინდიკატორებზე მუშაობისას მნიშვნელოვანია კომპანიის ბუნება და მისი ზემოქმედება სხვადასხვა ტიპის დაინტერესებულ მხარეებზე. მართვის ციკლებსა და ანგარიშებს შორის საინტერესოა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა, რადგან ეს დაეხმარება კომპანიას გადაწყვიტოს რომელი ინდიკატორია ყველაზე მნიშვნელოვანი.

როგორ ამცნობ ყველას შენი საქმიანობის შესახებ?

რატომ ანგარიში?

ანგარიშგება და შენი საწარმოს საზოგადოებაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის გავრცელება გეხმარება:

- უჩვენო შენი საქმიანობის გახსნილობა და გამჭვირვალობა და შექმნა ნდობა
- ხელი შეუწყო ცვლილებებს საწარმოში
- დააკმაყოფილო დაინტერესებული მხარეების ინტერესი სათანადო ინფორმაციით
- უჩვენო სერიოზული დამოკიდებულება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ
- დააჯილდოვე თანამშრომლები ბიზნეს პროგრამებში სოციალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერისა და მასში მონაწილეობისათვის
- წაახალისე ცვლილება ბიზნეს სექტორსა და მთლიანად საზოგადოებაში

დღეისათვის არსებობს სამართლებრივად დადგენილი ანგარიშგების მოთხოვნები მსოფლიოს ნებისმიერი კომპანიის არა ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, გარემოსდაცვითი, სოციალური ან უფრო მრავალმხრივი მდგრადობის ანგარიშების (მათ შორის ფინანსური, გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ) მომზადების პრაქტიკა გასული ათწლეულის განმავლობაში სწრაფად განვითარდა, განსაკუთრებით დიდ და საერთაშორისო კომპანიებში. კომპანიები რომლებიც არ ამზადებენ ცალკეულ ანგარიშებს ხშირად დაურთავენ ხოლმე წლიურ ანგარიშს თავებს მათი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ ან აქვეყნებენ ინფორმაციას ვებ გვერდის სპაციალურ განყოფილებაში.

ყოველწლიური ანგარიშგება პროგრესის შესახებ სავალდებულოა Global Compact-ის კორპორატიული წევრებისთვის და წარმოადგენს მათი წევრობის გაგრძელების ძირითად პირობას. Global Compact-ის წევრებს შორის მოხსენება პროგრესის შესახებ (COP) გამოქვეყნებულია ინიციატივის ცენტრალურ ვებ

გვერდზე.

იმისთვის რომ კორპორატიული ანგარიშები საიმედო და შესადარისი გახდეს, გლობალური ანგარიშგების ინიციატივამ შეიმუშავა ინდიკატორების და სახელმძღვანელოების პაკეტი, რომელიც ახლა წარმოადგენს ყველაზე გამოყენებად და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ანგარიშგების ჩარჩოს. გლობალური ანგარიშგების ინიციატივის მესამე ვერსია ითარგმნა საქართველოს სტარტეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ და განთავსებულია მის ვებ გვერდზე. კომპანიებისთვის რომლებსაც სურთ ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვა, განსაკუთრებით რეკომენდებულია ონ ლაინ რეჟიმში ანგარიშგების მექანიზმი.

ანგარიშგების ელემენტები

ლიდერობის საუკეთესო ტესტი არის თანმიმდევრულობა, რომლითაც კომპანანიაში ერთი მესიჯი გადაიცემა კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით. ეს უჩვენებს, რომ კომპანიას აინტერესებს მთლიანად სოციალური ზემოქმედება და არა ერთჯერადი ინიციატივები.

კომპანიებმა ანგარიშგებისას უნდა უჩვენონ თუ როგორ არის მათი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობები დაკავშირებული მათ ბიზნეს საქმიანობასა და სტრატეგიასთან.

მნიშვნელოვანია, რომ ადგილი არ ჰქონდეს გადამეტებულ მოთხოვნებს, რადგან შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება რომ შენი საქმიანობა მხოლოდ საჩვენებელია. კომერციული სპონსორის მიერ გაღებული თანხები არ უნდა იქნეს წარმოდგენილი როგორც სათემო ინვესტიციები. ასევე, მაგალითად თუ კანონი სთხოვს კომპანიებს ინვალიდების დასაქმებას და თქვენი კომპანია ემორჩილება ამ საკანონმდებლო მოთხოვნას, მართებული არ იქნება ამაზე

როგორც სოციალური პასუხისმგებლობის ქცევაზე საუბარი.

კომპანიებმა უნდა სძლიონ ცდუნებას და რეკლამირებისას არ თქვან, რომ ყველა პრობლემა მოაგვარეს, უმჯობესია ისაუბრონ გაუმჯობესების უწყვეტ პროცესზე თუნდაც ეს პატარა ნაბიჯების გადადგმას გულისხმობდეს.

ამასთან სრული კომუნიკაცია უნდა წავიდეს მარტივი და გასაგები ენით, ყოველთვის გახსოვდეთ რომ ანგარიშგების მიზანია პასუხი გასცეს დაინტერესებული მხარეების კითხვებს თქვენი კომპანიის შესახებ.

როგორ მივაღწიოთ მიზანს

ეფექტური ანგარიშგებისთვის კომპანიებმა უნდა:

- განსაზღვრონ და პრიორიტეტულობის მიხედვით დაალაგონ სამიზნე აუდიტორიები კომუნიკაციისათვის
- მოიფიქრონ მთავარი მესიჯები
- უზრუნველყონ საკომუნიკაციო არხები სამიზნე აუდიტორიებისათვის
- უზრუნველყონ პროგრამაში მონაწილე ყველა ადამიანის საკონტაქტო დეტალები
- წარმოადგინონ ანგარიში ბიზნეს პროგრამაში მათი სოციალური პასუხისმგებლობის მოკლე და გრძელვადიანი მიღწევების ზემოქმედების შესახებ
- გარკვეული დროის შემდეგ გადაამოწმონ, რომ კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან ნამდვილ დიალოგს ემსახურება, სადაც ორმხრივად ხდება ნფორმაციისა და იდეების ნაკადების მოძრაობა.

კომუნიკაციის გზები

კომპანიის ანგარიშგების მაღალი დონე აისახება მის მიერ ინფორმაციის გამიზნულად მიწოდებასა და დამატებით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. ბიზნეს სიტუაციების უმრავლესობაში შესაძლებელია კომუნიკაციის ქვემოთ მოყვანილი მეთოდების გამოყენება:

შიდა	გარე
გუნდის ბრიფინგები	წლიური ანგარიშები
პროცედურული ჩანაწერები, ოქმები, ცირკულარები, შეტყობინებები	ვებ გვერდი
ტრენინგები	ცალკეული ანგარიშები
შიდა ჟურნალები, ბიულეტენები	ინტეგრირებული ანგარიშები, პროფესიული ჟურნალები, გარე ჟურნალები
შიდა შესაბამისობა	წლიური შეხვედრები
ინტრანეტი	მედია გამოშვებები
საინფორმაციო დაფები, შეთავაზებების ყუთები	უფროსი მენეჯერების სასაუბრო პლატფორმები
თანამშრომლების შეხვედრები (თათბირები)	კორპორატიული ვიდეოები

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას კომპანიებმა არ უნდა დაივიწყონ შიდა კომუნიკაცია თანამშრომლებსა და მენეჯერებთან. ეს ხელს უწყობს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრირებას საქმიანობაში, აუმჯობესებს ჰორიზონტალურ კომუნიკაციას კომპანიაში და ამაღლებს თანამშრომლების მოტივირებულობას და ერთგულებას.

ანგარიშების შენაარსი

შედარებით დიდი კომპანიები ანგარიშგებისას იყენებენ ამ მეთოდების კომბინაციას:

- ბიზნესის საქმიანობის სფერო და ზემოქმედება
- სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში ინტეგრირების მტკიცებულება
- მართვის საკითხები (ძირითადი ზემოქმედებები, მართვის სტრუქტურები და პასუხისმგებლობები, მიზნები და ამოცანები)
- შედარებითი მონაცემები და ტენდენციები (დროთა განმავლობაში და სექტორის შიგნით)
- დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის მომწოდებლებსა და კლიენტებთან ურთიერთობის დონე
- ბიზნეს სფეროში სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ფინანსური მონაცემები
- დისკუსია მდგრადობასთან დაკავშირებული ვადების და კომპლექსური საკითხების შესახებ

გასათვალისწინებელი პრინციპები

როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას აუდიტორიისათვის ყველაზე შესაფერისი მეთოდების შესახებ, უნდა გაითვალისწინო პრინციპები რომლებიც ანგარიშების სტრუქტურირებაში დაგვეხმარება:

- ასახე ყველა დაინტერესებული ჯგუფის მისწრაფებები და საჭიროებები
- შეიტანე შენი კომპანიის საქმიანობის ყველა შესაბამისი სფერო
- შეიტანე მთელი მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- უზრუნველავი ანგარიშგების რეგულარულობა, სისტემატურობა და დროულობა
- გამოიყენე ხარისხის უზრუნველყოფის აუდიტორული მეთოდები და გახადე ანგარიშგება საიმედო
- სათანადო და ეფექტური კომუნიკაცია დაამყარე ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან
- გახადე ინფორმაცია შესადარისი, საიმედო, რელევანტური და გასაგები
- მოახდინე ანგარიშგების ინტეგრირება სისტემებში, პოლიტიკის მომზადებასა და საქმიანობაში
- განსაზღვრე მომავალში საქმიანობის გაუმჯობესებისკენ ნაბიჯები

ნებისმიერი ტიპის ანგარიში უნდა ეყრდნობოდეს შენი ბიზნესის მიზნის და ღირებულებების ლოგიკას. დაიმახსოვრეთ: ანგარიშგება თავად არ არის დასასრული. ეს არის თანამშრომლებს, კლიენტებს, მომწოდებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ნდობის ამაღლება. საქმიანობისა და საზოგადოებაზე ზემოქმედების შესახებ Er-იად საუბრის წყალობით თქვენი კომპანია გახდება სამაგალითო მომგებიანობის და სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

რას გვპირდება მომავალი?

თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციების კონტექსტში და პოზიციაში რომელიც საქართველოს სურს დაიაკვოს, სამუშაო ძალის მნიშვნელობა უეჭველად გაიზრდება. მიტივირებული და კარგად განსწავლული თანამშრომლების შესანარჩუნებლად დამსაქმებლებმა უნდა განსაზღვრონ და თანმიმდევრულად შეინარჩუნონ ტენდენციები. სასურველია შემდეგი საკითხების გაცნობიერება:

გარდამავალი პერიოდი - გარკვეული პერიოდის შემდეგ საქართველო გადალახავს წინააღმდეგობის პრობლემას საბჭოთა მენტალიტეტის მქონე გამოცდილ თანამშრომლებსა და ახალგაზრდა დასავლური ან დასავლური ტიპის განათლების, თუმცა მცირე გამოცდილების მქონე ადამიანებს შორის. ამ ეტაპზე ეს კვლავ პრობლემად რჩება, რომელიც მენეჯერებმა უნდა მოაგვარონ.

ადამიანური რესურსების მართვა - უფროსი მენეჯერების მიერ ადამიანური რესურსების მნიშვნელობის და ორგანიზაციაში პროფესიონალი კადრების საჭიროების გაცნობიერება, ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების სათანადო მართვის განვითარებას და მათი ხარისხის გაუმჯობესებას, მაგალითად თანამშრომლების მრავალფეროვანი საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფით. ადამიანური რესურსების მენეჯერები გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო თვალსაჩინო როლს, ხოლო ადამიანური რესურსების მენეჯმენტი უფრო მაღალ პროფესიულ სტატუსს შეიძენს ვიდრე დღეს აქვს საქართველოში.

ევროპული ინტეგრაციის გავლენა - ევროპული კანონმდებლობის და რეგულაციების ორი განსაკუთრებით კარგად რეგულირებული სფერო არის ადამიანის უფლებები - ანუ თანასწორობა და თანასწორი უფლებები და შრომის უსაფრთხოება. საქართველოში ორივე ასპექტი რეგულირებას მოითხოვს, განსაკუთრებით როდესაც საქმე კანონმდებლობის კომპანიებში ამოქმედებას მოითხოვს. ამასთან, სამუშაო ძალის მობილურობის მოსალოდნელი ზრდა, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა და უკეთ განათლებულ ხალხს ეხება, გაამარტივებს მათი კომპანიებში გადამზადების საკითხს. შესაბამისად პოპულარული დამსაქმებლის სტატუსი ახლანდელზე მნიშვნელოვანი გახდება მომავალში.

დემოგრაფია - საქართველოს დემოგრაფიული სტრუქტურა შემაშფოთებელია: ქვეყნის მოსახლეობა მცირდება, შესაბამისად მცირდება შრომისუნარიანი

ადამიანების რაოდენობა; გრძელდება მოსახლეობის დაბერება და "გონების გადინება" ანუ კვალიფიციური მუშახელის გადინება ქვეყნიდან. აღნიშნულ პრობლემას სახელმწიფომ უპასუხა პრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამით, სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების გაზრდით და სხვადასხვა დიასპორების მეშვეობით მოქალაქეების უკან მოზიდვის მცდელობით.

კავშირები - საქართველოში რეფორმირებული და მოდერნიზებულია ძველი საბჭოთა ტიპის პროფესიული კავშირების სისტემა, რამაც გააუმჯობესა კავშირების შესაძლებლობები, იმოქმედონ როგორც ძლიერმა პარტნიორებმა; მაგალითად სამ მხრივი სოციალური დიალოგი და კოლექტიური მოლაპარაკებები საქართველოს შეცვლილ თავისუფალ ბაზარზე.

სამუშაოს მომავალი - საბოლოოდ ახალი ტექნოლოგია შეცვლის ჩვენი მუშაობის სტილს, სამუშაოსა და სამუშაო ადგილის ორგანიზებას. ტელეკომუნიკაციების განვითარება გამოიწვევს ოფისების უმეტესობის ონ ლაინ რეჟიმში მუშაობას; ეს მეტად მოქნილს გახდის ინტერპესონალურ კომუნიკაციას და ადამიანები უფრო მოქნილად დააბალანსებენ შრომასა და ცხოვრება

თემა 4. ექსტრემალური გუნდის მართვა

პროცესის ფასეულობები

გუნდი არის ორი ან მეტი ადამიანის გაერთიანება, რომელსაც აქვს ერთი მიზანი და ახდენს შრომის კოორდინაციას მის მისაღწევად. წარმატებულ და შედეგზე ორიენტირებულ გუნდში, ჩვეულებრივ, მაღალია ნდობის ფაქტორი და წარმატებაც ერთობლივი შრომის შედეგად მიიღწევა. „გამარჯვებული" გუნდები კი შემთხვევით არ იქმნებიან. ერთი და იგივე მიზნის მისაღწევად სხვადასხვა კომპანიებმა შესაძლებელია ერთიდაიგივე ხერხები გამოიყენონ. ერთერთი ფაქტორი, რაც ყველაზე მეტად განასხვავებს ორგანიზაციას ეს თანამშრომლებია. მათი დაქირავება, სწავლება და მოტივაცია არის ძირითადი, რაც თქვენს კომპანიას გამორჩეულს მიმზიდველს გახდის. გუნდის სწორად წარმართვაში ძალიან მნიშვნელოვან როლი ეკისრება გუნდის ლიდერს. იმ შემთხვევაში თუ ლიდერი გუნდის თითოეულ წევრში პოულობს განსაკუთრებულ ნიჭს და აძლევს საშუალებას ყველა წევრს ერთი საერთო მიზნისთვის გაერთიანდნენ, მაშინ შედეგი და საუკეთესო შეფასებაც არ დააყოვნებს.

იმისათვის რომ შევქმნათ წარმატებული გუნდი, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები.

1. **თანამშრომელთა დაქირავება.** თანამშრომელთა შერჩევა რთული და ხანგრძლივი პროცესია. დარწმუნდით რომ გუნდის თითოეული წევრს აქვს შესაბამისი უნარები და მოტივაცია. გადაამოწმეთ რეკომენდაციები თითოეულ მათგანზე. დარწმუნდით, რომ ინტერვიუს დროს მოსმენილი ინფორმაცია, თანხვედრაშია რეკომენდატორების შეხედულებასთან. ხშირად მენეჯერები ყურადღებას აქცევენ პროექტის ტექნიკურ მოთხოვნებს და თანამშრომლებსაც შესაბამისად არჩევენ. ამ მიდგომამ შეიძლება არ გაამართლოს, მაშინ როცა გუნდის ლიდერი არ ფიქრობს გუნდის შიგნით ურთიერთობებზე, რომელიც

აუცილებელია დავალების შესასრულებლად. გუნდის წევრები ერთმანეთის ნიჭს უნდა აფასებდნენ. მაგალითისათვის ერთი შეიძლება იყოს იდეების გენერატორი, მაგრამ ნაკლებად შეეძლოს ანალიტიკური სამუშაოს შესრულება, როცა მეორე წევრს შეიძლება ჰქონდეს კარგად განვითარებული ანალიტიკური უნარი. ამ შემთხვევაში ეს ორი წევრი ერთმანეთის სისუსტეებს დააკომპენსირებს.

2. **პოზიცია „მე"- დან პოზიცია" ჩვენ" -ზე გადასვალა.** იმისათვის რომ დავეხმაროთ გუნდის წევრებს გადავიდნენ პოზიცია „მე"- დან პოზიცია „ჩვენ"-ზე საჭიროა:

- ერთიანი სურათისა და მიზნის დანახვა. აუხსენით გუნდის წევრებს რა არის მათი მიზანი და რა კავშირშია ის მთელი ორგანიზაციის განვითარებასთან. ეს მეტ მოტივაციას შესძენს გუნდის წევრებს. გუნდში უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც მხოლოდ ერთობლივი მუშაობის შედეგად იმუშავებს. გუნდის თითოეული წევრი უნდა შეესაბამებოდეს გუნდის შიდა კულტურას.
- ჭკვიანები გუნდში. განიხილეთ გუნდის თითოეული წევრის შესაძლებლებლობები – უნარები და გამოცდილება, რომელიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ გუნდის სასარგებლოდ. თქვენ ასევე შეგიძლიათ მისცეთ საკუთარი გამოცდილების გაზიარების საშუალება გუნდის თითოეულ წევრს. ეს კარგი დასაწყისი იქნება გუნდური მუშაობისთვის.
- „ვინ რას აკეთებს და როდის". გუნდის ფორმირებისას, ხშირად იქმნება ხოლმე გაუგებრობები თითოეული წევრის პასუხისმგებლობაზე და მოვალეობებზე. საჭიროა თავიდანვე მოკლევადიანი გეგმებისა და მათი შესასრულებლად საჭირო ნაბიჯების დასახვა.

3. **უკუკავშირი.** აუცილებელია გუნდის წევრებმა მიიღონ უკუკავშირი მათი ლიდერისგან. ეს დაეხმარებათ მათ შედეგების გაუმჯობესებაში. უკუკავშირი კომუნიკაციის ხელოვნებაა. ის შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ მკაცრად გაწერილი და სტრუქტურირებული უკუკავშირი ვერ მოგვიტანს შედეგს. თითოეული გუნდი

მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან შესაბამისად არ არსებობს მზა რეცეპტები და საჭიროა წევრებისადმი ინდივიდუალური მიდგომა. გამონახეთ დრო და შეახსენეთ თქვენი გუნდის წევრებს რა და როგორ შეიძლება გაკეთდეს კარგად, მოუსმინეთ მათ და არ დაგავიწყდეთ, რომ უკუკავშირი ორმხრივი პროცესია.

4. **შექმენით გუნდში სასიამოვნო გარემო.** გამოყავით დრო გართობისთვის და განტვირთვისა სამსახურში. მოაწყვეთ არაფორმალური შეხვედრები გუნდთან ერთად. მიეცით მათ საშუალება უკეთ გაიცნონ ერთმანეთი სამსახურის გარეთ.
5. **დაფასება და აღიარება.** აღიარება ხშირად, პროაქტიული უკუკავშირის შედეგია. ადამიანებს უყვართ, როცა მათ აღიარებენ, მაგრამ ყველაზე მეტად აფასებენ პატივისცემას მათ მიმართ. გამოყავით დრო გუნდის თითოეული წევრისთვის. აღიარებას მოაქვს კმაყოფილება საკუთარი სამსახურით და შესაბამისად იზრდება მოტივაციაც.
6. **ყოველთვის აღნიშნეთ წარმატება.** გუნდის გაძლიერებისთვის აუცილებელია მცირედი წარმატების აღნიშვნაც. დღევანდელი ცხოვრების სწრაფი ტემპის გამო ადამიანებს არ აქვთ საკმარისი დრო გაანალიზონ მათი წარმატება და სარგებელი გარშემომყოფთათვის. არ უგულვებელყოთ მცირე წარმატებული საქმეები, რადგან საბოლოო ჯამში ისინი ქმნიან წარმატების ისტორიას. გუნდის წევრებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ის განსაკუთრებული მომენტები, როდესაც მათ გადაკვეთეს ფინიშის ხაზი.

გუნდის ლიდერი წარმატებულია მხოლოდ მის გუნდთან ერთად. საუკეთესო ლიდერებმა იციან, რომ წარმატება გუნდის სწორი დინამიკით, გადაწყვეტილებებითა და გუნდის თითოეული წევრის ძალისხმევით მიიღწევა.

როგორ ჩამოვაყალიბოთ ეფექტური გუნდი

ეს პროცესი უნდა მოიცავდეს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზს, უფლებამოსილების განსაზღვრასა და დელეგირებას, თანამშრომლების

წახალისებას, ტრენინგებს, შიდა კომუნიკაციის ეფექტურ მექანიზმებს და გარე საკონსულტაციო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩართულობას.

- ბიზნესგეგმის განხილვა და განახლება
- უფლებამოსილების დელეგირება
- თანამშრომლების წახალისება
- კომპანიის შიდა პოლიტიკა
  - სტრატეგიული გეგმა
  - სამუშაო პროცესების აღწერილობა
  - ტრენინგების სახელმძღვანელო
  - შინაგანაწესი
- შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალებები
- საკონსულტაციო საბჭო
- რეკომენდაციები

ბიზნესგეგმის განხილვა და განახლება

ბიზნესი ასოცირდება რისკებთან. რაც უფრო მეტს იფიქრებთ საკუთარ ბიზნესზე, მისი გაფართოების გზებსა და დასახულ მიზნებზე, მით ნაკლები იქნება რისკი. ასევე უნდა იზრუნოთ ნიჭიერი და კომპეტენტური თანამშრომლების აყვანაზე, რომლებიც, თავის მხრივ, ვალდებული იქნებიან თქვენი საქმიანობის წარმატებაზე იზრუნონ.

ბიზნესის გაფართოების პროცესში მნიშვნელოვანია ბიზნესგეგმის მუდმივი განხილვა-განახლება, უწყვეტი დიალოგი თქვენს გუნდსა და გარე საკონსულტაციო საბჭოსთან. რეკომენდირებული ქმედებები:

- რეგულარულად ჩაატარეთ შეკრება თქვენს წამყვან მენეჯერებსა და საკონსულტაციო საბჭოსთან, სადაც ღიად განიხილავთ მიმდინარე საკითხებს და მოახდენთ ახალი იდეების გენერირებას. ობიექტურად

შეაფასეთ და გადახედეთ გეგმებს და საჭიროების შემთხვევაში შეცვალეთ

- ბიზნესის გაფართოების გეგმა გამართლებული უნდა იყოს ფინანსური თვალსაზრისით, ასევე შეფასებადი გაზომვადი პარამეტრებით
- მნიშვნელოვანია, კომპანიის ძირითადი თანამშრომლები მონაწილეობდნენ გეგმების განხილვა-განახლებაში
- რეგულარულად გააანალიზეთ კომპანიის ფულადი ნაკადების პროგნოზი, რათა განსაზღვროთ დაგეგმილთან შესაბამისობა
- შეისწავლეთ თქვენი კონკურენტები
- განიხილეთ სხვადასხვა ბიზნესსცენარი და ანალიზის საფუძველზე შეარჩიეთ თქვენთვის ოპტიმალური ვარიანტი

უფლებამოსილების დელეგირება

ხშირად მეწარმეებს უძნელდებათ პასუხისმგებლობების დელეგირება. თუმცა, უფლებამოსილების სხვა თანამშრომლებზე გადანაწილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მზარდი ბიზნესის მფლობელებისთვის, რათა მათ გამოუნთავისუფლდეთ დრო პრიორიტეტული საკითხებისათვის. დელეგირების მიღებით თანამშრომელი იღებს არა მხოლოდ უფლებამოსილებას, არამედ პასუხისმგებლობასაც შედეგზე.

ამგვარად, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სწორად განხორციელებული დელეგირება გულიახმობს თანამშრომლისთვის იმ უფლებამოსილების მიცემას, რომელიც მას სჭირდება დავალების შესასრულებლად და ამავე დროს, ქმნის დამცავ მექანიზმს, რომელიც დაკისრებულ უფლებამოსილებაზე გარკვეულ შეზღუდვებს

აწესებს. დავუშვათ, თქვენ გსურთ მაღაზიის მართვის დელეგირება. ქვემოთ მოცემულია მაგალითები იმისა, თუ რა უფლებამოსილებას გადასცემთ და როგორ ლიმიტებს უწესებთ მენეჯერს:

უფლებამოსილების მინიჭება:

- ნაღდი ფულის მართვაზე
- საქონლის და მარაგების შეკვეთაზე

უფლებამოსილებასთან დაკავშირებით დასაწესებელი რეკომენდირებული შეზღუდვები:

- კაპიტალური დანახარჯების განხორციელება
- ჩეკების ხელმოწერა
- მარაგების აღრიცხვა

დელეგირებული თანამშრომლის პასუხისმგებლობები

- ყოველკვირეული ანგარიშგება დადგენილი ფორმატით
- ინფორმაციის მომზადება მაღაზიის ყოველთვიური მოგება–ზარალის აღრიცხვისთვის
- მოკლე და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა

საწარმოს ნებისმიერმა მფლობელმა, რომელიც აპირებს გაფართოებას, უნდა დაიწყოს დელეგირება. რაც უფრო იზრდება თქვენი კომპანია, მით მეტად უნდა შეიცვალოს თქვენი როლიც, მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოთ არა ყოველდღიურ მართვაზე, არამედ გრძელვადიან გეგმებზე.

თანამშრომლების წახალისება

„შეამცირეთ ხარჯები",გულისხმობს დაზოგვის მნიშვნელობას. ხარჯების ოპტიმიზაციისთვის მენეჯმენტის ბონუსები (პრემიები) დაკავშირებული უნდა იყოს მოგებასთან და არა გაყიდვებთან. მოგებაზე დაფუძნებული მოტივაციის შემთხვევაში მენეჯერისთვის ყოველი დაზოგილი თეთრი მნიშვნელოვანია, რადგან იგი თავად მას უბრუნდება ბონუსის სახით. და პირიქით, ყოველი ზედმეტად დახარჯული თეთრი ამცირებს მენეჯერის ბონუსს.

თუ თქვენ ამუშავებთ საცალო მაღაზიების ქსელს, თითოეული მაღაზიის მოგება–ზარალის უწყისის აღრიცხვა ცალკე უნდა აწარმოოთ. ასევე მნიშვნელოვანია, რა პერიოდულობით გაიცემა პრემიები. უმჯობესია, მოგება და ზარალი ყოველთვიურად ან ყოველკვარტალურად გამოთვალოთ და ბონუსები შესაბამისად გადაიხადოთ.

არსებობს კიდევ ერთი მიზეზი თუ რატომ უნდა დაიანგარიშოთ თქვენი გაყიდვის/მომსახურების წერტილების ინდივიდუალური მომგებიანობა. ამ შემთხვევაში თქვენ დროულად მიიღებთ ინფორმაციას თქვენს ქსელში წამგებიანი რგოლის არსებობის შესახებ. მზარდი ბიზნესები, როგორც წესი, ერთსა და იმავე შეცდომას უშვებენ. არ არის რეკომენდირებული დიდი ხნის განმავლობაში ამუშაოთ წამგებიანი საწარმო. მდგომარეობის გამოსასწორებლად დაუყოვნებლივ უნდა მიიღოთ ზომები, თუ მაინც ვერ მოხერხდება სიტუაციის გაუმჯობესება, საწარმო ან უნდა დაიხუროს, ან გაიყიდოს.

იმ საწარმოებში, სადაც ვერ ხერხდება ბიზნესის მიმართულების გამოყოფა და მათთვის ინდივიდუალური მოგების გეგმის განსაზღვრა, ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიზნესის ძირითად მაჩვენებლებზე (რეალიზაცია, ხარჯების დაზოგვა, კლიენტების კმაყოფილება, მომსახურების სისწრაფე და ა.შ.). ბიზნესის ძირითადი მაჩვენებლები ხელს უნდა უწყობდეს კომპანიის

წარმატებულ ფუნქციონირებას და საერთო მიზნების განხორციელებას. მაგ., სადისტრიბუციო კომპანიაში გაყიდვების განყოფილება შეიძლება შეფასდეს რეალიზაციის გეგმების შესრულებით.

კომპანიის შიდა პოლიტიკა

ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია შინაგანაწესის და სამუშაო პროცესების აღწერილობის არსებობა. ასეთ შემთხვევაში თქვენს თანამშრომლებს ექნებათ სამუშაო პასუხისმგებლობების და პროცედურების მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქცია. ეს დოკუმენტები საფუძვლად დაედება ყოველდღიურ საქმიანობას და მინიმუმამდე დავა გაუგებრობები თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის, რომლებიც დაკავშირებული შეიძლება იყოს პასუხისმგებლობის გადანაწილებასთან, შინაგანაწესსა და კომპანიის მიზნებთან. ამ დოკუმენტების ფორმატი უნდა იყოს მარტივი და იოლად განახლებადი.

სტრატეგიული გეგმა

სტრატეგიულ გეგმაში ასახულია კომპანიის საერთო მიზნები. სტრატეგიული გეგმის შედგენა შედგენა ხდება წელიწადში ერთხელ მომავალი წლისთვის, თუმცა მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია საჭიროებისამებრ. ცვლილებები შესაძლოა გამოწვეულ იქნეს გარემოს ცვლილებით, კონკურენტების გააქტიურებით, მომხმარებლის მოთხოვნის ცვლილებითა და ა.შ.

კომპანიის საქმიანობა სტრატეგიული გეგმის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს. მენეჯმენტის ყველა წევრმა კარგად უნდა გააცნობიეროს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.

სამუშაო პროცესების აღწერილობა

სამუშაო პროცესების აღწერილობა იძლევა მითითებებს კომპანიაში მიმდინარე ყოველდღიურ პროცესებზე. ამ დოკუმენტში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი თანამშრომლების უფლება-მოვალეობები ამ პროცესებთან მიმართებაში (ვინ რაზეა პასუხისმგებელი და რა ოპერაცია როგორ სრულდება).

ტრენინგების სახელმძღვანელო

ტრენინგების სახელმძღვანელო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თითოეული პოზიციისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს სახელმძღვანელო დაგეხმარებათ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად მოამზადოთ ახალი თანამშრომლები და გადაამზადოთ არსებული პერსონალი. ტრენინგების სახელმძღვანელოში განსაზღვრულია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები (ტრენინგები, პრაქტიკული მომზადება და ა.შ.), რომლებიც დაეხმარებათ სამუშაო აღწერილობაში განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად.

შინაგანაწესი

შინაგანაწესი არის წესების ნაკრები, რომელიც არეგულირებს თანამშრომლების მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, უსაფრთხოების ნორმებს, შვებულების პოლიტიკას და ქცევის წესებს.

შინაგანაწესი უნდა გახდეს თანამშრომელთა სახელმძღვანელო, რომელიც შეიძლება შემდეგი თემებისგან შედგებოდეს:

- კომპანიის ისტორიის და ამოცანები
- დასაქმების პოლიტიკა
- დასაქმებასთან დაკავშირებული მოქმედი კანონები და წესები
- სამუშაოს აღწერილობები და საჭირო კვალიფიკაცია

- შვებულების პოლიტიკა
- დამატებითი სარგებელის პაკეტი (სამედიცინო დაზღვევა, სოციალური დახმარება, ერთჯერადი წამახალისებელი პრემიები და ა.შ.)
- უსაფრთხოების წესები
- ორგანიზაციული სტრუქტურა და საოპერაციო პროცედურები

შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალებები

თანამედროვე სამყაროში ბიზნესი გულისხმობს ხშირ კონტაქტს როგორც კლიენტებთან, ისე პარტნიორებთან მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში. ინტერნეტი ასეთ კომუნიკაციას გაცილებით უფრო ხელმისაწვდომს ხდის. დრო და ფული, რომელსაც დახარჯავდით მგზავრობაზე, დაიზოგება თუ შეხვედრებს „ვირტუალურად“, ინტერნეტის მეშვეობით ჩაატარებთ.

- ინტერნეტ-თათბირი საშუალებას მოგცემთ პრეზენტაცია გააკეთოთ პარტნიორების, მომხმარებლებისა და თანამშრომლების ქსელისთვის. ინტერნეტით შეგიძლიათ პრეზენტაციებისა და სხვადასხვა დოკუმენტაციის გაზიარებაც
- ვიდეო კონფერენციებმა კომუნიკაცია სრულიად ახალ დონეზე აიყვანა. ძირითადი სარგებელია მგზავრობის ხარჯების შემცირება და დროის დაზოგვა. ვიდეო კონფერენცია მონაწილეს შეხვედრაზე პირადი დასწრების შთაბეჭდილებას უქმნის. ვიდეო კონფერენციის ჩასატარებლად აუცილებელია საკონფერენციო ოთახში დამონტაჟებული იყოს მაღალი ხარისხის ვიდეოკამერები, აუდიო მოწყობილობა და ეკრანი.

პროექტის მოქნილი მოდელის ფორმირება

პროექტის შედგენის ინსტრუქცია

განაცხადის უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე. განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას განაცხადის დადგენილი ფორმატი:

- ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ;
- პროექტის აღწერა;
- პროექტის შესრულების განრიგი;
- ბიუჯეტი;
- მოსალოდნელი შედეგები;

განაცხადს შეიძლება დაერთოს:

- დამატებითი ინფორმაცია/დანართები (ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც განამტკიცებს განაცხადს და გახდის მას უფრო დამაჯერებელსა და გასაგებს)

სააპლიკაციო ფორმის შევსებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძებელია შემდეგ მისამართზე: ia@civilin.org

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ (მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს)

სააპლიკაციო ფორმის აღნიშნული ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროექტის წარმდგენელის შესახებ. კერძოდ:

- ორგანიზაციის სრული დასახელება, რეგისტრაციის თარიღი;
- ძირითადი მიზნები;
- ბენეფიციართა ტიპები;
- თანამშრომელთა რაოდენობა;
- ფილიალები;
- წლიური ბრუნვა;

- დანართის სახით- ბოლო ორი წლის მანძილზე განხორციელებული პროექტები / დაფინანსების წყაროს და საერთო ბუჯეტის მითითებით/

პროექტის აღწერა

სააპლიკაციო ფორმის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სამ გვერდს. აღნიშნული პუნქტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ქვეპუნქტებს:

ა) **პრობლემის განსაზღვრა (არსებული სიტუაციის ანალიზი)**

გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის არწერას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი. ეცადეთ კარგად წარმოაჩინოთ ორგანიზაციის საჭიროებები და დაასაბუთოთ რამდენად ეფექტიანი იქნება ორგანიზაციისათვის მოთხოვნილი თანხა.

ბ) **მიზანი**

გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება (მიმართული იქნება) ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.

გ) **ამოცანები**

გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა.

დ) **განხორციელების გზები**

გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:

1) “როგორ?” - როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?

2) “ვინ” - ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? და რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

პროექტის შესრულების განრიგი

ბიუჯეტი

ბიუჯეტი უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებთან. ბიუჯეტის შედგენისას იხელმძრვანელეთ შემდეგი ფორმით:

მუხლი	ერთეულის ფასი	ერთეულის რაოდენობა	საერთო ღირებულება	მოთხოვნილი თანხა	დაფინანსება სხვა წყაროებიდან

მოსალოდნელი შედეგები

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში უნდა აღწეროთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას. სასურველია მიუთითოთ, აგრეთვე რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენს მიერ განხორციელებულმა პროექტმა თქვენს ბეფეფიციარებზე, თანამრომლებზე, ორგანიზაციაზე, და ა.შ.

ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი

ყოველ კულტურულ ტრადიციას თავისი უპირატესობები აქვს. კონკურენტულ დასავლურ

საზოგადოებაში ადამიანებს მეტი პირადი თავისუფლება აქვთ, მეტად ამაყობენ პირადი მიღწევებით და ნაკლებად არიან დამოკიდებული ირგვლივმყოფთა მოლოდინებზე. მათ უფრო მრავალფეროვანი პირადი ცხოვრება აქვთ, მათი ქცევაც უფრო სპონტანურია, სოციალური მობილობა ასევე უფროა დამახასიათებელი ინდივიდუალისტური კულტურის სოციალური ჯგუფებისთვის, თუმცა ამ კულტურებშიც გარკვეული კატეგორიების მიმართ ფიქსირებული ნეგატიური განწყობები, მაგალითად, რასა (კანის ფერი) ან გენდერი აფერხებს ამ კატეგორიის ქმედითობას.

ინდივიდუალისტურ კულტურებში მეტი თავისუფლებაა ცხოვრების სტილის ამორჩევაში; წახალისებულია გამომგონებლობა და შემოქმედებითობა.

მაგრამ ამ თავისუფლებას დამახასიათებელი პრობლემურობაც ახლავს. ცნობილი თანამედროვე გერმანელი სოციოლოგი ულრიხ ბეკი ინდივიდუალისტურ საზოგადოებებს რისკის საზოგადოებებს უწოდებს და მიიჩნევს, რომ „თანამედროვე სამყაროში უკიდურესობამდე მიყვანილი ინდივიდუალიზმი“, სულ უფრო მეტად განიცდის „კონფლიქტური ხაზებისა და თემების თავისებურ პლურალიზაციას“. მისი აზრით, ინდივიდუალიზაციის ძლიერი პროცესი ნიადაგს ამზადებს ახალი კონფლიქტებისთვის, იდეოლოგიებისა და კოალიციებისთვის. მსგავსი ვითარების ერთ-ერთ მნისვნელოვან მაპროვოცირებელ მომენტად, „მყარ კონფლიქტურ ხაზად“ მას, მაგალითად, მიაჩნია ე.წ. თანდაყოლილი ნიშნები - რასა, კანის ფერი, სქესი, ეთნიკური კუთვნილება და ა.შ. თვით ბუნებით გაპირობებული ასეთი „უთანასწორობა“, განსაკუთრებული ინდივიდუალიზაციის პირობებში, მისი პროგნოზით, გარკვეულ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ შანსს მოიპოვებს და წინ გამოვა 2 ეპოქალური თემა: მუქარა, რომელსაც რისკის საზოგადოება თავისთავში მოიცავს, და წინააღმდეგობრიობა ქალებსა და კაცებს შორის, რომელიც აქამდე ოჯახის ფარგლებიდან არ გამოსულა **(Бек Ул. Общество риска 2000; 146).**

გამოკვლევებზე დაყრდნობით მკვლევარები ამტკიცებენ, რომ თანამედროვე სამყაროს დასავლურ ქვეყნებში ღირებულებები ერთნაირია და „მთის ქადაგების“ 10 მცნებას ემთხვევა, თუმცა მათ შორის გარკვეული განსხვავებებიც ვლინდება.

მაგალითად, დიდი საერთაშორისო გამოკვლევის შედეგად ჟან სტოტცელმა გამოავლინა, რომ თურმე

დანიელები უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს ოჯახში, ვიდრე ფრანგები, ესპანელები და ბელგიელები; გერმანელები და დანიელები არჩევანში უფრო თავისუფალი აღმოჩნდნენ, ვიდრე იტალიელები და ჰოლანდიელები; სიქველეთაგან დასავლური კულტურის ყველა ხალხმა პირველ ადგილზე პატიოსნება დააყენა, ხოლო რაც შეეხება მეორე პოზიციას, აქ განსხვავებები გამოვლინდა - იტალიელებისთვის, ინგლისელებისა და ირლანდიელებისთვის კარგი მანერები აღმოჩნდა გადამწყვეტი, ფრანგებისთვის - მომთმენობა, ესპანელთა, დანიელთა და გერმანელთათვის კი - პასუხისმგებლობა.

სხვებთან ურთიერთობაში იტალიელებმა, ინგლისელებმა და ირლანდიელებმა ყველაზე დიდი ღირებულება მიანიჭეს კარგ მანერებს, ხოლო ფრანგებმა - მომთმენობას (Мендра А. 2000 გვ. 111).

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ მეორე პოზიციაზე „გასული“ ღირებულებები უფრო მეტად უახლოვდება ეროვნულ-ხასიათობრივ თავისებურებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნახსენებ ქვეყანათაგან მხოლოდ ესპანეთი მიიჩნევა კოლექტივისტურ კულტურად. სხვებთან ურთიერთობა ქცევის სოციალურ რეგულაციაში აქ გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევა. მკვლევარები აღწერენ ესპანელებისთვის დამახასიათებელ ურთიერთობრივ პატერნს - „სიმპათიკას“, რომელიც გულისხმობს ორმხრივ პატივისცემას და სხვათა გრძნობების გაზიარების უნარს. ადამიანს ახასიათებს ინტერპერსონალურ ურთიერთობათა დარეგულირება შეთანხმებით, სხვებისადმი მგრძნობიარობით და ქცევის მიგუებით. ესპანელები განსაკუთრებით ერიდებიან ურთიერთობის გაფუჭებას (Hazel Markus; Shinobu Kitaiama. 1991).

მიიჩნევა, რომ უნივერსალისტური ღირებულებები - სიმშვიდე მსოფლიოში, გარემოს დაცვა, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და ა.შ. უფრო გამოკვეთილია ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში.

47 ქვეყანაში Schwartz-ის გამოკვლევამ გამოავლინა განსხვავებები ღირებულებათა მნიშვნელობაში გენდერის მიხედვით: ქალები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უსაფრთხოებასა და კეთილგანწყობას, ხოლო კაცები - Self-ზე მიმართულობას, სტიმულაციის, ჰედონიზმის, მიღწევისა და ძალაუფლების ღირებულებებს.

ამ გამოკვლევამ ისიც ცხადყო, რომ გენდერი არ გამოდგება ინდივიდუალიზმ/კოლექტივიზმის ორიენტაციის დასადგენად **(P.B. Smith and Shalom H. Schwartz; 1996).**

ინდივიდუალისტურ კულტურებში მეტი მარტოობა, განქორწინება, მკვლელობა და სტრესული მოშლილობაა. „აულაგმავი ინდივიდუალიზმი“ დეპრესიის მკვეთრი ზრდის მიზეზად მიიჩნევა, რადგან უკავშირდება არსებობის უაზრობის განცდას, რომელიც მაშინ ჩნდება, როცა „იმასთან მიჯაჭვულობა არაა, რაც შენზე მეტია“.

გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი ელიოტ არონსონი ერთ ადგილას წერს: „კონფორმულობა - კარგია თუ ცუდი? ამ ზოგადობით ეს შეკითხვა აბსურდია. მაგრამ, ჩვენი სურვილის მიუხედავად, ყველა სიტყვას შეფასებითი ასპექტიც აქვს. ამიტომ, როცა ადამიანს ინდივიდუალისტს ან კონფორმისტს ვუწოდებთ, ჩვეულებრივ ვგულისხმობთ ადამიანის „სიკარგეს და სიცუდეს“;…თუმცა კი ამ სიტყვების შეცვლაც შეიძლება: ინდივიდუალისტი შეიძლება შეცვალოს „ნორმიდან გადახრილით“, ხოლო კონფორმისტი - „ჯგუფურად მოთამაშით““ **(Аронсон Э. 1999 გვ. 37).**

დასავლურ კულტურებში კონფორმულობა ასოცირებულია მორჩილებასა და დამთმობლობასთან, რადგან წახალისებულია თვითგამოხატვა და საკუთარი აზრის გატანა, ამიტომ კონფორმისტული გამოვლინებები უარყოფითად აღიქმება; მაგრამ იმ კულტურებში, სადაც ძალზე ფასობს ჰარმონია ურთიერთობებში, უმრავლესობის აზრისადმი მიმხრობა შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას ტაქტიანობად და სოციალურ სენზიტიურობად, დადებით და სასურველ თვისებად, სოციალურ ღირებულებად და ნორმად. მაგალითად, Triandis აღნიშნავს, იაპონელების ჯგუფი რესტორანში როცა ერთი და იგივე კერძს უკვეთავს, ეს სოლიდარობად მიიჩნევა და არა კონფორმიზმადო.

Matsumoto-ს მონაცემებით, ინდონეზიელები, ჩინელები და იაპონელები მისაღებად და სასურველად მიიჩნევენ კონფორმულობას, მორჩილებას და დამთმობლობას **(Matsumoto D. 1996);** ტრიანდისიც ასევე აღნიშნავს აფრიკული ტომის - ბანტუს წევრებში ძლიერ კონფორმიზმს და სოციალიზაციის მეთოდთა სიმკაცრეს **(Triandis H.C.1995; 53-55);** დიას-ლოვინგი მორჩილების მაღალ ღირებულებას აღწერს მექსიკელებთან და ა.შ.

მაგრამ კოლექტივისტთა კონფორმულობის საკითხი არც ისე ერთმნიშვნელოვანია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. მონაცემები უჩვენებს, რომ იაპონელები ამერიკელებზე უფრო ნაკლებად მიდრეკილი შეიძლება აღმოჩნდნენ კონფორმიზმისკენ იმ ექსპერიმენტებში, რომლებიც აშის კლასიკურ სქემაზეა აწყობილი.

Triandi-ი საინტერესო სიტუაციას აღწერს: მის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილე იაპონელთა 34%-მა ანტიკონფორმული რეაქცია გამოავლინეს - ისინი სწორ პასუხებს იძლეოდნენ მაშინ, როცა ცრუ ცპ-თა უმრავლესობა არასწორად პასუხობდა. რა მოხდა? რატომ არ „იმუშავა" აშის კლასიკური მოდელის სქემამ?

Triandi-ი ამ ვითარებას ხსნის იმით, რომ იაპონელებისთვის, ცნობილი კოლექტივისტებისთვის, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ე.წ. „ცრუ ცდისპირები" სწორად პასუხობენ თუ არა - მათთვის „უცხო" ხალხი, როგორადაც არ უნდა პასუხობდნენ, „ჩვენს" ჯგუფად არ განიცდება, ხოლო ექსპერიმენტატორის როლში მყოფი უცხოელი - მით უფრო. აქ არსებითია მისთვის მნიშვნელოვანი ჯგუფი, მათთვის ახლო თემებით და ა.შ.

სრულიად სხვა შედეგებია მაშინ, როცა ექსპერიმენტს იაპონელი მეცნიერი ატარებს. ამის მაგალითია მატსუდას გამოკვლევა. იგი ეყრდნობოდა იაპონური კულტურის გარკვეულ სპეციფიკას, რომელიც გამოიხატება ინტერპერსონალური ურთიერთობის რამდენიმე ტიპში: „უში", „სეკენი" და „სოტო". ამ სამეულში ინტიმურობის ხარისხი და „სხვა"-ს მნიშვნელადობა, როგორც რეფერენტული ჯგუფისა, პირველიდან მესამესკენ მცირდება. მოკლედ, იაპონელები ღრმად მნიშვნელოვნად განიცდიან „უშის" და სულ მთლად გულგრილები არიან „სოტო"-მიმართებაში.

მატსუდამ ცდისპირები 3 ტიპის ჯგუფად გაყო: ჯგუფი „უში" - „გულუბრყვილო" ცდისპირი და ცრუ ცდისპირები, რომლებიც იმათგან შეიქმნა, ვინც ორმხრივად აირჩია ერთმანეთი; „სეკენი" ზომიერი შეჭიდულობის ჯგუფი იყო, რომელიც ექსპერიმენტის მოსამზადებელ ეტაპზე შედგა; „სოტო"-ს წევრები არც მეგობრები იყვნენ და არც რაიმე თანამშრომლობის სიტუაცია ჰქონდათ შეჭიდულობის ჩამოსაყალიბებლად.

ამ ექსპერიმენტში მონაწილე იაპონელმა სტუდენტებმა გამოავლინეს კონფორმიზმის მაღალი დონე, თუმცა კი პასუხებს ინდივიდუალურად ანუ ჯგუფის უშუალო წნეხის გარეშე იძლეოდნენ; უფრო მჭიდრო კონტაქტებიანი ჯგუფის წევრები მეტ კონფორმიზმს ავლენდნენ, მაგრამ მაინც გამოვლინდა ერთი საყურადღებო ფაქტი: ინდივიდის ჯგუფში ჩართულობასა და კონფორმულობის ხარისხს შორის კავშირის არაერთმნიშვნელოვნება. კერძოდ, ექსპერიმენტის დროს ჩამოყალიბებული ჯგუფის წევრები უმრავლესობის ზეგავლენას უფრო მეტად ექვემდებარებოდნენ, ვიდრე იმ ჯგუფის წევრები, რომლებმაც ერთმანეთი თვითონ ამოირჩიეს. მატსუდას აზრით, ამის მიზეზია ის, რომ „უშის“ ხარისხს მიღწეული ჯგუფი უმრავლესობის თვალსაზრისიდან „თავისიანის“ მცირეოდენი გადახრის მიმართ უფრო მომთმენია - ძალზე ახლო ადამიანების წრეში არ ეშინია „საკუთარი თავის დაკარგვის“ და უფრო თავისუფალიცაა აზრების გამოთქმაში. **(მოტანილია Стефаненко Т. Г. 2000 -ს მიხედვით. გვ.197-198)**

ერთი და იგივე კულტურის შიგნით უფრო „ტრადიციული“ და „ევროპიზებული“ შერჩევების მონაცემთა შედარებით ბრიტანელმა მკვლევარმა Bond-მა გამოავლინა, რომ დასავლური კულტურის ღირებულებებთან ნაცნობობა ამცირებს განსხვავებებს სხვადასხვა კულტურებს შორის კონფორმულობაში. ბოლო პერიოდის მონაცემებით (რისმენი, ბონდი, სმიტი) დასავლურ ქვეყნებში კონფორმიზმის დონე ძალზე დაეცა, ამასთან, იმატა სხვებზე ორიენტირებულ ადამიანთა რიცხვმაც

პროქსემიკა ეთნოლოგიის ის სფეროა, რომელიც ადამიანებს შორის დამოკიდებულებებს აღწერს მათი ერთმანეთის მიმართ სივრცული მიმართებების მეშვეობით.

ფსიქოლოგიური დისტანცია - ესაა ადამიანთა განკერძოებულობის რაღაც დონე, რომელიც ჩვეულებრივ, იმ სირთულეთა რაოდენობაზე მსჯელობით გამოიხატება, რომელიც ურთიერთქმედებაში ჩნდება.

სოციალური დისტანცია ასახავს საზოგადოებაში ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის დაშორებულობის ხარისხს.

სოციალური და ფსიქოლოგიური დისტანციის ცნებები საკმაოდ რთული

ცნებებია. ისინი ასახავს პირადი და სოციალური ურთიერთქმედების მოდელს; ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სიახლოვის, ერთმანეთის ღირებულებებისა და იდეალების მიმართ ორმხრივი სიმპათიების ხარისხს.

ფსიქოლოგიურ და სოციალურ დისტანციას შემდეგი ინდიკატორები აქვს:

1. საზოგადოების რომელი ფენაა მისაწვდომი სხვა ფენის ადამიანისა თუ ჯგუფებისთვის;

2. უთანასწორობის შინაგანი შეგრძნება, რომელიც ინდივიდს ან ჯგუფსა აქვს საზოგადოების რაღაც ნაწილის მიმართ- ჩვეულებრივ, მისი ინდიკატორია ის, თუ რამდენად სიამოვნებს ადამიანს სხვა ადამიანთან (ფსიქოლოგიური დისტანცია) ან სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთან (სოციალური დისტანცია) ურთიერთობა.

ძალზე ხშირად სოციალურ მეცნიერებებში გამოიყენება ტერმინები „ჰორიზონტალური დისტანცია“ და „ვერტიკალური დისტანცია“ იმის აღსანიშნავად, ადამიანები ერთი და იგივე სოციალურ-ეკონომიურ კლასებს ეკუთვნიან თუ სხვადასხვას .

აღმოჩნდა, რომ Self-ის კულტურული ტიპი სივრცითი მიმართებებით ასახავს კულტურის თავსებურებებს. ასევე ნაყოფიერი აღმოჩნდა კულტურული სპეციფიკის გამოსავლენად სოციალური დისტანციის ცნებაც.

ჰოლლი არჩევს 4 სივრცულ ზონას, რომელიც პირადი ურთიერთობისას ჩნდება:

ინტიმური დისტანცია - 45 სმ მანძილზე, ესაა იმ მცირე რაოდენობის

სოციალურ კონტაქტებში, სადაც დაშვებულია რეგულარული შეხება. ამ ზონაში ურთიერთობენ მშობლები და შვილები, აგრეთვე შეყვარებულები;

პიროვნული დისტანცია (45-120 სმ), ესაა დისტანცია მეგობრებსა და კარგ ნაცნობებს შორის, აქ ინტიმურობა დაშვებულია, მაგრამ - შეზღუდული;

სოციალური დისტანცია (120-360 სმ), რომელიც ჩნდება ფორმალური ურთიერთობის (მაგალითად, ინტერვიუს) დროს;

„სახალხო“ დისტანცია (360 სმ)- დისტანცია აუდიტორიის წინაშე გამოსვლის დროს.

როცა დისტანციის ამ დასაშვებობას არღვევენ და ხელყოფენ, ადამიანი თავს იცავს - ცქმუტავს, იშმუშნება, უკან იხევს და მსგავსი; თუ მეორე ადამიანი ძალზე ახლო მანძილზე დგება, ადამიანი, როგორც წესი, რაღაც ფიზიკური საზღვრის მსგავსს ქმნის (Гиденс 1997; გვ. 108)

მიუხედავად იმისა, რომ მოძღვრება პროქსემიკასა და კულტურის ტიპს შორის კავშირის შესახებ ჯერ კიდევ დაუმუშავებელია, კვლევებით აშკარად ვლინდება, რომ ფიზიკური სიახლოვე ყველა კულტურაში ერთნაირად არ აღიქმება - მას რეალურად გააჩნია კულტურების თვალსაზრისით სრულიად სხვადასხვაგვარი სემანტიკა.

მაგალითად, არაბებისთვის და ლათინური ამერიკის ხალხებისთვის სიახლოვე ინტიმურობის გამომხატველია, დასავლეთ აზიაში კი სოციალურ იერარქიაში განსხვავებულობის მოხსნის სიგნალს წარმოადგენს.

Triandis - აღნიშნავს, რომ განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს

გამოცდილებაში ემლევათ სოციალური დისტანცია. სოციალურ დისტანციაზე გავლენას ახდენს ნორმები, წარმოდგენები სწორ და არასწორ ქცევებზე. მაგალითად, იგი წერს, ნეპალელს თუ არ იცნობ, ან ნეიტრალური ხარ მის მიმართ, ან - არაობიექტური; თუ იცნობ, მაშინ უფრო რაციონალურად მსჯელობ და მიზიდულობაც მის მიმართ იზრდება. როცა ჯგუფები ერთმანეთისგან ძალაუფლების ფლობის მიხედვით განსხვავდება, ან ერთი მეორეს ჩაგრავს, სოციალური დისტანცია გვევლინება მექანიზმად ჯგუფებისთვის ადგილის მისაჩენად (Triandis; 1994; გვ. 257-258).

არავერბალური ქცევა კულტურის ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია. თვალებით ქცევა, რომელიც არავერბალური ქცევის ნაირსახეობას წარმოადგენს, ოპტიკო-კინეტიკურ ნიშანთა სისტემაზე დაფუძნებული ელემენტია და ფაქიზად განსაზღვრავს კულტურული ურთიერთობის ნიუანსებს - ზოგ კულტურაში მას მეტი მნიშვნელობა აქვს, ზოგში - ნაკლები.

მაგალითად, არაბებთან, ინდოელებთან, პაკისტანელებთან ახლო მხედველობითი კონტაქტი დადებითი სემანტიკის მქონეა, დასავლეთ აზიასა და აფრიკაში კი - დაუმორჩილებლობის და სიბრაზის გამოხატულებაა.

არაბ და ამერიკელ სტუდენტებზე დაკვირვებამ, რომლებიც წყვილებად იდგნენ და ერთმანეთთან მეგობრულად საუბრობდნენ, გამოავლინა საინტერესო თავისებურებები: ამერიკელებთან შედარებით, არაბები პირდაპირ უყურებენ ერთმანეთს, უფრო ახლოს სხედან ერთმანეთთან, უფრო ახლო მხედველობით კონტაქტში არიან და უფრო ხმამაღლა საუბრობენ.

Waston-მა ეს ექსპერიმენტი კიდევ 31 ქვეყანაში ჩაატარა და სიახლოვის მიხედვით ასეთი განლაგება მიიღო:

არაბული ქვეყნები, ინდოეთი, პაკისტანი, ლათინური ამერიკა, სამხრეთ ევროპა, დასავლეთი აზია და ბოლოს, ჩრდილო ევროპა ამერიკასა და ავსტრალიასთან ერთად.

ინგლისელების და ამერიკელების შედარებამ გამოავლინა, რომ ამერიკელები თვალებში მხოლოდ მაშინ უყურებენ ერთმანეთს, როცა იმაში დარწმუნება უნდათ, რომ პარტნიორმა კარგად (სწორად) გაუგო; ინგლისელებისთვის თვალებით კონტაქტი უფრო ჩვეული რამაა: პარტნიორი იმის დასტურად, რომ უსმენს, თვალებს უნდა ახამხამებდეს, მაგრამ, ამასთან, თვალებში დაჟინებით მზერა უხერხულად მიიჩნევა. რუსული კულტურა - პირიქით, არა მარტო არარუსი, არამედ თვით რუს მკვლევართა აღიარებითაც, ყველაზე „თვალებში მომზირალი“ კულტურაა **(Стефаненко; 2000; გვ. 160).**

იაპონიაში თვალები ურთიერთობის ნაკლებად მნიშვნელადი „ორგანო“ აღმოჩნდა: აქ მიღებული არ არის ერთმანეთისთვის პირდაპირ თვალებში ცქერა; ქალები თვალებში არ უყურებენ მამაკაცებს, მამაკაცები - ქალებს; იაპონელი ორატორი სადღაც გვერდით იყურება, ხოლო ქვეშევრდომი უფროსის საყვედურებს თვალდახრილი ღიმილით უსმენს **(Пронников В.А. Ладанов И.Д; 1985).**

აღმოჩნდა, რომ კოლექტივისტურ კულტურებში შეხვედრა ნაცნობებს შორის უფრო ხანგრძლივია, ვიდრე ინდივიდუალისტურში (20 წთ საშუალოდ); ისინი, ვინც უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, მეგობრობას უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ და თანაც ამტკიცებენ - ასე

ახლოს იმიტომ ვზივართ, თანამოსაუბრე რომ მოგვწონსო.

წყვილთა სქესური შემადგენლობის მიხედვით მამაკაცური წყვილები ყველაზე ხშირი იტალიაში აღმოჩნდა და თანაც საკმაოდ ახლოს დგანან ერთმანეთთან, ხოლო შერეული წყვილის წევრები კი ერთმანეთისგან ამერიკაში უფრო შორს დგანან, ვიდრე გერმანიასა და იტალიაში.

როგორ იქცევიან ადამიანები უცხოსთან მიმართებაში?

კოლექტივისტი ინდონეზიელები ექიმის მოსაცდელში იმავე სქესის უცხოთა ახლოს ჯდებიან და საუბარსაც ხშირად აბამენ, ინდივიდუალისტი ავსტრალიელები კი პირიქით - ყველასგან მაქსიმალურად მოშორებულ ადგილს ირჩევენ და სასაუბრო კონტაქტშიც ნაკლებად შედიან.

კულტურა ყველაფერში იჩენს თავს. Iahoda-მ 1982 წ. ისლამურ ქვეყნებში გრძელი ტანსაცმლის სემანტიკა იკვლია და აღმოაჩინა, რომ გრძელი კაბის ტარება აძლიერებს სოციალური ვალდებულებების განცდას; იგივე შეიძლება ითქვას სამხედრო ფორმაზეც, რომელიც ინდივიდუალობის უნიფიცირებას კი ახდენს, მაგრამ სამაგიეროდ წინა პლანზე წამოსწევს იმ სოციალურ ვალდებულებებს, რომლის გამოხატულებაცაა სამხედრო ფორმა - ყველაზე ინდივიდუალისტურ ქვეყნებშიც კი ჯარი განამტკიცებს ურთიერთდამოკიდებულ ღირებულებათა სისტემას.

ინდივიდუალისტურ ქვეყნებში ადამიანი თავის დამოუკიდებლობას სწორედ დიდი ფიზიკური დისტანციით გამოხატავს, და ასე იცავს საკუთარ პიროვნულ სფეროს; ხოლო კოლექტივისტურ კულტურებში ადამიანები უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ საკმაოდ დიდ

დისტანციას ინარჩუნებენ უცხოელთან მიმართებაში.

სოციალური დისტანცია უნივერსალური კონსტრუქტია და ყველა კულტურის თავისებურებებს აღწერს, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია კულტურის სპეციფიკის გათვალისწინება მისი კვლევისას. მაგალითად, გამოვლინდა, რომ ამ ცნების ავტორის - ბოგარდუსის მიერ შედგენილი კითხვარის შეკითხვები, მაგალითად, „მეზობლად ვისურვებდი…...", „მეგობრად ვისურვებდი…", „ოჯახს შევქმნიდი…" და ა.შ. ამერიკულ კულტურაში მართლაც აღწერს სოციალური დისტანცირებულობის სპეციფიკას, მაგრამ არა ყველა კულტურაში.

ეს ვითარება იმ რეალობასთანაა დაკავშირებული, რომ ჯერ ერთი, ინდივიდი კულტურაში არსებულ ყველა ჯგუფთან არ იდენტიფიცირდება, მეორეც, ჯგუფებს შორის დისტანცია კულტურულად ძალზე სპეციფიურია თავისი შინაარსით - ინდოეთში კასტებს შორის სოციალური დისტანცია და დასავლურ კულტურებში სოციალურ ფენებს შორის დისტანცია სრულიადაც არ არის ერთნაირი დისტანცირებულობა. ამიტომ კონტაქტის ზოგიერთი ფორმა, რომელიც გამოიყენება ერთ კულტურაში სოციალური დისტანციის გასაზომად, შეიძლება უაზრო აღმოჩნდეს მეორეში. მაგალითად, საბერძნეთში Triandis-ის აღწერით, ძალზე მნიშვნელოვანია „პარეა" ანუ სამეგობრო წრე და „თავის წრეში შეყვანა" (შესაბამისად, სოციალურ დისტანციას აქ ზომავდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლის შეყვანაზე თანხმობით ამ სამეგობრო წრეში, ხოლო აშშ-ში - იმაზე თანხმობის ხარისხით, მავანი ნაცნობად რომ ეხილა თავის კლუბში); ინდოეთში სიახლოვის ძალზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია „პირადი ჭურჭლის შეხება" - ეს ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ შემორჩენილი რიტუალური წაბილწვის ასახვაა; ბუნებრივია, რომ ფსიქოლოგიურ და სოციალურ დისტანციასაც აღწერს

ის ფაქტი, ვინმე მავანის ჭურჭელს შეეხო თუ არა. ამგვარად, ინდოეთში ეს კონსტრუქტი რეალურად შეიძლება იქნას გამოყენებული სოციალური დისტანციის საკვლევად, ამერიკაში კი იგი უაზროა; Triandis-ი აღნიშნავს, სრული უაზრობა იქნებოდა ამერიკელის აზრის შესწავლა იმის თაობაზე, მის ჭურჭელს, ვთქვათ, თურქი რომ მიეკაროსო (Triandis H. C. 1994).

თემა 6

პროექტის დაგეგმვის მექანიზმი

ცვლილებების ჟურნალი

პროექტის ლიდერი ვალდებულია აკონტროლოს პროექტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი ყველა ცვლილება. თუ ცვლილებების რაოდენობა არ არის დიდი, ეს განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს. ხშირია ისეთი პროექტები, რომლებიც მუდმივად მოითხოვენ ცვლილებების შეტანას, რაც ზრდის ლიდერის მოვალეობებს და კონტროლს. ლიდერს აღნიშნული ცვლილებები შეაქვს პროექტის ცვლილებების ჟურნალში (იხ. ცხრილი #3). სადაც თავდაპირველად უნდა აღინიშნოს პროექტის დასახელება და პროექტის სპონსორი. ყოველ ცვლილებას უნდა გააჩნდეს ნომერი და მიეთითოს ცვლილებების ინიციატორი, უნდა მოხდეს ცვლილების მიღებისა და განხილვის თარიღის მითითებაც. ასეთ შემთხვევაში ცხრილს ემატება სვეტი, სადაც მითითებულია ცვლილებების სისწრაფე. შემდეგ ფიქსირდება "ზემოქმედება პროექტის მოცულობაზე", "ზემოქმედება სამუშაო გრაფიკზე" და "ზემოქმედება დანახარჯებზე". ბოლოს აუცილებელია მიეთითოს ცვლილება გამართლებულია თუ გადადებული.

ეტაპი I:

პროექტის სიტუაციური ანალიზი

სტრატეგიები, დარგობრივი ანალიზი, განვითარების გეგმები (ეროვნული, რეგიონული, მუნიციპალური);

ინსტიტუციონალური და პოლიტიკური სპექტრის შეფასება, გარემოს ანალიზი;

შედეგი: სტრატეგიული ანგარიშები, პროექტის შეფასების კრიტერიუმი სტრატეგიაზე დაყრდნობით;

ეტაპი II:

პროექტის გამოვლენა

დაინტერესებული მხარეების ანალიზი;

პრობლემების ანალიზი;

“პრობლემების ხის“ მომზადება და მისი გადამოწმება;

„მიზნების ხის“ მომზადება

ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;

პროექტის დანიშნულება;

პროექტის ძირითადი მიზანი;

პროექტის შედეგები;

საქმიანობა და რესურსები;

პროექტის წარმატებისთვის მაჩვენებლების განსაზღვრა;

შედეგები: პროექტის განმარტებითი ბარათი, ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;

ეტაპი III:

პროექტის ფორმულირება, შეფასება და დამტკიცება

♣ პროექტის გამოვლენის დოკუმენტი, ტექნიკური დავალება პროექტის დეტალური დიზაინისთვის;

♣ ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა;

♣ რესურსების საჭიროებების შეფასება;

♣ დაშვებებისთვის პირობების გაანალიზება;

♣ რისკების გამოვლენა;

♣ შედეგები: წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, ტექნიკურეკონომიკური დასაბუთება, პროექტის ანოტაცია, პროექტის

ტექნიკური დავალება, ტექნიკური დავალება დეტალური პროექტისთვის, დაფინანსების წინადადება, შესყიდვის დოკუმენტაცია;

ეტაპი IV:

პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

♣ სატენდერო დოკუმენტაცია, დაფინანსების ხელშეკრულება, პროექტის ბიუჯეტი, კონტრაქტი; ♣ გადამოწმების წყაროები და მაჩვენებლები, ხარისხის კრიტერიუმი და სტანდარტები, ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა, ტექნიკური დავალება, პროექტის განხორციელების გეგმა; ♣ მონიტორინგი, ანგარიშგება; ♣ მონიტორინგის გეგმა და ნიმუშები; ♣ შედეგები: პროექტის პროგრესის ანგარიშები, მონიტორინგის ანგარიშები;

ეტაპი V:

პროექტის შეფასება

♣ პროექტის სხვადასხვა დოკუმენტაციის ანალიზი: პროექტის ტექნიკური დავალება, პროექტის ლოგიკურ-სტრუქტურული მატრიცა, პროექტის პროგრესის ანგარიშები, მონიტორინგის ანგარიშები; ♣ შედეგი: შეფასების საბოლოო ანგარიში

ორგანიზაციაში გამოვლენილი ცვლილებები უპირველესად აისახება სამოქმედო გეგმაზე და სამუშაო პროქტებზე. სწორედ პროექტებში მიმდინარე და გამოვლენილი გადაცდომები საჭიროებს სრულიად ახლებურად გააზრებას სიტუაციისას, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სტრატეგიების ცვლილებასტან, ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებასთან, ტავად ორგანიზაციის სამართლებრივ ფორმის ტრანსფორმაციასთან და ასე შემდეგ. ამიტომ ჩვენ განვიხილავთ

პროექტისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და სტანდარტების , ასევე არასტანდარტული სიტუაციების მდგომარეობებეს, მის არსს და კლასიფიკაციას.

ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილებები

ცვლილებებში მოიაზრება შიდა და გარე ფაქტორების ზემოქმედებით წარმოშობილი პრობლემები, რომლის გადაჭრისათვის საჭიროა ერთი, რეალური გადაწყვეტილების მიღება და ცვლილებების შეტანა საბაზო გეგმაში.

პროექტის განხორციელების პროცესში წარმოშობილი შეფერხებები პირდაპირ კავშირშია პროექტის მოცულობისა და ბიუჯეტის ცვლილებასთან. პროექტის განხორციელების ეტაპზე საბაზო გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზეზად სახელდება:

¬ გადაწყვეტილების მიღების დროს შემზღუდველი ფაქტორების ზემოქმედება და უზრუნველმყოფელი ფაქტორების უკმარისობა ან კადრების არაკვალიფიციურობა და ა.შ. ¬ საბაზო გეგმით განსაზღვრული დროის უკმარისობა;

¬ დაგეგმვის ეტაპზე გამოცდილებებით შედგენილი პროექტის საბაზო გეგმა;

¬ ბაზრის კონიუქტურის ცვლილება;

¬ საბაზრო კონკურენცია;

¬ ტექნოლოგიური და საბაზრო ფასის ცვლილებები, რესურსების მოპოვების სირთულე;

¬ ეკონომიკური არასტაბილურობა;

¬ პროექტის მართვის არასწორი მეთოდების შერჩევა;

¬ მხარეთა შორის ხელშეკრულების სპეციფიკურობის დაცვა და მასში

ცვლილებების განხორციელება;
¬ პროექტის ხარისხის დაბალი დონე;
¬ სხვა პროექტების ზემოქმედება.

პროექტის განხორციელების ეტაპზე პროექტის საბაზო გეგმაში საპროექტო კომპანია და გუნდის წევრები ცვლილებებს განახორციელებენ გაგება-გაანალიზების და იძულებითი შესრულების მეთოდებით. პროექტის საბაზო გეგმაში ცვლილებების შეტანა გაგება-გაანალიზებით ხორციელდება მაშინ, როცა მიიღება გადაწყვეტილება, პროექტი დასრულდეს განსაზღვრულ ვადამდე იმ მიზეზის გამო, რომ "საბოლოო უნიკალურ პროდუქტს" ბაზარზე გაუკეთდეს სწრაფი რეალიზება. აღნიშნულ შემთხვევაში პროექტის ხელმძღვანელობა მიზანმიმართულად განახორციელებს ცვლილებებს საბაზო გეგმაში, რათა მიიღოს სარგებელი ვადაზე ადრე.

პროექტის საბაზო გეგმაში ცვლილებების იძულებითი შეტანა ითვალისწინებს ცვლილებების განხორციელებაზე ხელმძღვანელის მხრიდან კონტროლირებას და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებას პროექტის სასარგებლოდ. პროექტის განხორციელების ეტაპზე საპროექტო კომპანია და გუნდის წევრები ვალდებულნი არიან გაეცნონ პროექტის საბაზო გეგმაში შესატან ცვლილებებს, რაც მოითხოვს:

¬ ცვლილებების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებას;
¬ ცვლილებების წარმოშობისას სპეციფიკური ფორმის შედგენას, რომელსაც ავსებს ცვლილებების ინიციატორი;
¬ პროექტის ლიდერის მიერ ცვლილებების ჟურნალის შედგენას, რათა ლიდერმა თვალყური ადევნოს ცვლილებებს;
¬ გაკეთდეს ანგარიშები სამუშაო შედეგებსა და ფინანსურ დანახარჯებზე;
¬ შემუშავდეს პროექტის საბოლოო შედეგის ამსახველი დოკუმენტაცია;

¬ გაირკვეს ცვლილებების შეტანის პერიოდულობის საკითხი.

პროექტის მართვის პროცესში ცვლილებების დაგეგმვის ხუთი ძირითადი სტადიიდან:

1. აღწერა ითვალისწინებს შემოთავაზებული ცვლილებების აღწერას, რომლებიც დოკუმენტირდება და განიხილება.

2. შეფასება ითვალისწინებს ცვლილებების თანმიმდევრულ შეფასებას; ¬ პროექტით დაინტერესებული პირებისაგან შემოთავაზებული ცვლილებების გაანალიზებას და მათი მოსაზრების განხილვას; ¬ შიდა და გარე წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის განხილვა-გაანალიზებას; ¬ მიღებული და დადგენილი შედეგების დოკუმენტირებას.

3. გამართლება ითვალისწინებს მიღებული შედეგების გადამოწმებას და გადაწყვეტილების მიღებას ცვლილებების გამართლების, უარის თქმის, ან გადადების შესახებ: ¬ თუ მიღებული გადაწყვეტილება გამოიწვევს ცვლილებების განხორციელების გადადებას, მაშინ აუცილებელია ჩატარდეს დამატებითი კვლევები და გათვლები; ¬ თუ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია და მოითხოვს ცვლილებების განხორციელებას, მაშინ აუცილებელია შეამოწმოს ცვლილების ინიციატორმა და მოხდეს მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტირება.

4. რეალიზაცია ითვალისწინებს პროექტში ცვლილების შეტანის რეალიზებას.

5. დამტკიცება ითვალისწინებს პროექტში შეტანილი და რეალიზებული ცვლილებების დამტკიცებას.

ამრიგად, კონტროლის პროცესის საბოლოო ნაბიჯს წარმოადგენს

ხელმძღავანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია შეცდომების გამოსწორებისაკენ, მოსალოდნელი პრობლემების თავიდან აცილებისა და საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებისაკენ, რადგან პროექტის განხორციელების ეტაპზე პროექტის საბაზო გეგმის შედგენა მართალია მისაღებია, მაგრამ გაგმაში ცვლილებების შეტანა, ან კიდევ, ახალი გეგმის შედგენა მოითხოვს არა მხოლოდ გეგმის გაანალიზებას, არამედ გუნდის მოქმედების დროულ მოტივაციასა და მოქმედებაზე კონტროლის განხორციელებას.

ცვლილებების მართვის და მათზე რეაგირების თეორიების ანალიზი

ცვლილებები გარდაუვალია. ეს ორსიტყვიანი წინადადება განსაზღვრავს „ცვლილებების“ მთელ კონცეფციას. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად კარგად გაქვთ აწყობილი საქმე, რამდენად კონკურენტუნარიანია თქვენი ბიზნესი და რამდენად კარგად შეესაბამებით არსებულ გარემოს. მსოფლიო ჩვენს გარშემო იცვლება, იცვლება ტექნოლოგიები, მოთხოვნები; ეკოლოგიური პრობლემები, გლობალიზაცია, ბუნებრივი რესურსების შემცირება და სხვა გარემოებები განაპირობებენ ცვლილებას. თუ ორგანიზაციას სურს, რომ მუდამ „ფორმაში“ იყოს, შეძლოს ამ ცვალებად გარემოში თავისი ადგილის პოვნა და საერთოდ, გადარჩეს, – მან უნდა მართოს არა მარტო გარე ცვლილებები, არამედ ცვლილებები შეიტანოს ორგანიზაციის შიგნითაც. ცვლილებების მართვა მენეჯმენტის მეცნიერების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც ფოკუსირებულია სწორედ „ცვლილებების მენეჯმენტზე“. ცვლილებების მართვა არის არსებული მდგომარეობიდან სასურველ მგომარეობაში ინდივიდუუმების, ჯგუფების და ორგანიზაციების ტრანსფორმაციის სტრუქტურირებული მიდგომა (Wikipedia: http://en.wikipedia.org/wiki/Change_management).

ცვლილებების პროცესი განაპირობებს მენტალიტეტის, მიდგომის, ტექნოლოგიების, დამოკიდებულების და ქცევის ცვლილებას. ის ასევე ეხება სტრუქტურასა და სტრატეგიას და, რა თქმა უნდა, ორგანიზაციულ ცვლილებებსაც, როდესაც ყალიბდება ახალი მიმართულებები და მიზნები. ცვლილებათა მართვა, თავის მხრივ, მოიცავს მენეჯმენტის ოთხივე ფუნქციას: დაგეგმარებას, ორგანიზაციას, ლიდერობას და კონტროლს. ამ ფუნქციების განხორციელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია კომუნიკაცია.

ეფექტურ კომუნიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომპანიის წარმატებაში ცვლილებების დროს. შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაცია – ეს არის მენეჯერული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. დაგეგმარება კომუნიკაციის საშუალებით ხორციელდება (ინფორმაციის მიღება და გაცემა), ამავე გზით ხდება გეგმის წარდგენა. თქვენს რესურსებსაც ისევ კომუნიკაციის (ვერბალური ან წერილობითი) საშუალებით უნდა გაუწიოთ ორგანიზაცია. თუ გსურთ ლიდერობა უნდა გაუწიოთ პროცესებს, ამის გაკეთება კომუნიკაციის გარეშე, უბრალოდ, შეუძლებელია. და, რაღა თქმა უნდა, წარმოუდგენელია კონტროლი/მონიტორინგი ინფორმაციის გაცვლის, ანუ კომუნიკაციის გარეშე. თანამედროვე სამყაროში გლობალიზაციის პროცესი სწრაფი ტემპებით ვითარდება და ამ პროცესის კვალდაკვალ სულ უფრო მეტი ორგანიზაციის საქმიანობა სცდება თავისი ქვეყნის ფარგლებს. ასეთი კომპანიები ცდილობენ ფეხი მოიკიდონ სხვა ქვეყნებში, განსხვავებული მენტალიტეტით და ფილოსოფიით, ნერგავენ ახალ პოლიტიკასა და ტრადიციებს. ამავდროულად, განვითარებადი ქვეყნების კომპანიები საერთაშორისო ასპარესზე გასვლის სურვილიდან გამომდინარე, ცდილობენ გადავიდნენ საერთაშორისო სტანდარტებზე. ასეთი „არევა“ დადებითი მოვლენაა, ვინაიდან ის იძლევა გამოცდილების,

ტექნოლოგიების, სტანდარტებისა და ცოდნის გაზიარების საშუალებას. მაგრამ ამ პროცესს თან ახლავს მნიშვნელოვანი ფაქტორი – „ცვლილებები“, რომელთა მართვა კრიტიკულად აუცილებელია წარმატებული საქმიანობისათვის. საქართველო ამ პროცესის უშუალო მონაწილეა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანა მთლიანად „ცვლილების“ პროცესშია. პოსტსაბჭოური ანაბიოზიდან გამოსვლის შემდეგ, საქართველომ განვითარება „დასავლური“ მიმართულებით გადაწყვიტა. ევროკავშირში გაერთიანების სურვილმა განაპირობა საზოგადოების, მიდგომების, კანონმდებლობის, რეგულაციებისა და, საერთოდ, მენტალიტეტის ცვლილების საჭიროება. საერთაშორისო ინვესტორების მოზიდვა, საერთაშორისო ურთიერთობების დამყარება, ეკონომიკის განვითარება, სიღარიბესთან ბრძოლა გახდა ქვეყნის განვითარების პრიორეტეტები – ეს არის დიდი „ცვლილება“ მთელი 161 სახელმწიფოსათვის; განვითარების პროცესი წარმატებულად მიმდინარეობს. აჭარის რეგიონში უცხოური ინვესტიციების დონე ყოველწლიურად მატულობს. მართალია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ზრდის ტემპები შეაჩერა, მაგრამ დადებითი ტენდენცია მაინც შენარჩუნდა (Batumi Investment Agency: www.adjarainvest.ge) (ნახ. 1.2). ნახ. 1.2. უცხოური ინვესტიციები 2004 – 2009 წწ. პერიოდში აშკარაა, რომ ასეთი მოცულობის უცხოური კაპიტალის შემოსვლას სჭირდება შესაბამისი ცვლილებები.

ცვლილებათა მართვის თეორია

არსებობს ცვლილებათა მართვის რამდენიმე ძირითადი მოდელი, რომლებზეც ყველა თანამედროვე კვლევა არის აგებული.

მართვის ამ მოდელებს მიეკუთვნება კურტ ლევინის 3-ფაზიანი მართვის მოდელი და ლ.გეინერის 6- პრინციპიანი მოდელი.

თანამედროვე მენეჯმენტის მეცნიერებიდან გამოირჩევა ჯ. კოტტერის 8-საფეხურიანი მართვის მოდელი.

კურტ ლევინის მოდელი ორგანიზაციული ცვლილებების ერთ-ერთი ძირითადი მოდელი ჩამოაყალიბა კურტ ლევინმა 1950-იან წლებში. სწორედ ეს მოდელი წარმოადგენს სხვა დანარჩენი კვლევების საფუძველს და დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ის ცნობილია, როგორც მოდელი „გალღობა-ცვლილება-გაყინვა", რომელიც ცვლილების მართვის სამ ეტაპს წარმოადგენს. ლევინმა, რომელიც, ამავდროულად, ფიზიკოსიც იყო, ორგანიზაციული ცვლილების პროცესი განმარტა ყინულის ფიგურის სახეცვლილების მაგალითზე. თუ არის კუბის ფორმის ყინული, მაგრამ საჭიროა, რომ მას სამკუთხედის ფორმა ჰქონდეს, ამისათვის, პირველ რიგში, უნდა გაალღოთ, რათა ისეთი ფორმა მისცეთ, რომ ადვილად იცვლებოდეს (გალღობა); შემდეგ გამდნარი ყინული (ანუ უკვე წყალი) უნდა მოაქციოთ სასურველ ფორმაში (ცვლილება).

საბოლოოდ, იმისათვის, რომ ფორმა შენარჩუნდეს, ის უნდა გახდეს მყარი (გაყინვა).

ორგანიზაციული ცვლილების ფიზიკური გამოსახულება ლევინის თეორიის მიხედვით თუ ცვლილება განიხილება, როგორც პროცესი შესაბამისი ეტაპებით, შესაძლებელია თითოეული ეტაპისათვის მომზადება. ლევინის თეორიის მიხედვით, იმისათვის, რომ ორგანიზაციული ცვლილება განხორციელდეს, მან სამი ეტაპი უნდა გაიაროს.

გალღობა. პირველი ეტაპი მოიცავს ორგანიზაციის მომზადებას ცვლილებისათვის, რაც გულისხმობს პერსონალის დარწმუნებას

ცვლილების საჭიროებაში და არსებული Status Quo შერყევას, სანამ ახლის შექმნა დაიწყებოდეს. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს ამ ეტაპზე, ეს არის „შეტყობინების" მომზადება იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა განხორციელდეს ცვლილები. ეს შეიძლება იყოს მონაცემები გაყიდვების შესახებ, ფინანსური ანგარიშები, კლიენტების საჩივრები ან უბრალოდ, უკეთესობისაკენ შეცვლის სურვილი. ეს „მესიჯი" ხელს უწყობს ცვლილების საჭიროების დასაბუთებას. პირველივე ნაბიჯის გადადგმით იცვლება Status Quo, იქმნება დისბალანსი და იწყება შიდა პროცესები. ორგანიზაცია გაყინული მდგომარეობიდან გამოდის. ცვლილება. მას შემდეგ, რაც „გალღობის" სტადია გავლილია და ორგანიზაცია გამოსულია ყინულის მდგომარეობიდან, პერსონალი იწყებს „შერყეული" მდგომარეობიდან გამოსვლას ახალი გზების მოძებნით. ამ დროს თვითონ ხორციელდება „ცვლილება".

ტრანსფორმაცია გალღობიდან ცვლილებამდე არ არის ხანმოკლე პროცესი რომელსაც თავისი სირთულეებიც ახლავს. მიუხედავად ყველაფრისა, იმისათვის, რომ ცვლილება იყოს მისაღები და თანამშრომლებმა მას მხარი დაუჭირონ, საჭიროა მათთვის გასაგები გახდეს, თუ რა შეღავათების მომტანი იქნება ეს ცვლილება. დრო და კომუნიკაცია – ეს არის ორი გასაღები წარმატებული ცვლილებისათვის. ადამიანს სჭირდება დრო, რათა გაიაზროს ცვლილებები, ამავე დროს, ცვლილების პროცესში ისინი თავს ორგანიზაციის ნაწილად უნდა გრძნობდნენ. გაყინვა. როდესაც სახეცვლილი ორგანიზაცია იწყებს ახალი მიმართულებით მოძრაობას, ის უკვე მზად არის „გაყინვისათვის".

გაყინვის სიგნალებს წარმოადგენს: სტაბილური ორგანიზაცია, დალაგებული ორგანიზაციული სტრუქტურა, დაზუსტებული თანამდებობრივი ინსტრუქციები და ასე შემდეგ. გაყინვის პროცესში საჭიროა კვლავ გაეწიოთ დახმარება თანამშრომლებს, რათა საბოლოოდ

დასრულდეს ტრანსფორმაციის ეტაპი და არსებული განხორციელებული ცვლილება გამყარდეს ორგანიზაციის ყველა დონესა და საფეხურზე.

ლ. გრეინერის მოდელი .

ლ. გრეინერის ორგანიზაციული ცვლილებათა მართვის მოდელი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და წარმატებულად გამოყენებული მოდელია პრაქტიკაში.

ის ექვსი ეტაპისაგან შედგება

1. პირველ ეტაპზე ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა გაიაზროს ცვლილების აუცილებლობა და მოემზადოს მის განსახორციელებლად;

2. ხელმძღვანელობამ უნდა მოახდინოს ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზი;

3. ორგანიზაციაში არსებული პრობლემების დეტალიზაცია და გაღრმავება. ამ პროცესში უნდა ჩართოს ორგანიზაციის თანამშრომლები;

4. ახალი გამოსავლის პოვნა. სწორედ ახალი მიდგომების გამოყენება არის საჭირო;

5. შესაძლო უარყოფითი შედეგების გამოვლენა და საჭირო კორექტივების შეტანა;

6. თანამშრომელთა მოტივაცია.

მაქკინზის „7ს“ მოდელი

მაქკინზის „7ს“ მოდელი არის მენეჯმენტის მოდელი, რომელიც აღწერს ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვან 7 ფაქტორს და შესაბამისად, ცვლილებების მართვის მიდგომას. ეს ფაქტორები ადგენენ ორგანიზაციის ფუნქციონირების დონეს. მენეჯერებმა ყველა ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინონ, რათა უზრუნველყონ სტრატეგიის

წარმატებული შესრულება.

მნიშვნელოვანია ეს ფაქტორები თუ არა, ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან; ამიტომ, თუ რომელიმე ფაქტორს ყურადღება არ ექცევა, მან, შესაძლებელია, სხვა ფაქტორებზეც იმოქმედოს. ამასთანავე, თითოეული ფაქტორის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს (

ეს არის საერთო ფასეულობები, რომელიც არსებობს ორგანიზაციისათვის და მისი ყველა წევრისათვის. სწორედ ამ ფასეულობების გარშემო არის გაერთიანებული ორგანიზაცია. სტრატეგია. დროის მონაკვეთში მიზნის მიღწევისათვის ორგანიზაციის რესურსების გადანაწილების გეგმა: გარემო, კონკურენცია, კლიენტები. სტრუქტურა. ორგანიზაციის დანაყოფების ურთიერთობების საშუალებები: ცენტრალიზებული, ფუნქციონალური, დეცენტრალიზებული, მატრიცა, ქსელი და ა.შ. სისტემა. პროცედურები, პროცესები და რეჟიმები, რომლებიც ახასიათებენ სამუშაოს: ფინანსური სისტემები, განვითარების სისტემები, საინფორმაციო სისტემები. თანამშრომლები. თანამშრომელთა რაოდენობა და სახეობა ორგანიზაციაში. სტილი. მენეჯერებისათვის დამახასიათებელი კულტურული და მართვის სტილი. გამოცდილება. თანამშრომელთა და ორგანიზაციის განსაკუთრებული შესაძლებლობები.

ჯონ კოტტერის მოდელი

1995 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა – ჯონ კოტტერმა გამოაქვეყნა წიგნი „ცვლილებების მართვა“, სადაც ცვლილების მართვის 8- საფეხურიანი მოდელი შეიმუშავა

პირველი საფეხური: საჭიროების შექმნა. იმისთვის, რომ ცვლილება განხორციელდეს, ის საჭირო უნდა გახდეს;

მეორე საფეხური: ძლიერი კოალიციის შექმნა. უნდა შეიქმნას

თანამოაზრეთა გუნდი, რომელიც დაგეხმარებათ ცვლილების განხორციელებაში;

მესამე საფეხური: შექმენით ცვლილების ხედვა. ხედვის არსებობა დაგეხმარებათ მიმართულების ჩამოყალიბებაში;

მეოთხე საფეხური: აწარმოეთ ხედვის კომუნიკაცია. იმისათვის, რომ ორგანიზაციის ყველა წევრმა იცოდეს მიმართულება, უნდა განხორციელდეს კომუნიკაციის პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხედვა ორგანიზაციის ყველა საჭირო დონეზე იქნება გადაცემული.

მეხუთე საფეხური: მოაცილეთ ბარიერები. ცვლილებების განხორციელების დროს არაერთი ხელის შემშლელი გარემოება წარმოიქმნება. შესაბამისად, მათი მოცილება აუცილებელია წარმატებული ცვლილებისათვის;

მეექვსე საფეხური: შექმენით მოკლევადიანი მიზნები. წარმატებული პროცესისათვის ცვლილების პროცესის მონაწილეებმა უნდა შეიგრძნონ, რომ ცვლილება სასარგებლოა.

მოკლევადიანი მიზნების მიღწევით თანამშრომელთა შესაბამისი მოტივირებაც ხდება, ვინაიდან მიზნის მიღწევის, ანუ პატარა გამარჯვევების „გემო" კიდევ უფრო გაამყარებს მთავარი მიზნის მიღწევის სურვილს;

მეშვიდე საფეხური: დანერგეთ ცვლილება. გაამყარეთ ცვლილება. დარწმუნდით, რომ პროცესი წარმატებით დასრულდა. გადაამოწმეთ მისი შესრულება; მერვე საფეხური: გაამყარეთ ცვლილებები კორპორაციულ კულტურაში. განხორციელებული ცვლილებები ორგანიზაციის მუშაობის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. ის უნდა დამკვიდრდეს და ყველასათვის მისაღები სტანდარტის ფორმა უნდა მიიღოს. ნახ. 1.6. ჯონ კოტტერის 8-საფეხურიანი მოდელი აღწერილი ცვლილებათა მართვის მოდელები მყარ საფუძველს წარმოადგენენ

ცვლილებათა მართვისათვის, თუმცა მათი განხილვის შედეგად იკვეთება მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ყურადღებას იპყრობს. ჩვენი აზრით, ვინაიდან ცვლილება მუდმივობას წარმოადგენს, შესაბამისად, ცვლილებათა მართვის მოდელი არა პროცესის, არამედ ციკლის ხასიათს უნდა ატარებდეს. აქედან გამომდინარე, ცვლილებების მართვის დაწყებამდე აუცილებელია არსებული მდგომარეობის ანალიზი. აგრეთვე, გაურკვეველია დეტალიზაციის საჭიროება, ვინაიდან მოდელებში შემოთავაზებული ეტაპები წარმოადგენენ მართვის ფუნქციების შემადგენელ ნაწილს. ამიტომაც გთავაზობთ ჩემ მიერ შემუშავებულ ცვლილებათა მართვის მოდელს, რომელსაც სახელად „ცვლილებათა მართვის ციკლური მოდელი“ ეწოდა,

ცვლილებებზე რეაგირების თეორია

მენეჯერებს ხშირად მიაჩნიათ, საკმარისია ცვლილების დაწყება და თანამშრომლები დაუყოვნებლივ მიიღებენ ამ ცვლილებას. ეს ძალიან იშვიათად ხდება. ცვლილება იწვევს „რაღაცის“ დაკარგვის შიშს (სამსახურის, სტატუსის, ხელფასის, პრივილეგიების და ა. შ.). სიახლე, რომელიც ცვლილებას მოჰყვება, არის მათთვის უცნობი შესაბამისად, თანამშრომლებს სჭირდებათ დრო, რათა: 1. გაიაზრონ ცვლილების მნიშვნელობა; 2. მიიღონ ის და წვლილი შეიტანონ მის რეალიზაციაში. იმის გააზრება, რომ არსებობს მართვის პროცესის პროგრესია, ეხმარება ლიდერებს ცვლილების მართვაში და წინააღმდეგობების დაძლევაში (Baccal: http://work911.com/articles/changecycle.htm). კუბლერ როსის მოდელი. ცვლილების პროცესის მოდელებიდან ასევე ცნობილია კუბლერ როსის ტრანსფორმაციის ციკლი (Wikipedia:

http://en.wikipedia.org/wiki/K%C3%BCbler-Ross_model;).

ის 5-ეტაპიან ციკლს წარმოადგენს და შემდეგისაგან შედგება:

- უარყოფა;
- გაბრაზება;
- მოლაპარაკება (ვაჭრობა);
- დეპრესია;
- მიღება.

მაგალითისათვის განხილულია ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო პრობლემა. დილით სამსახურში გაგვიანდებათ, ჯდებით მანქანაში, გადაწევთ გასაღებს და ხედავთ, რომ თქვენი აკუმულატორი დაჯდა.

უარყოფა. იმის მიუხედავად, რომ აკუმულატორის პრობლემა აშკარაა, რამდენჯერმე მაინც გადაწევთ გასაღებს, შეამოწმებთ კლემებს, კიდევ ერთხელ ეცდებით აამუშაოთ მანქანა. ეს არის უარყოფის სტადია, როდესაც ადამიანს არ სჯერა (ან არ უნდა რომ დაიჯეროს) პრობლების არსებობა;

გაბრაზება. საჭეს ხელს ურტყამთ და ბრაზობთ აკუმულატორის გამომშვებ ქარხანაზე, მანქანის მწარმოებელზე, უამინდობაზე, საკუთარ თავზე, ვინაიდან იცოდით და ადრე არ გამოცვალეთ აკუმულატორი, იმაზე, რომ შარშან არ გაყიდეთ მანქანა და ა. შ.;

მოლაპარაკება. შინაარსობრივად ეს სტადია ორიგინალიდან ითარგმნება, როგორც მოლაპარაკება (Bargaining), მაგრამ ქართულად მას უფრო შეესაბამება სიტყვა ვაჭრობა. ამ სტადიაზე იწყება ვაჭრობის პროცესი, კიდევ ერთხელ ცდილობთ დაძვრას და სიტყვას იძლევით, რომ დღესვე გამოცვლით აკუმულატორს, იმასაც კი ჰპირდებით საკუთარ მანქანას, რომ ახალ საბურავებს „აჩუქებთ" და უკეთესად მოუვლით;

დეპრესია. ეს სტადია დგება მაშინ, როდესაც ხვდებით, რომ

მანქანა არ დაიძვრება, რომ თქვენ სამსახურში აგვიანებთ, რომ შეიძლება ამას დაემატოს საყვედური დაგვიანებისათვის. თავს ანებებთ არსებული აკუმულატორის პრობლემას და უკვე უფრო მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაზე იწყებთ ფიქრს;

მიღება. აკუმულატორი დაჯდა, არაფერი ეშველება, უკავშირდებით ტაქსის სერვისს ან მეგობარს და სამსახურში მიდიხართ. კუბლერ როსი პროფესიით ექიმი იყო და ეს სტადიები მან პაციენტებისთვის ცუდი დიაგნოზის შეტყობინების პროცესში შეიმუშავა. ბიზნესმოდელი კუბლერ როსის ცვლილების სტადია შემდგომში ბიზნესის პრინციპებზე იყო ტრანსფორმირებული და პრაქტიკაში გამოყენებული. ხუთ სტადიას „ვაჭრობის“ სტადია გამოაკლდა და ბიზნესისათვის გამარტივებული სახე მიიღო (RapidBi: http://rapidbi.com/created/changemanagement.html;).

სტადია 1: უარყოფა. პირველ სტადიაზე საზოგადოება ყოველთვის უარყოფს ცვლილებას, მის საჭიროებასა და არსებობას. ამ ეტაპზე პერსონალი ებრძვის შიშის გრძნობას, ისინი უარყოფენ ფაქტს, რომ ცვლილება შეიძლება მოხდეს. მათ იმედი აქვთ, რომ ეს არ მოხდება. უარყოფის სტადია ძალიან რთულია, ვინაიდან ის ხელს უშლის თანამშრომლების ჩართვას დაგეგმვის პროცესში. ადამიანი გამოდის უარყოფის სტადიიდან, როდესაც ხედავს, რომ ცვლილება ნამდვილად ხდება;

სტადია 2. გაბრაზება და წინააღმდეგობა. მას შემდეგ, რაც ცვლილების უარყოფა აზრს კარგავს, თანამშრომლები გაბრაზების სტადიაში გადადიან, რომელსაც წინააღმდეგობა მოჰყვება. ეს ყველაზე კრიტიკული სტადიაა ცვლილების პროცესში. აქ მნიშვნელოვანია ლიდერის თვისებების გამოყენება, რათა თანამშრომლებმა დაძლიონ გაბრაზების და წინააღმდეგობის სტადია. ამ სტადიის დროს

წინააღმდეგობის გაწევა კვლავ შიშის გამო ხდება. ორგანიზაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ არსებული მეთოდები და პრინციპები კარგია. ისინი შეჩვეულები არიან არსებულ სისტემას და შესაბამისად, რაიმეს შეცვლა მათთვის უსიამოვნებას წარმოადგენს;

სტადია 3. გარკვევა და მიღება. ეს არის ბარიერის გადალახვის სტადია. თანამშრომლები აღარ უარყოფენ და სიბრაზის მიუხედავად, ხვდებიან ცვლილების შინაარსს და გამოხატავენ სურვილს მის განვითარებაში. ისინი მეტი გონივრულობით უდგებიან საკითხს და ცდილობენ, რომ ცვლილების დადებითი მხარე მოძებნონ.

სტადია 4. ვალდებულების აღება. ეს ბოლო სტადიაა. თანამშრომლები ღებულობენ ცვლილებებს და მზად არიან მიიღონ მონაწილეობა მის წარმატებულ განხორციელებაში. უკვე ხედავენ მის დადებით მხარეებს, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი ცვლილება ვერასოდეს მიიღებს თანამშრომელთა თანხმობას და მხარდაჭერას (მაგალითად, საკადრო შემცირება), ამ ეტაპზე ისინი შეეცდებიან, რომ მაქსიმალურად მხარი დაუჭირონ ცვლილებებს და იღებენ ვალდებულებებს, რომ ისინი წარმატებით განხორციელდეს. შეჯამებისათვის უნდა ვთქვათ, რომ ცვლილებები გარდაუვალია, თუმცა არსებობს მათი მართვის მეთოდები და პროცესების მოდელები. ნებისმიერი ცვლილება, თუნდაც ტექნიკური, ეხება ადამიანს (ახალი დანადგარების დაყენებისას, უნდა მოხდეს სწავლება, გადამზადება და ა.შ.). შესაბამისად, ცვლილების პროცესის უშუალო მონაწილე – ადამიანი, გადის ცვლილებასთან შეგუების რამდენიმე ეტაპს.

თემა VII პროექტების ინიცირება და განახლება

ცვლილების მართვის პროცესის ბუნება, მოდელი და ეტაპები

თანამედროვე ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ რთულ, დინამიურ გარემოში, გაურკვევლობის მაღალი დონით, მუდმივად უნდა შეიცვალოს. ამ ცვლილებების შეტანის უნარი, ადაპტირება, მუდმივად ცვალებად გარემოში ადაპტირება ან, რაც მთავარია, თავად გარემოს შეცვლის შესაძლებლობა დღევანდელი ორგანიზაციების უმთავრესი მახასიათებელია, მათი კონკურენტუნარიანობა და გრძელვადიანი გადარჩენა.

ორგანიზაციული ცვლილება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ახალი იდეის, ქცევის ტიპისა და ან მისი ზოგიერთი ელემენტის ნებისმიერი შედარებით დამოუკიდებელი მოდიფიკაციის პროცესი. ძირითადი ცვლილებების მაგალითები შეიძლება იყოს გაუმჯობესებული ტექნოლოგიის შემუშავება, ბაზრისთვის საჭირო ახალი პროდუქტის შექმნა, ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება, თანამშრომლების ტრენინგი და პროფესიული განვითარება, შესაბამისი კორპორატიული კულტურის შექმნა ახალი ღირებულებებით, ტრადიციებითა და მენეჯმენტის სტილით.

. ორგანიზაციული ცვლილების სახეები

პროექტის განახლების ეტაპის მიზნები და წინაპირობები

ორგანიზაციაში ყველა ცვლილება შეიძლება შემცირდეს ორ ტიპად:

ოპერაციული ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების პროცესებისა და პროცედურების გაუმჯობესებასთან

ტრანსფორმაციული ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს ორგანიზაციის მთლიანობაში განახლებას, მის ფუნქციონირებას.

ძირითადი ცვლილებებია მისიისა და მიზნების ცვლილებები, სტრატეგია, ტექნოლოგია, სტრუქტურა, პროდუქტი, ხალხი და კულტურა.

დაგეგმილი და სპონტანური ცვლილებებია. პირველი ხორციელდება შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად, გეგმა, რომელშიც ორგანიზაცია ცდილობს წინასწარმეტყველოს თავისი ქმედებები მომავალი მოვლენების გათვალისწინებით. ამისათვის ჩვენ ვსწავლობთ საგარეო გარემოს განვითარების ტენდენციებს, მის შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, ასევე ორგანიზაციის სიძლიერესა და სისუსტეებს. ამგვარი გეგმების მიზანია ორგანიზაციის მომზადება გარემოში შესაძლო ცვლილებებისთვის, გაუძლოს შემთხვევითი ფაქტორების უარყოფით გავლენას.

სპონტანური (რეაქტიული) ცვლილებები არის ორგანიზაციის უნებლიე რეაგირება გაუთვალისწინებელ გარემოებებზე, როდესაც ისინი წარმოიქმნება. ამიტომ, როგორც წესი, ისინი ტარდება დროის ნაკლებობის პირობებში, კარგად არ არის გააზრებული და არ იძლევა გარემოსთან ეფექტურად ადაპტირებას. ხშირად ასეთი ცვლილებების შემდეგ, კონტროლირებადი ცვლილების საჭიროება იზრდება.

დაგეგმილი ცვლილებების მოდელი მოცემულია ნახაზში 4. მასში ცვლილებების პროცესი დაყოფილია ზედიზედ ხუთ ეტაპად:

1) ორგანიზაციას გავლენას ახდენს შიდა და გარე ძალები, რომლებიც ცვლილების საჭიროებას იწვევს;

2) მენეჯერები სწავლობენ ამ ეფექტებს და აღიარებენ ცვლილების აუცილებლობას;

3) ცვლილების შეგნებული საჭიროება ხელს უწყობს, იწყებს ინოვაციების ძიებას და მათ განხორციელებას;

4) ცვლილებები შედის;

5) ცვლილებები ფიქსირდება დადებითი შედეგების საფუძველზე, ისინი გახდებიან ორგანიზაციის აუცილებელი ელემენტი.

მენეჯმენტის პროცესის მოდელის შეცვლა

განვიხილოთ წარმოდგენილი მოდელი უფრო დეტალურად. გარე გარემოზე ზემოქმედება, ორგანიზაციის განვითარების შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაჩენა დაკავშირებულია პირდაპირ ან არაპირდაპირი ზემოქმედების მისი რომელიმე ფაქტორების ცვლილებასთან. კერძოდ: მომხმარებლები, კონკურენტები, მომწოდებლები, მეპატრონეები, შრომის ბაზარი, მარეგულირებელი

და მარეგულირებელი ორგანოები, აგრეთვე ეკონომიკის მდგომარეობა, მთლიანობაში, სოციოკულტურული, პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური და საერთაშორისო ფაქტორები. შინაგანი გავლენები, რომლებიც ცვლილებებს მოითხოვს, უკავშირდება ორგანიზაციის საწარმოო საქმიანობას, მის მიზნებს და მათი მიღწევის შესაძლებლობებს. აქ ვლინდება ორგანიზაციის პოტენციალი, მისი ძლიერი და სისუსტეები სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში.

გარე და შიდა იმპულსების შედარება, გარემოსა და ორგანიზაციას შორის არსებული შეუსაბამობის შესახებ ინფორმირებულობა, პროდუქტიულობის არსებული და აუცილებელი დონეები, ეფექტურობა და ხარისხი იწვევს ცვლილებების საჭიროების გაგებას. ეს გაგება წინასწარ განსაზღვრავს შემდგომ მოქმედებებს ახალი პროდუქტის შესაქმნელად, თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვაში, პერსონალის მოტივაციის სისტემის ჩამოყალიბებაში, კულტურული ფასეულობების ფორმირებაში, მართვის სტრუქტურების რესტრუქტურიზაციაში და ა.შ.

რეორგანიზაციის საჭიროების გაცნობიერების შემდეგ იწყება ცვლილების მართვის მესამე გადამწყვეტი ეტაპი - ცვლილების ინიცირება. აქ შემუშავებულია სამომავლო ცვლილებების იდეები, რომლებიც მიზნად ისახავს ორგანიზაციასა და გარემოს შორის შეუსაბამობის აღმოფხვრას ან არსებული ოპერაციებისა და ორგანიზაციის სტანდარტებით მიღებულ პროცედურებს შორის მცირე შეუსაბამობის აღმოფხვრას.

იდეების ძიების სტიმულირების სხვადასხვა გზა არსებობს. ყველაზე ეფექტურია:

1) მსგავსი პრობლემების გადაჭრაში არსებული გამოცდილების შესწავლა;

2) შემოქმედების პოპულარიზაცია, ინოვაცია, ინიციატივის გამოვლენა;

3) იდეის დაცვა, მისი განხორციელების ეტაპზე მოყვანა;

4) საწარმოს გუნდების შექმნა.

პირველი მეთოდი გულისხმობს ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ არსებული ყველა განვითარებული მოვლენის შესწავლას, რომელთა გამოყენება შესაძლებელია აუცილებელი ცვლილებების შესასრულებლად. ეს მეთოდი არ გამორიცხავს გამოცდილი კონსულტანტის მოწვევას მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად. თუმცა, ამ მეთოდს აქვს გარკვეული შეზღუდვები. მათ უკავშირდება ახალი პრობლემების ძველი გადაწყვეტილებების გამოყენების საფრთხე და იმ ფაქტს, რომ არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მრავალი ცვლილების განხორციელება

შეუძლებელია. ამიტომ, ორგანიზაციამ უნდა მოძებნოს თავისი პრობლემების ახალი უნიკალური გადაწყვეტილებები.

გამოვლენილი პრობლემებისთვის ახალი ორიგინალური გადაწყვეტილებების წამოწყების აუცილებლობა ნიშნავს, რომ ორგანიზაციაში უნდა ჩამოყალიბდეს როგორც პიროვნების, ისე მთელი განყოფილების შემოქმედების უნარი. ასეთ ორგანიზაციებს თავისუფლად აქვთ სტრუქტურირებული, დეცენტრალიზებული, აქვთ ღია საკომუნიკაციო არხები და ეფექტური სისტემები რაციონალიზაციის წინადადებებისა და გამოგონებების წარდგენისთვის. მათ კორპორატიულ კულტურას ახასიათებთ გახსნილობა, კომუნიკაციის თავისუფლება, კეთილმეზობლობა, ახალი იდეების განხილვაში მონაწილეობა და შეცდომების წახალისება. ასეთ ორგანიზაციებში ჯილდოს სისტემა ხელს უწყობს ინოვაციას. მრავალი მონაწილეობითი მართვის პროგრამა დაიბადა ორგანიზაციებში კრეატიულობისა და ინოვაციის სტიმულირების სურვილის გამო.

ყველას აქვს უნარი, იყოთ კრეატიული, მაგრამ განსაკუთრებით არიან ნიჭიერი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ჩვეულებრივ სიტუაციებში დაინახონ ორგანიზაციის განვითარების უნიკალური, უჩვეულო შესაძლებლობები. ასეთი მუშები სპეციალურად უნდა ეძებონ და შექმნან მათთვის სამუშაო პირობები. ლიტერატურა იძლევა განსაკუთრებით შემოქმედებითი ადამიანების მახასიათებლებს, მათ შორის პროფესიონალიზმს, აზროვნების ორიგინალობას, ახალი კონცეფციების, იდეებისადმი ღია ცნობისმოყვარეობას, ცნობისმოყვარეობას, დამოუკიდებლობას, უფლებამოსილების ნაკლებობას, განსაზღვრულობას, perseverance, ოპტიმიზმი.

თუ ერთეულში იქმნება შემოქმედებითი ატმოსფერო და წარმოიქმნება ახალი იდეები, მაშინ საჭიროა მათი პოპულარიზაცია, წახალისება და განხორციელება. ამ ეტაპზე უნდა გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც აცნობიერებს იდეის ნაყოფიერებას, ახსნის და ამტკიცებს მას, ატარებს მას განხორციელების ეტაპზე, რადგან თავად ცვლილებები არ ხდება. ხშირად, ახალი იდეა მენეჯმენტს უარს ამბობს სათანადო განხილვის გარეშე.

ცვლილების წამოწყების ბოლო გზა არის საწარმოს გუნდების შექმნა, ორგანიზაციაში ინოვაციების განვითარების ახალი თანამედროვე ფორმა. მეწარმე გუნდი არის ცალკეული, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც არსებობს ორგანიზაციის იერარქიული პირამიდის გარეთ, რომელიც პასუხისმგებელია ძირითადი გამოგონებისა და ინოვაციური პროექტების განვითარებაზე.

ასეთი გუნდების წევრებს აქვთ დიდი შემოქმედებითი თავისუფლება და განთავისუფლდებიან ორგანიზაციის წესებისა და პროცედურების შესრულების აუცილებლობისგან. საწარმოს გუნდები ბიუროკრატიული ჩარევის აღმოსაფხვრელად კომპანიისგან მცირე და ცალკეულია.

ცვლილების მართვის მეოთხე ეტაპი - ცვლილების განხორციელება გულისხმობს ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გამომწვევი მიზეზების ცოდნას და მისი ოსტატურად დაძლევას.

ამის მრავალი მიზეზი არსებობს:

1) გაურკვევლობა. ადამიანი შეიძლება უარყოფითად მოეკიდოს ცვლილებებს მხოლოდ ცვლილებების შედეგების შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო, ორგანიზაციაში საკუთარი პოზიციის საფრთხის შემჩნევაში. მართლაც, გაურკვევლობა ყოველთვის საშინელია;

2) დაკარგვის გრძნობა. ხალხი წინააღმდეგობას უწევს ცვლილებებს, თუ თვლის, რომ მათ პირად დაკარგვებამდე მიგვიყვანს: ავტორიტეტი, ძალაუფლება, სტატუსი, პრესტიჟი, გადახდა, დამატებითი შეღავათები და პრივილეგიები, სოციალური კონტაქტები, ანუ ნებისმიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემცირების მიზნით;

3) გაგების და ნდობის არარსებობა. თანამშრომლები ხშირად არ ესმით ცვლილებების მიზანი ან ეჭვი ეპარება მათ დადებით შედეგებზე, არ ენდობიან მენეჯერებს, რადგან მათ უკვე ჰქონდათ ნეგატიური გამოცდილება;

4) დარწმუნება, რომ ცვლილებები რაიმე კარგს არაფერს მოუტანს, არ მოაგვარებს არსებულ პრობლემებს და შესაძლოა მათთან ერთად შემოიტანოს ახალი;

5) განსხვავებული შეფასებები და მიზნები. იდეების ავტორები, მათი მიმდევრები და ადამიანები, რომლებსაც ცვლილებების შეტანა მოუწევთ, განსხვავებულად აფასებენ სიტუაციას. სხვადასხვა განყოფილების მენეჯერებს აქვთ საკუთარი ადგილობრივი მიზნები, ხოლო ინოვაციებმა შეიძლება შეამციროს ნებისმიერი დეპარტამენტის საქმიანობის შედეგი;

6) საჭირო უნარების არარსებობა ცვლილებებთან გამკლავებისთვის;

7) ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის ინტეგრირებული ელემენტები: არსებული წესები, პროცედურები, პოლიტიკა, ნორმები, მუშაობის მეთოდები, ტრადიციები, უფროსი მენეჯმენტის ფილოსოფია.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული ეს ელემენტები გახდა ნაცნობი, აუცილებელი,

ამიტომ არ არის ადვილი უარი თქვან მათზე. ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის დასაძლევად ორი ძირითადი მიდგომა არსებობს:

1) "ძალის ველის" ანალიზი, რომელიც გულისხმობს ცვლილებების შემანარჩუნებელი და შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაციას და შესწავლას;

2) არსებული მეთოდების გამოყენება წინააღმდეგობის შემცირების ან მთლიანად აღმოფხვრის მიზნით.

”ძალის ველის” ანალიზი შემოგვთავაზა კურტ ლევინმა, რომელმაც თქვა, რომ ცვლილებები არის ”ბრძოლის” შედეგი იმ ძალებს შორის, რომლებიც მათ მართავენ და ეწინააღმდეგებიან მათ. როდესაც შემოთავაზებულია ცვლილება, ზოგი ძალები წინ მიიწევს მას, ზოგი კი ხელს უშლის ცვლილებას. მენეჯერმა უნდა გაანალიზოს ეს ძალები და შეცვალოს ურთიერთობა მათ შორის მამოძრავებელი ძალების სასარგებლოდ. ამის გაკეთების სამი გზა არსებობს:

1) არსებული მამოძრავებელი ძალების გაძლიერება;

2) არსებული დაპირისპირებული ძალების შესუსტება;

3) ახალი მამოძრავებელი ძალების დამატება.

უფრო მეტიც, მენეჯმენტმა უნდა იცოდეს, რომ ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის დასაძლევად საუკეთესო დროა მათი გაჩენის პერიოდი.

თემა VIII. პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის დანერგვა

ინოვაციების დაფინანსება

კომპონენტი გულისმოხმობს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ხელშეწყობას საგრანტო კონკურსების საშუალებით. ინოვაციური იდეების ხელშეწყობის მიზნით, პროექტით გათვალისწინებულია 2 ტიპის დაფინანსება: სტარტაპების თანადაფინანსების გრანტი და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტი.

- **სტარტაპ გრანტების მიზანია** დამწყები**,** კერძო, მცირე და ინოვაციური საწარმოების ხელშეწყობა. დაფინანსდება ისეთი პროექტები, რომელთა მთავარი მიზანია ინოვაციური, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული და გლობალური პოტენციალის მქონე პროდუქტების (სერვისების) შემუშავება/ათვისების და

მათი შემდგომი კომერციალიზაციის გზით საქართველოში ინოვაციის და ინოვაციური საწარმოების წარმოქმნის სტიმულირება.

ამ კომპონენტის ფარლებში, ერთწლიანი პროექტის განხორციელებისათვის გაიცემა მაქსიმუმ 100’000 ლარის ოდენობის გრანტი. პროექტის ბიუჯეტის მინიმუმ 10% თანადაფინანსების სახით, განმცხადებლის მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

- **ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები** გულისხმობს პროდუქტის, ტექნოლოგიური, ან ბიზნეს პროცესების ინოვაციებისა და ასევე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას იმ საწარმოებისათვის, რომლებიც საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე მინიმუმ 2 (ორი) წლით ადრე იყვნენ რეგისტრირებულნი.

  ინოვაციების გრანტი შესაძლებელია დაფინანსდეს მაქსიმუმ 500’000 ლარით და ორწლიანი განხორციელების ვადით. პროექტის ბიუჯეტის მინიმუმ 30% თანადაფინანსების სახით, განმცხადებლის მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

  მაღალი ხარისხის განაცხადების უზრუნველსაყოფად საგრანტო კონკურსში მონაწილე პირებს გაეწევათ ტექნიკური დახმარება საინფორმაციო დღეების ტრენინგების და სემინარების სახით, სადაც ისინი გაეცნობიან განაცხადის შევსების წესებს და აგრეთვე დახმარებას მიიღებენ საინვესტიციო კომიტეტის წინაშე ინტერვიუსთვის მომზადების კუთხით.

ს პ ო ნ ს ო რ ო ბ ა

საქმიანობის დაფინანსება (სპონსორობა-კერძო, საჯარო სექტორი)

საინვესტიციო საქმიანობად შეიძლება ჩაითვალოს პროცესი, რომლის შედეგადაც კომპანია ნახულობს მისთვის საჭირო ფინანსირების წყაროებს და არჩევს მათგან მისთვის ყველაზე მისაღებს, ადგენს სამოქმედო სტრატეგიას და მეთვალყურეობს მის წარმატებულ განხორციელებას.

საინვესტიციო ობიექტის შერჩევის მთავარი ფაქტორებია:

- ინვესტიციების განხორციელების შესაძლო ვარიანტების დიდი რაოდენობა;
- ინვესტირების შეზღუდული სახსრები;
- საინვესტიციო რისკი;

ინვესტიციის ფინანსირების წყაროები

ყველა ტიპის საინვესტიციო საქმიანობა, ისევე როგორც მისი ფორმები და მიმართულებები ყალიბდება საწარმოს საინვესტიციო რესურსების ხარჯზე. განათლების ხარისხისა და ამ რესურსების ჩამოყალიბება პირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის ეფექტურობაზე.

საინვესტიცოი რესურსებში იგულისხმება მატერიალური რესურსების ნებისმიერი ფორმა, რომელიც მიმართულია კაპიტალდაბანდებისკენ.

საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების ძირითადი წყაროები

- ორგანიზაციის საკუთარი საშუალებები;
- მოზიდული სახსრები;
- ნასესხები სახსრები;
- სახელმწიფო დაფინანსება;

ფინანსირების ისეთი წყარო, როგორიც არის საკუთარი სახსრები, შედგება ორგანიზაციის სუფთა მოგებიდან, სამორტიზაციო ანარიცხებიდან და სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული სახსრებიდან.

საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსება საკუთარი სახსრებით როგორც წესი, განკუთვნილია მცირე საინვესტიციო პროექტებისთვის, რომელთა განხორციელებისთვისაც ორგანიზაციის შიდა რესურსებიც კმარა.

მოზიდულ სახსრებში იგულისხმება სახსრები, რომელსაც ორგნიზაცია იღებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, იურიდიული ან ფიზიკური პირების მიერ ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალ ში შეტანილი სახსრებით.

დაფინანსების ეს წყარო განკუთვნილია მსხვილი საინვესტიციო პროექტებისთვის.

დაფინანსების ამ წყაროს პოზიტიური ასპექტები:

- მოზიდული სახსრების გამოყენების დროში შეუზღუდაობა;
- მოზიდული სახსრების დაბალი ღირბულება დიდი რაოდენობით ფასიანი ქაღალდების გამოშვების ხარჯზე;

ნასესხები სახსრები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსებაში.

კრედიტის სახით აღებულ ნასესხებ სახსრებს აქვს, როგორც ძლიერი ასევე სუსტი მხარეები. ფინანსირების ამ წყაროს პლიუსად შეიძლება ჩაითვალოს დიდი რაოდენობით სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა დ მათი გამოყენების ღია შიდა კონტროლი. მინუსები კი არის : სესხის გაფორმების და გაცემის სირთულე, კომპანიის გაკოტრების საშიშროება პროცენტის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გარანტიების ან თანამსესხებელის მოთხოვნა და კრედიტის მაღალი პროცენტი.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების წყაროების შერჩევაში

- ნასესხები სახსრების ღირებულება;
- ნასესხები სახსრების გადახდის ვადა;
- მოზიდული სახსრების სტრუქტურა, გარე და შიდა წყაროების თანაფარდობა;

საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მეთოდები

საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მეთოდები კონკრეტული ქმედებებია, რომლის წყალობით ორგანიზაციამ შეიძლება მოიზიდოს პროდუქციის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი რესურსები.

საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების ძირითადი მეთოდები

- თვითდაფინანსება;
- საკრედიტო დაფინანსება;
- ფინანსირება კომპანიის მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების ხარჯზე;
- ფინანსური ლიზინგი;
- შერეული ფინანსირება;

საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მეთოდები და ამოცანები, რომელსაც ისინი წყვეტენ

- საინვესტიციო პროექტის განხორციელების მთელ ეტაპზე საიმედოობა და დაფინანსების სტაბილურობა;
- პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება;
- პროექტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;

ინვესტიციის წყაროები

დინამიური ზრდისა და წარმატებული ბიზნესის განვითარებისთვის საჭიროა ინვესტიციები, ან უფრო საიმედო და სტაბილური ინვესტიციების წყაროები.

მაკრო დონეზე ინვესტიციების საინვესტიციო წყარო შეიძლება იყოს: მსხვილი უცხოური ან ქართული საივესტიციო კომპანიები, კერძო ინვესტორები და სახელმწიფო დაწესებულებები.

მიკრო დონეზე ინვესტიციების საინვესტიციო წყარო შეიძლება იყოს: ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შედეგად მიღებული რესურსები, ორგანიზაციის შიდა რესურსები, **ვენჩერული** ინვესტიციები, ნასესხები სახსრები (კრედიტი).

ინვესტიციების ძირითადი წყაროები:

ინვესტიციების საკუთარ წყაროებს მიეკუთვნება კომპანიის ყველა აქტივი,რომელიც მის საკუთრებაშია და მონაწილეობს მის საინვესტიციო საქმანობაში.

ინვესტიციების საკუთარი წყაროებია:

- ორგანიზაციის წმინდა მოგება;
- საწესდებო კაპიტალი;
- ორგანიზაციის რეზერვები;
- სადაზღვევო შემთხვევისას სადაზღვეო კომპანიების მიერ ჩარიცხული სახსრები;
- უსასყიდლოდ მიღებული სახსრები. სპონსორის დახმარება;

ნასესხები ინვესტიციების წყაროებს მიეკუთვნება ყველა ის საშუალება,რომელიც ორგანიზაცია იღებს გარკვეული პერიოდის შემდეგ უკან დაბრუნების პერსპექტივით.
ნასესხები სახსრების გასტუმრების ვადები და პროცენტი ყოველთვის წინასწარ განისაზღვრება.

სუბიექტები, რომლებიც გასცემენ აქტივეს როგორც წესი მოგების განაწილებაში არ მონაწილეობენ.

ინვესტიციის სახელმწიფო წყარო

სახელმწიფო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, კომპანიებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში, რომლებიც ორგანიზებულია მთავრობის მიერ ან მუნიციპალიტეტისა და სხვა სახელისუფლებო ორგანოების მიერ.

მსგავსი აქტივობა საშუალებას გამლევთ:

- გრანტი საქმიანობის წამოსაწყებად;
- სესხი შეღავათიანი პირობებით;
- დაწესებულების, ტექნიკის და აპარატურის ხმარებაში გადაცემა;

კერძო ინვესტორები

როგორ შეიძლება ფირმა დააფინანსოს კერძო ინვესტორმა?

დამატებითი თანხების მოსაზიდად, ბევრი კომპანია გამოსცემს ფასიან ქაღალდებს.

ორგანიზაციის მიერ გაცემული ყველა ფასიანი ქაღალდი შეიძლება შესყიდული იქნას,როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირების მიერ (პოტენციური ინვესტორების მიერ) და მიღებული შემოსავალი ხდება კომპანიის ფინანსური აქტივი.

ზუსტად როგორ გამოიყენებს საინვესტიციო წყაროს კომპანია ყოველთვის განისაზღვრება მისი საინვესტიციო პოლიტიკით.

საინვესტიციო პოლიტიკა თავის მხრივ, შედგენილია კომპანიის მმართველების, ფინანსურ ანალიტიკოსების და ექსპერტების მიერ.

ინვესტიციების შიდა და გარე წყაროები

ინვესტიციის შიდა წყაროები - ეს არის ორგანიზაციის სახსრები, როგორც ფინანსური ასევე სხვა საშუალებები, რომლებიც გამოიყენება საკუთარი

წარმოების დასაფინანსებლად. ფინანსური საშუალებების გარდა ეს შეიძლება იყოს: უძრავი ქონება, ტრანსპორტი, მასალები, კვალიფიციური მუშახელი .

ინვესტიციის გარე წყაროები - ეს არის ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მოზიდული სახსრები და წარმოების გასაზრდელად ნასესხები სახსრები.

გარდა ამისა, გარე დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს სახელმწიფო გრანტები, სპონსორების ფონდები და სხვა.

ინვესტიციის შიდა წყაროები

- ორგანიზაციის მოგება;

  თითოეულმა ორგანიზაციამ მოგების ნაწილი უნდა დახარჯოს საკუთარი ბიზნესის განვითარებაზე და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე.
- საბიუჯეტო დაფინანსება;
- კრედიტები და სესხები;

  საკუთარი წარმოების განვითარებისათვის ასეთი საინვესტიციო სესხი, წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად და ყველაზე გავრცელებულ, მოსახერხებელ გზას. ასევე ფინანსური თვალსაზრისით კომპანიისთვის ყველაზე მომგებიანი და უმტკივნეულოა გრძელვადიანი კრედიტის აღება.
- ამორტიზაციის გამოქვითვა;

  ამორტიზაციის გამოქვითვა მიზნად ისახავს ექსპლუატაციის პროცესში პროდუქციის რემონტს და აღდგენას.
- ფასიანი ქაღალდების გამოშვება;

  კომპანია გამოყოფს გარკვეულ რაოდენობას ფასიანი ქაღალდებსა დამატებითი სახსრების მოსაზიდად.

ინვესტიციის გარე წყაროები

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; ასეთი ინვესტიციები ორგანიზაციის აქტიურ აქტივებში ინვესტიციად ითვლება. .

- პორტფელი უცხოური ინვესტიციები; ეს არის კომპანიის ფასიან ქაღალდებში ინვესტირება
- უცხოური სესხები;

თემა 9

საპროექტო გარემოცვის მართვა

